



# იქორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№160 (219) 6-13 მარტი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

## პრეზენტის შედეგად დანი 22 თეთრად გაქვირდა

2014 წლიდან ელექტროენერჯის ტარიფი 20-22 თეთრამდე გაიზარდა. **ჟურნალისტებმა** ექსკლუზიურად მოიპოვეს ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობამ 2011 წელს რუსულ „ინტერ რაო ევს“ ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულებით უფლება მისცა, რომ მის საკუთრებაში მყოფი „ხრამქესები“ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ტარიფი 6 თეთრით გააძვიროს. შესაბამისად, ამდენივე თეთრით გაძვირდება სამომხმარებლო ტარიფიც. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ეს ნაწილი მთავრობამ საგანგებოდ დამალა.

2011 წლის აპრილამდე „ინტერ რაოს“ „ხრამქესი-1“ და „ხრამქესი-2“ 25-წლიანი მართვის უფლებით აქონდა. აპრილში კი საქართველოს მთავრობამ რუსულ კომპანიას პესეები მუდმივ მფლობელობაში გადასცა. მაშინ ენერჯეტიკის მინისტრმა ალექს ხეთაგურმა „ინტერ რაოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფოსთვის მომგებიანად შეაფასა.

„ახალი ხელშეკრულება, რომელიც პირველ აპრილს გაფორმდა, რუსული კომპანიისთვის იქნება ერთგვარი სტიმული, რომ პესეები უფრო მეტი დატვირთვით ამუშაონ, იზრუნონ მათ რეაბილიტაციაზე, გამოიმუშაონ უფრო მეტი ენერჯია და, შესაბამისად, ქვეყნის ბიუჯეტს უფრო მეტი სარგებელი მოუტანონ“, – განაცხადა ხეთაგურმა. მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ „ინტერ რაო“ ახალ პესებს ააშენებდა და მოსახლეობას დასაქმებდა.

ხეთაგურს, მთავრობის მიერ მოსახლეობისთვის გამოტანილ განაჩენზე აღარ უსაუბრია, ბუნებრივია, მინისტრმა დამალა, რომ რუსულ კომპანიას ხელშეკრულებაში ტარიფის გაძვირება პირდაპირ ჩაუდო.

„ბიზნეს-რეზონანსის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, 2014 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, „ხრამქესის 1“-ის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი 2,3 თეთრიდან 8,2 თეთრამდე გაიზარდა. ასევე, „ხრამქესი 2“-ის მიერ წარმოებული ელექტროენერჯია 3,5 თეთრიდან 9,4 თეთრამდე იზარდა. ტარიფის მატების მოტივი არის ის, რომ რუსული კომპანია საქართველოში ინვესტიციებს განახორციელებს, ანუ საკუთარ პესებს ქართველი მოსახლეობის ხარჯზე ააშენებს. თანაც კომპანიამ გაზრდილი მოვება მალე რომ მიიღოს, საქართველოს მთავრობამ (მასშტაბური ობიექტების ასაშენებლად), ინვესტიციების ამოღების ვადად მხოლოდ 4 წელი განუსაზღვრა.

რუსული კომპანია „ინტერ რაო ევს“ კი სს „თელასის“ მეშვეობით 1,5-მილიონიანი ქალაქის, თბილისის, დისტრიბუციას ახორციელებს. მის საკუთრებაშია მე-9 ენერჯობლოკი („მეტეგარი ენერჯეტიკა“), „ხრამქესი-1“ და „ხრამქესი-2“, ორივე სადგურის წლიური გამომუშავება 610 მილიონი კვტ/სთ-ია. გარდა ამისა, „ინტერ რაო ევსი“ წელსვე შეუდგება მდინარე ხრამზე ახალი ელექტროსადგურების კასკადის „ხრამქესი-3“-ს აშენებას, სწორედ ამ პესების ასაშენებლად საქართველოს მთავრობამ რუს ინვესტორს უფლება მისცა ტარიფი 6 თეთრით გაზარდოს.

საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განსაზღვრავს. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, ჩაერთა თუ არა მთავრობა მისსავე შექმნილ მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილებაში. კომისიის წევრი გონა შონიას განცხადებით, კომისიას კანონით განსაზღვრული აქვს, რომ მან გაითვალისწინოს სახელმწიფო ენერჯეტიკული პოლიტიკა და მთავრობის მიერ გაწერილი სამართლებრივი აქტები და ხელშეკრულებები.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მთავრობა სემეკის გვერდის ავლით ინვესტორს სატარიფო პოლიტიკას თვითონ უდგენს. „ბიზნეს-რეზონანსი“ უკვე წერდა, რომ ზურაბ ნოვადილდის პრემიერობის პერიოდში (2007 წელს) „თელასს“ და მთავრობას შორის გაფორმდა მემორანდუმი, სადაც მითითებულია, რომ დენის ტარიფი 2015 წლამდე

არ შეიცვლება, არადა იმ პერიოდისთვის დენი უკვე უნდა გაიაფებულიყო, ვინაიდან ტარიფიდან ინვესტიციების წილი ამოვარდა. ექსპერტების განცხადებით, მაშინ ზურაბ ნოვადილი სემეკის კომპეტენციაში შეიჭრა, ვინაიდან ელექტროენერჯიაზე ტარიფების შემცირება-არშემცირების გადაწყვეტილების მიღება კანონით სემეკს ენიჭება.

ექსპერტი ენერჯეტიკის საკითხებში ლიანა ჯერვალიძე ანგარიშში „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ელექტროენერჯეტიკაში“ წერს: „2008 წელს დასრულდა „ეიესთან“ დადებული კონტრაქტის და ინვესტიციების ამოღების ვადა. 1998 წლიდან 2008 წლამდე „ეიესის“ სამომხმარებლო ტარიფში გათვალისწინებული იყო „თელასის“ მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯების კომპონენტი, რომელიც „თელასის“ გაყიდვის შემდეგ „რაო ევს“-ის ტარიფშიც გადავიდა. წესით, 2008 წლის ბოლოდან თბილისის მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის ტარიფი უნდა შემცირებულიყო, თუმცა 2007 წელს საქართველოს ხელისუფლებასა და „რაო-თელასის“ ხელმძღვანელობას შორის დადებული მემორანდუმი ტარიფის შემცირებას არ ითვალისწინებს“.

ჯერვალიძის შეფასებით, ეს მემორანდუმი გაუმჭვირვალე ვითარებაში დაიდო, რადგან მის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ დამოუკიდებელ ექსპერტს ანდა ექსპერტთა ჯგუფს და მისი არსებობის შესახებ კი მხოლოდ 2007 წლის ნოემბერში გახდა ცნობილი. ექსპერტების შეფასებით, რომ არა ეს მემორანდუმი, 2008 წლიდან ტარიფი გაიაფდებოდა.

ეს ყოველივე იწინავს, რომ მთავრობამ „ინტერ რაოს“ სასარგებლოდ საქართველოს მოსახლეობას უკვე მეორედ გამოუტანა მწვავე განაჩენი. როდესაც „ხრამქესის“ ტარიფის გაძვირების ფონზე „თელასი“ თბილისის მოსახლეობას ელექტროენერჯის ტარიფს გაუზრდის, მექანიკურად დენი გაძვირდება რეგიონებშიც. საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ნიკა გილაურის განცხადებით, ახალ პესებს ააშენებს „ენერჯო პრო“, შესაბამისად, მთავრობას ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით, ანალოგიური ხელშეკრულება (დამატებითი ინვესტიციების ჩადების მოტივით) „ენერჯო პროსთანაც“ ექნება გაფორმებული.

არ არის გამორიცხული, რომ ამ დროისთვის მთავრობამ ელექტროენერჯის ტარიფის დერეგულაცია გამოაცხადოს. გეგმის მიხედვით, პესების აშენების პარალელურად დენის ტარიფი თავისუფალ რეჟიმში უნდა მოექცეს.

„კანონმდებლობისა და ენერჯეტიკული რეგულაციის თვალსაზრისით ძალიან ახლოს ვართ ევროკავშირის რეგულაციებთან. ეტაპობრივად დერეგულირებაზე უნდა გავიდეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ დენის მიწოდების ნაწილის, როგორც გახშირდა, დერეგულირება უნდა მოხდეს“, – აცხადებდა ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე, მარიამ ვალიშვილი.

ექსპერტ რევაზ არველიძის განცხადებით, ელექტროენერჯეტიკა, როგორც ბუნებრივი მონოპოლია, ბევრ ქვეყანაში რეგულირებულია. ამიტომ ექსპერტი ტარიფის დერეგულირებას საქართველოშიც დაუშვებლად მიიჩნევს. „დიდი ხანია სამინისტროს ეს ჩანაფიქრი აქვს. სამომხმარებლო ტარიფი ახლაც და პერსპექტივაში რეგულირებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება კარტელური გარიგება და ტარიფი „ბაიქცევა“, – ამბობს არველიძე.

ცხადია, მონოპოლისტური ბაზარი კონკურენტულ ფასს ვერ შექმნის, შედეგად კი, მთავრობის გეგმის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობისთვის ტარიფის მორიგი გაძვირება ისედაც გარდაუვალი იყო. საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება-დისტრიბუცია, ფაქტობრივად, სამი მონოპოლისტის ხელშია. მუდმივად გაკოტრების რეჟიმში მყოფი „კახეთის ენერჯოლისტრიბუცია“, თბილისში – „თელასი“ და დანარჩენ საქართველოში – „ენერჯო პრო“.

მ. ხარაზიშვილი

### საქართველოში 260 000 ოჯახი საზღვარგარეთიდან ფულადი გადმორიცხვების ხარჯზე ცხოვრობს

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საზღვარგარეთიდან ფულადი გადმორიცხვების მოცულობა წლითწლით იზრდება. 2012 წლის იანვარში ქვეყანაში 84 მლნ დოლარი გადმორიცხდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10 მილიონით მეტია. გადმორიცხვების საერთო მოცულობის 88% რვა ქვეყანაზე მოდის. მათგან 41 მლნ დოლარით პირველ ადგილზეა რუსეთი, მეორეზე – საბერძნეთი (11 მლნ), მესამეზე – იტალია (8 მლნ). გად-



მორიცხვები ხორციელდება, აგრეთვე, აშშ-დან, უკრაინიდან, ესპანეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

როგორც ხედავთ, საქართველოს მოსახლეობაში არ შეიძლება გარკვეული სიმათიები არ არსებობდეს იმ რუსეთის მიმართ, რომელიც ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობისათვის შემოსავლების მთავარ ბუდედს წარმოადგენს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილსა და მის „ნაციონალ მესაყვირებს“ დღედაღამ ყბები აქვთ ამოგდებული რუსეთის ლანძღვა-გინებაში.

ექსპერტ სოსო არჩვაძის შეფასებით, ფულადი გადმორიცხვები საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როგორც მან რადიო „კომერსანტს“ განუცხადა, ამ ფულზე, დაახლოებით, 260 ათასი ოჯახია დამოკიდებული. მისივე თქმით, ეს არ არის არც ინვესტიცია და არც ბიზნესისთვის განკუთვნილი ფული. ძირითადად, ეს ერთჯერადი სახარჯო თანხაა ყოველდღიური საჭიროებისათვის. თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, შესაძლოა, ამ თანხის ნაწილი ბიზნესშიც გამოიყენება.

საქინფორმი

### ისრაელი ჯვრის მონასტერზე მოლაპარაკებებს უარყოფს

(ეს რომ სააკაშვილის ერთადერთი ტყუილი იყოს!?)

როგორც საქინფორმი იტყობინებოდა, მიმდინარე წლის 25 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში, თავდაცვის აკადემიაში, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელმაც პრეზიდენტის დაჯავლებით დაიწყო მუშაობა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის დაბრუნების საკითხზე“.

„ყველას მოეწონებოდა, გვერდზე დაგვიდგეს ამ ამბავში. მაღლობელი ვართ ისრაელის სახელმწიფოსი, რომელიც თანამშრომლობაზე მზადყოფნას გამოთქვამს“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მაშინ, 2012 წლის 27 თებერვალს, აღნიშნულ საკითხს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდიაძე გამოეხმაურა, რომლის ინფორმაციით, „სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, ამ საკითხზე უფრო ადრე იყო დაწყებული მუშაობა“.

„ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობს საქართველოს ელჩი ისრაელში... რთული სათქმელია, რა ეტაპზე არის მოლაპარაკებები“, – განაცხადა კალანდიაძემ.

მესამე დღეს კი ებრაულმა მედიამ აღნიშნულ საკითხზე გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იცრუა. კერძოდ,

საინფორმაციო პორტალი „IzRus“-ის ინფორმაციით, ისრაელი საქართველოსთვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების შესახებ მოლაპარაკებების არსებობას არ აღასტურებს.

იმავე ინფორმაციით, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში და პრემიერ-მინისტრის აპარატში ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. „ეს ჩვენთვის სიახლე იყო. მსგავსი არაფერი მსმენია“, – განუცხადა „IzRus“-ის კორესპონდენტს ისრაელის საგარეო უწყების პრესსპიკერმა ივალ პალიმორმა.

პორტალის ცნობით, მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია არც სამინისტროს ცენტრალური ვებგვერდისა და ვებზონის და არც რელიგიური საკითხების დეპარტამენტებში აქვთ.



# ნანა დევიდარიანი: “ჩესკუბლიკელთა ქართული ოცნება”

კომპეტენტურ ექსპერტთა აზრით, საქართველოში, 2011 წლის მთავარ პოლიტიკურ მოვლენად იქცა მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა. მისმა პირველმა საჯარო განცხადებამ: **“შენერდი, მიშა, შენ უფსკრულის პირას დგახარ”** აფეთქებული ბომბის ეფექტი გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ასევე მმართველ პარტიაში. ამან კი პანიკაში ჩაგარდნილ სააკაშვილსა და მისმა გარემოცვას არაორდინალური ნაბიჯები გადაადგმევინა.

ივანიშვილის განცხადებიდან ოთხი დღის შემდეგ 11 ოქტომბერს, მას და მის მეუღლეს – ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს. ივანიშვილის დღემდე არა აქვს აღდგენილი საქართველოს მოქალაქეობა, მოუხედავად იმისა, რომ მან უარი განაცხადა რუსეთის და საფრანგეთის მოქალაქეობაზე. სასამართლო საქართველოს მოქალაქეობა აღუდგინა მის მეუღლეს – ეკატერინე ხვედელიძის, მაგრამ სასამართლოს ეს დადგენილება პრეზიდენტმა სააკაშვილმა უნდა დამტკიცოს. მას ამ საკითხის რამდენიმე თვით გაჭინაურება შეუძლია. მიზეზი ისაა, რომ ივანიშვილმა ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენამდე გამოთქვა პოლიტიკური პარტიის შექმნის სურვილი, ახლა კი, როცა მის მეუღლეს ჯერ კიდევ არ აღდგენია მოქალაქეობა, განაცხადა, რომ ამ პარტიას ეკატერინე ხვედელიძე უხელმძღვანელებს.

თავის მხრივ, ეკატერინე ხვედელიძე უარაღივებს ამხვედლებს ქალის როლზე საქართველოს ისტორიაში. მაგრამ ამავე დროულად აცხადებს, რომ სააკაშვილი ვერ აუკრძალავს ბიძინა ივანიშვილს მეუღლისათვის რჩევების მიცემას. ადრე ივანიშვილს განზრახული ჰქონდა, რომ პარტიის სათავეში თავისი შვილი ჩაეყენებინა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ იგი ჯერ კიდევ 19 წლისაა და კანონმდებლობა არჩევნებში კენჭისყრის უფლებას უკრძალავს.

სახელისუფლებლო არხებმა საბაბი იშოვეს **“ოჯახური პოლიტიკის”** გასაპიარებლად. ჟურნალისტები, რომლებიც ბრალს სდებდნენ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურ არაკომპეტენტურობაში, კიდევ უფრო მეტი ხალხით შეუდგნენ მისი მეუღლის ქალბატონ ეკატერინეს კრიტიკას, რომელიც ბიძინაზე ნაკლებკომპეტენტურია ამ სფეროში. ხაზს უსვამდნენ იმსაც, რომ ბიძინა ივანიშვილი **“არავის არ ენდობა”, “ხედმეტად ეჭვიანი”** და სხვა.

სხვათა შორის, ივანიშვილის სუსტ წერტილად მიიჩნიათ არა მისი გაუთვითცნობიერება პოლიტიკაში, არამედ ის, რომ მან პარტნიორებად აირჩია **“რესპუბლიკელები”** და **“თავისუფალი დემოკრატები”**. ესენი ცნობილი პროამერიკული პარტიებია და, ამიტომ, ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: ეჩვენებინა ამერიკელებისთვის, რომ იგი არ აპირებს ქვეყნის პროდასავლური კურსის შეცვლას, მეორე მხრივ კი, მმართველ პარტიას არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ მისთვის **“კრემლის”** პროექტი ეწოდებინათ (რასაც ხელი არ შეუშლია **“ნაციონალისტების”**, რომ საჯაროდ და ჯოჯობად ეძახათ მათთვის **“კრემლის პროექტი”**). მაგრამ ამ არჩევანმა, ერთიანობაში, მაინც ვერ მოიპოვა პოპულარობა ამომრჩევლებში.

რესპუბლიკელთა რეიტინგი 2-3 პროცენტს არასოდეს აღემატებოდა და ისინი არჩევნებში მონაწილეობისათვის ყოველთვის რომელიმე ბლოკთან ერთად დებოდნენ. დამოუკიდებლად ისინი ვერასოდეს გადალახავენ საარჩევნო ბარიერს. **“ახალი დემოკრატები”** ახალი პარტიაა, მისი ლიდერი ირაკლი ალასანია ოპოზიციური ალიანსის ლიდერი გახლდათ 2010 წლის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს შექმნილი **“ალიანსი საქართველოსათვის”** რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას აერთიანებდა – თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია, ახალი მემარჯვენეები და სალომე ზურაბიშვილის **“საქართველოს გზა”**, თბილისის საკრებულოში მათ მიიღეს მხოლოდ 5 მანდატი (9%) (ნაციონალები – 25 მანდატი), თბილისის მერის არჩევნებში კი ხმების 55,2 პროცენტზე გაიმარჯვა ნაციონალთა კანდიდატმა გიგი უგულავამ. ირაკლი ალასანიამ მეორე ადგილზე გავიდა 19,05 პროცენტით.

არჩევნების დამთავრებიდან მოკლე დროში ალიანსი დასტოვა სოხარ სუბარმა (ყოფილი ომბუდსმენი, შემდეგ კი ირაკლი ოქრუაშვილის **“ქართული პარტის”** თავმჯდომარე), რომელმაც უარი თქვა თბილისის საკრებულოს მანდატზე. მანვე განაცხადა, რომ თუ არსებობს გამარჯვების შანსი, არ უნდა **“იბრძოლო დამარცხებისათვის”**. ალასანიამ ამას სისუსტის გამოვლენა უწოდა: **“არიან ადამიანები, რომლებიც პირველივე წარუმატებლობისას ჰკარგავენ საკუთარი თავის მიმართ რწმენას. ნამდვილ მემორებს წინააღმდეგობა მეტ ძალას სძენს. პირადად მე არასოდეს მქონდა გარანტირებული გამარჯვების იმედი. თვით ყველაზე მძიმე სიტუაციაშიც კი მე ვიმარჯვებოდი მხოლოდ საკუთარი ძიების რწმენითა და თანამებრძოლთა მხარდაჭერით და ამავე რწმენით გაგაგრძელებ მუშაობას. სოხარმა კი თავისი გზა აირჩია”**.

ორი კვირისთავზე ალიანსი დაიშალა. პოლიტიკურ წრეებში კი ხუმრობით ამბობდნენ: ალიანსი იმისათვის შეიქმნა, რომ თინა ხიდაშელი (რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მეუღლე) საკრებულოს წევრი გამხდარიყო. მიუხედავად ამისა, ივანიშვილი საზოგადოებამ მიიღო, რადგან მისხდადი ნიღბა იმდენად დიდი იყო, რომ რესპუბლიკელთა დაუძინებელი მტრებიც კი განუძინდნენ. ჭარბობდა აზრი, რომ მილიარდერი არ იმოქმედებს მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე, ჩადგება სამშობლოს სამსახურში, მისი ლიდერობის შემთხვევაში კი უემოდსენებული პარტიები ვერ მოახერხებენ საკუთარი ინტერესების ტორპედირებას. ყველაფერი კი პირიქით გამოვიდა (სადღესოდ): პოლიტიკური განცხადებებით გამოდიან ამ ორი პარტიის ლიდერები, ივანიშვილი კი არ რეაგირებს პოლიტიკურ პროცესებზე. მაგალითად, როცა 13 იანვარს მის მშობლიურ სანხერის რაიონში მის მხარდამტკიცებს სცემეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მან საპროტესტო განცხადება გაავრცელა მხოლოდ 24 იანვარს.

განსაკუთრებულ ყურადღება იმსახურებს ივანიშვილის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობა **“ქართული ოცნება”**. თავად სახელწოდება აღძრავს **“ამერიკული ოცნების”** ასოციაციას. ამას დიდად არ აღუფრთოვანება ოპოზიციურად განწყობილი ინტელექტუალები, რომლებიც თვლიან რომ საქართველო უნდა წავიდეს თავისი, და არა ამერიკული გზით. ბიძინა ივანიშვილის შეიღმა – რეკრუმა ბერამ სიმღერა შექმნა ქართულ ოცნებაზე, სადაც არის სიტყვები: **“მე პარიზში დავიბადე, მაგრამ თხემიდან ტერფამდე ქართული ვარ”**. რომ წარმოვიდგინოთ ივანიშვილის პოლიტიკურ სცენზე გამოჩენით გამოწვეული ეფორია, საკმარისია მოვიყვანოთ ფეისბუქში ბერასა და ჯონი დეპის ერთობლივი ფოტოსთან დაკავშირებული კომენტარი: **“ეს ბერაა, ვიცი, მაგრამ არ ვიცი ვინაა მეორე. მაგრამ კი გაუმართლა, ბერასთან ერთად რომ აქვს სურათი გადაღებული”**.

საზოგადოებრივი მოძრაობის პრეზენტაციაზე **“ნაციონალური”** ტელეარხები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დარბაზში ისხდნენ **“მეფელი სახეები”** ან **“შეგარდნადის სახეები”**. ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და საქართველოს ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე იძულებული გახდა განეცხადებინა: **“როცა მე წავედი შეგარდნადის ხელისუფლებიდან, სააკაშვილი იქ დარჩა. მე ვარ შეგარდნადის სახე, ვე კი არ არის”**.

**“ქართულმა ოცნებამ”** ამ თავდასხმების საპასუხოდ განაცხადა, რომ მათ არ მოუწევია ეს ხალხი და ისინი თავად მოვიდნენ პრეზენტაციაზე. როგორც ერთ საბჭოთა ფილმშია: **“ჩემი ბრალი არ არის, ის თვითონ მოვიდა”**

უკვე მაშინვე გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ ივანიშვილის გარემოცვაში არის პიროვნება, რომელიც ფილტრავს ხალხს და წვევს, ვინ უნდა მიუშვას ივანიშვილთან და ვინ – არა. თვალშისაცემი გახდა ისიც, რომ ეროვნული თვითშეგნების გამსჭვალული პარტიები ივანიშვილის თვალსაწიერში ვერ მოხვდნენ (ან თავად ივანიშვილმა არ ისურვა მათი დანახვა). ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ ივანიშვილმა პირველივე განცხადების დაკავებისას დაუშვა შეცდომა: არ შეიძლება ძლიერი და აგრესიული ხელისუფლების დამარცხება ორ, არც თუ ძლიერ და პოპულარულ პარტიასთან ერთად. მას

უნდა გამოეცხადებინა მთელი ოპოზიციური სპექტრის მობილიზაცია. სააკაშვილის რეკომს მხოლოდ გაერთიანებული ძალებით თუ დაამარცხებ. თუ ივანიშვილი კვლავაც ძველებურად გააგრძელებს, ალბათ შეიქმნება მესამე ცენტრი და საპროტესტო ხმები დაიფანტება, რაც სააკაშვილს სტატუს-კვოს შენარჩუნების საშუალებას მისცემს.

2012 წელს საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. ახალი კონსტიტუციის გათვალისწინებით, ხელისუფლების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მმართველი პარტია უმრავლესობით ვერ შევა პარლამენტში. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ ვინ გახდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. სწორედ საპარლამენტო არჩევნების შედეგი განსაზღვრავს, თუ ვინ ჩაუდგება სახელმწიფოს სათავეში შემდგომ წლებში.

შიდაპოლიტიკური სტაგნაციამ, რომელიც გამოიკვეთა ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შემდეგ, დღის წესრიგში დააყენა ახალი ლიდერის ან გაერთიანების გამოჩენის აუცილებლობა. პროამერიკული ძალები იმდენად ხშირად ხვდებოდნენ ამერიკის მმართველი წრეების წარმომადგენლებს, რომ სწორედ ეს შეიძლება დაქვეითდეს ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნის სტიმულად 2012 წლისათვის. სახეებით ნათელია, რომ სააკაშვილის პროამერიკული ოპოზიცია ხელისუფლებაში არჩევნების გზით ვერ მოვა. ამიტომ, სულაც არ არის დაუჯერებელი, რომ **“ლოკომოტივის”** ძებნა ისინი ივანიშვილთან მიიყვანა, რომელიც თავისი მასშტაბური ქველმოქმედებისა და სუფთა პოლიტიკური წარსულის გამო სახეებით ვარგისი გახლდათ ამ როლისათვის.

პირველი, ვინც საჯაროდ განაცხადა, რომ ივანიშვილი მორიგი **“ამერიკული პროექტია”**, ვისთანაც სურთ სააკაშვილის შეცვლა, გახლდათ ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი. მისმა ემოციურმა განცხადებებმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მისი პარტია დასტოვა საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანმა ნესტამ კირთაძემ. იგი ივანიშვილს შეხვდა და მის პოლიტიკურ გუნდში მიწვევის ნაცვლად მიიღო წინადადება, რომ შეექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებდა აფხაზეთთან და ოსეთთან კავშირების დამყარებისათვის. შემდეგ ლეიბორისტულ პარტიას გაემიჯნენ რეგიონალური აქტივისტები (უფრო მეტად იმერეთიდან, რადგან ივანიშვილი ამ კუთხის შეიღმა). ნათელაშვილმა საზოგადოებას შეახსენა, რომ მას არ დაუჯერეს 2003 წელს, როცა მან განაცხადა, რომ **“ვარდების რევოლუცია”** იყო მხოლოდ ხელისუფლების გადაცემის სპექტაკლი. მით უმეტეს, მას არც ამჯერად დაუჯერეს.

ივანიშვილის გამოჩენიდან ოთხ თვეში საზოგადოებაში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა შეკითხვები მისი გაერთიანების თაობაზე. იმის მოლოდინი, რომ იგი თავს მოუყრიდა სააკაშვილის ყველა მოწინააღმდეგეს, არ გამართლდა. გარდა ზემოაღნიშნული პარტიებისა, ივანიშვილმა ახლოს არ გაიკარა სხვა პარტიები, ზოგიერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა კი მიიღო საარჩევნო სიაში ინდივიდუალურად შეყვანის წინადადება. **“ხალხის პარტის”** ლიდერმა კობა დავითაშვილმა და **“კონსერვატორების”** თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა მიიღეს ეს წინადადება, **“ეროვნულ ფორუმთან”** მოლაპარაკებები ჭიანჭურდობა და შედეგი ჯერ არ სჩანს. ნინო ბურჯანაძის შემოერთებას ეწინააღმდეგებიან რესპუბლიკელებიც და თავისუფალი დემოკრატებიც. **“თავისუფალი საქართველო”** ლიდერი კახა კუკავა სვამს ლოგიკურ შეკითხვას: თუ ივანიშვილის გუნდი ყველაფერში იმერებს სააკაშვილის პროგრამას, მაშ რაშია განსხვავება მათ შორის?

მართლაც, საქმისადმი მათ მიდგომაში განსხვავების დაფიქსირება საკმაოდ რთულია. ისინიც და ესენიც ევროინტეგრაციის მომხრეები არიან. ორივე მხარე საუბრობს დემოკრატიაზე და ადამიანის უფლებებზე. სააკაშვილის ზოგიერთი რეგორმა ივანიშვილმა მოიწონა. კობა დავითაშვილი ღიად საუბრობს საყოველთაო ამინსტიკაზე; მაგალითად, მან თქვა, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისინი განაკუთვნიან დღევანდელი ხელისუფლების ბოლოებს. მაგრამ იგივე გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი, რომელიც ცნობილი იყო თავისი **“ხორცის მონოპოლით”** (ბაზარში შედიო-

და მხოლოდ მის სასაკლაოებზე დაკლული საქონლის ხორცი), თავად გაკოტრდა ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენით. ცდილობენ რა იმის დემონსტრირებას, რომ ანგარიშს არ გაუსწორებენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ისინი არ ითვალისწინებენ საზოგადოების განწყობას, რომლისთვისაც მთავარია არა ვინმეს დასჯა, არამედ სამართლიანობის აღდგენის იმედი.

სახეებით მოულოდნელი გახლდათ ალასანიას განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი მზად არიან პარლამენტში თანამშრომლონ ნაციონალურ მოძრაობასთან. ამან საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და ალასანიამ უმაღლესი დონის თანხის სიტყვები. ალასანიას მხრიდან ეს არ გახლდათ უკან დახევის ან სათანადო განმარტების გაკეთების პირველი შემთხვევა. ვნებათა დღევა მალე ჩაქრა, მაგრამ უპირატესად იმითომ, რომ ახალი გაერთიანების ლიდერად ითვლება ივანიშვილი და არა ალასანიას.

ქართული საზოგადოების საპირისპიროდ, **აშშ-ში** ლიდერად მიიჩნიათ სწორედ ალასანიას და არა ივანიშვილი. ამას წინათ ჟურნალიტმა ჯოს როგინმა ავტორიტეტული ამერიკული გამოცემა Foreign Policy-ის საიტის ბლოგზე დაწერა: **“ქართველმა მილიარდერმა და გამოჩენილმა ოპოზიციონერმა-დემუტატმა (მხედველობაში ჰყავს ალასანიას, რომელიც დემუტატი არ გახლავთ) ვაშინგტონში ახლახან წამოიწვეს ვრცელი ლობისტური კამპანია. თუ საქართველოს ხელისუფლების ლობისტურ კამპანიაზე ვაშინგტონში იწერება ხშირად, ამ ახლი კამპანიის თაობაზე თითქმის არაფერია ცნობილი. გუშინ ობამამ ოვალურ კაბინეტში მიიღო მიხეილ სააკაშვილი. ეს მტკიცებებს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში მიღწეულ წარმატებებზე და სააკაშვილის ლობისტების ნაყოფიერ მუშაობაზე ფირმიდან “Orion Strategies და The Podesta Group.” მაგრამ სააკაშვილს რომ გადაეფურცლა გაზეთით “The New York Times”-ი ან “The Washington Post”-ი, დანახავდა, რეკლამის უფლებით, დაბეჭდილ ღია წერილს ობამას სახელზე. პუბლიკაციის ფული გადაიხადა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სააკაშვილის მთავარ პოლიტიკურ მეტოქესთან – ირაკლი ალასანიასთან”**.

ამ წერილიდანაც ნათელია, რომ ამერიკაში ამ გაერთიანების ლიდერად ალასანიას მიიჩნევენ, ივანიშვილი კი მას უზრუნველყოფს ფულადი სახსრებითა და საკუთარი რეიტინგით. თუ გავიხსენებთ ნოემბერში ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ იგი პოლიტიკაში მოდის 2-3 წლით, ხოლო შემდეგ აპირებს ოპოზიციაში გადასვლას (საზოგადოებამ ვერასცხით ვერ ახსნა ამ განცხადების მოტივი), იქმნება შთაბეჭდილება, რომ მან კარგად იცის ის რთლი, რაც მას მიუჩინეს მოცემულ პოლიტიკურ თამაშში.

მიუხედავად ამისა, ივანიშვილის კარზე პირველ ვილინოდ ითვლება არა **“საკაშვილის მთავარი პოლიტიკური მეტოქე”**, არამედ რესპუბლიკური პარტია. ამ პარტიის სუბიექტური მიდგომა პოლიტიკური ძალებისა და პერსონებისადმი ზოგჯერ ირაციონალურ ჭრილში გადადის. თურქეთის მოთხოვნას, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების თაობაზე, თურქეთში ქართული რელიგიური ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ, დიდი სკანდალი მოჰყვა, რომლის შემდეგ რესპუბლიკელთა რეგიონალური ლიდერი მურმან დუმბაძე საპროტესტო მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. რესპუბლიკური პარტიის მთავარმა კომიტეტმა იგი თავისი რიგებიდან გარიცხა. გაზეთ **“ბათუმელებს”** გამოკითხვით დუმბაძე **“2011 წლის პოლიტიკოსი”** გახდა და რეიტინგით აჭარის მთავრობის მეთაურს ვარშალომიძეს გაუსწრო. აჭარლებს უკვირთ, თუ რატომ არ აირჩიეს დუმბაძე **“ქართული ოცნების”** აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელად. მაგრამ ძნელად ასახსნელი აქ არაფერია – მისი კანდიდატურის წინააღმდეგ რესპუბლიკელები გამოდიან, რომელთაც ვერ გადაუღალავთ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება დუმბაძის მიმართ. ეს კი ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდს აჭარის ხმებს დააკარგვინებს.

**ნანა დევიდარიანი**  
(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

# ქეზმარტება და მხოლოდ ქეზმარტება მეგრული ენის ლექსიკა და სიზუსტისარქონაპოვლობა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159)

(ანოტაცია)

„იმ ძველ ეპოქაში, ცხადია, არ იყო გარჩევა ზმნისა სახელისაგან, როგორც ეს თანამედროვე ენაში გვაქვს. მაშინ არც ზმნა არ იყო, არც სახელი, იყო მხოლოდ ბგერათა კომპლექსები, რომელთაც თავთავისი დანიშნულება ჰქონდათ“ (არნ. ჩიქობავა).

„სიტყვის მნიშვნელობა მდგომარეობს მიმართებაში სათანადო საგანზე, მოვლენაზე“.

„ენათმეცნიერებაში ეტიმოლოგია ნიშნავს სიტყვის ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენის ამოფარებას ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ დახასიათების მიგნებას, რომლის საფუძველზეც საგანს (თუ სხვა ობიექტურ მონაცემს) სახელი დაერქვა“ (არნ. ჩიქობავა).

„შეუძლებელია მოცემულ იქნეს სიტყვის სწორი ეტიმოლოგია სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე: უნდა ვიცოდეთ, რა არის სიტყვის მარტივი ფუძე და რა წარმოადგენს აფიქსებს. აფიქსები შეიძლება შეეზარდოს ფუძეს, შესაძლოა აფიქსისა და მარტივი ფუძის შემადგენლობამ ფონეტიკური პროცესების წყალობით განიცადოს ცვლილება – ან დაეკარგოს ბგერა, ანდა ჩაერთოს ახალი: განსაკუთრებით ადვილდება ეს მას შემდეგ, რაც „ჩაქრება“ ფუძეში ჩაქსოვილი წარმოდგენა და მანამდის ცოცხალი სახის შემცველი ფუძე უტყუარობით ნიშნავს იქცევა. სიტყვის სწორი ანალიზის გარეშე ეტიმოლოგიის საკითხის სწორად გადაჭრა შეუძლებელია; ეს თავისთავად ცხადი გახდება, თუ მოვიფიქრობთ, რომ ეტიმოლოგია მარტივ ფუძეში მოცემულ დახასიათებას ეძიებს, ფუძის გამოყოფა კი სიტყვის სწორ ანალიზზეა დამოკიდებული.“

„სიტყვის სწორი ანალიზის წინაპირობაა სიტყვის ბგერით შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა ზუსტი აღრიცხვა, რაც დიდად უწყობს ხელს უტყუარ ფუძის ამტკიცებლად“ (არნ. ჩიქობავა).

„ეტიმოლოგიური ანალიზის ძირითადი წესი მოითხოვს: სიტყვა სწორად დაგეგმვა და დაშლისას გამოყოფილი ყველა ნაწილი ავსხნათ, გაგააზრიანოთ“ (არნ. ჩიქობავა).

„აფიქსთა შემტეხობა ისეთ დროს არის წარმოქმნილი, რომ ისტორიული დოკუმენტური ძიება მათ ვერ სწავდება“ (არნ. ჩიქობავა).

„მაშინ როდესაც აფიქსები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ენაში მხოლოდ ფუძეები“, ზუსტად რომ ვთქვათ, ახლანდელი ფუძის-მაგვარი ერთეულები უნდა გვექონოდა.“ „ანალოგიურ დასკვნამდის მივიდა შედარებითი გრამატიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანც ბოპი“ (არნ. ჩიქობავა).

„უძველესი ინდოევროპული ვოკალიზმი დაიყვანება ერთ ხმოვნამდე (C ტიპისა), ხოლო ჯ და უ განიხილება, როგორც იმ სონანტთა მარცვლოვანი საფეხურები, რომლებიც ლარინგალურ ბგერათა გაქრების შემდეგ ვითარდებოდნენ“ (ჰ. ხორბელი, ა. ვალდე, ი. პოკორნი).

„ნებისმიერი თანამედროვე ენა იმ სიტყვების, ფორმების, ბგერებისა და კონსტრუქციების მხოლოდ ნაწილს ინარჩუნებს, რომლებიც მას წარსულში მონაპოვებოდა მაგრამ ამ შენარჩუნებულ ნაწილს შეუძლია დაგვეხმაროს, რომ უფრო სრულად აღვადგინოთ მოცემული ენის წარსულის სურათი და მაშასადამე, მისი ისტორიაც, რომელიც ზოგჯერ არცაა ფიქსირებული ძეგლებსა და დიალექტებში“.

„შეიძლება მეტიც ითქვას: ნებისმიერ ენაში ფიქსირებული მონაცემები შეიძლება დაგვეხმაროს არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული ენის წარსული სურათის, მისი თავგადასავლის კვლევა-ძიება-წარმოჩენაში, არამედ საერთოდ (ზოგადად) ენის ისტორიის კვლევა-ძიებაში“ (არნ. ჩიქობავა).

„სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს, და მაშასადამე, შემთხვევით კი არ იღებს სახელდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ სიტყვისა და ობიექტის

წარმოდგენითი მიმართების შესაფერისობას ემყარება, რომელშიც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ერთმანეთს ხვდება“ (დ. უზნაძე).

„ყოველი საგნის სახელი ჩაფერვლილ ვულკანსა გაგს, მიჩქმალულია და იღუმალი მისი შინაგანი ძალა ვიდრე ჟამის მოღვევამდის“ (კ. გამსახურდია).

„პოეტური ჰარმონიის, თვით პოეზიის საიდუმლო, ჩანს, ბგერისა და მნიშვნელობის იდეალურ კავშირში ძვეს“ (ჯ. ბონფანტი).

„საგნის სახელდების ბუნებრივობის თეორიას, რომელიც შეიქმნა ანტიკურ პერიოდში, და რომელიც თითქმის ერთსულოვნად უარყოფილია ამ უკანასკნელ დროს, გააჩნია თავისი რეალური საფუძველი“.

„საგნის სახელდებაში განსხვავებულობის მიზეზს შეადგენს არა არამოტივირებულობა, არამედ სახელდების პრინციპში არსებული განსხვავებანი“ (ბ. ჯორბენაძე).

„საკუთარი სახელი მუდამ მოტივირებულია, მაგრამ მოტივირებულობა შეიძლება დროდადრო დაბნელდეს, ხოლო ზოგჯერ სულაც გაქრეს. აქედან გამომდინარე, უფრო ზუსტი იქნება ასეთი ფორმულირება: საკუთარი სახელი მუდამ მოტივირებულია დიაქრონიულად, მაგრამ შეიძლება იყოს მოტივირებული ან არა-მოტივირებული სინქრონულ დონეზე, არა-მოტივირებულობა დაკავშირებულია ლინგვისტიკურ და ექსტრალინგვისტიკურ ფაქტორთა ზემოქმედებაზე“ (ბ. ჯორბენაძე).

„ენის წარმოშობის პრობლემა ისევე ძველია, როგორც ენა...“

„...მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით ენათმეცნიერებაში ყველაფერი გადაწყვეტილია, რომ გვაქვს მეცნიერულად დასაბუთებული და მიღებული თეორია“ (ბ. ჯორბენაძე).

„გულუბრყვილო და გასართობი თეორია მრავლად მოგვეპოვება, მათი მეცნიერული ღირებულებაა ფრიალ საეჭვო“ (ბ. ჯორბენაძე).

„შეუძლებელია ენა გაეუტოლოთ ნიშანთა სისტემას, რადგანაც სწორედ ნიშანთა სისტემის არსიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სხვადასხვა ენა არსებითად ერთსა და იმავეს აღნიშნავს, ოღონდ სხვადასხვა ნიშნის საშუალებით“ (ბ. ჯორბენაძე).

„...თუმცა ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორია, თითქმის უფრო გაგრძელებულია (განსაკუთრებით ენის, როგორც სემიოტიკური სისტემის დროს), მიუხედავად ამისა, აზრი იმის შესახებ, რომ საგანს სახელი ბუნების შესაბამისად აქვს შერქმეული, სულ უფრო მეტ დასაბუთებას პოულობს ამ ბოლო ხანებში, რაც, რასაკვირველია, არ გამოირიცხავს გარკვეული პირობითობის ფაქტორსაც“ (ბ. ჯორბენაძე).

„ხმოვანს ჰქონდა ერთი დანიშნულება, მარცვლის შექმნა, თანხმოვანთა წარმოქმნის გასაადვილებლად“ (ბ. ჯორბენაძე).

„...ხმოვნის მიმართ ივარაუდება: მცირე რაოდენობიდან მრავლისკენ: ამოსავალია მონოვოკალიზმი. მრავალხმოვანობა მეორეულია, თანხმოვნებთან ურთიერთობის შედეგი. სხვა მდგომარეობაა თანხმოვნებთან: თანხმოვანთა სისტემა მარტივდება“ (ბ. ჯორბენაძე).

„ენა სამყაროში არსებული ბგერების დახვეწისა და აბსტრაქციების შედეგადაა მიღებული“ (ბ. ჯორბენაძე).

„ენა მუსიკალური სტიქიონის ცნობიერი გამოცხადებაა და არა მარტოდენ ნიშანთა სისტემა. ენა შეთავსებს რაციონალურ და ირაციონალურ საწყისებს“ (ზ. გამსახურდია).

„აღნიშნული მოსაზრებებს, დებულებებსა და თეორიებს საგნებით ასაბუთებენ წინამდებარე ნაშრომში (შეიდგომეულში) წარმოდგენილი ცოცხალი ენობრივი მონაცემები, ჩვენს მიერ შემუშავებული დებულებები და დასკვნები. მათს ჭეშმარიტებასა და მეცნიერებულობაში ეჭვის შეტანა უთუოდ შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია ეჭვის შეტანა დასახელებული საყოველთაოდ ცნობილი ავტორებისა და ენათმეცნიერების კორიფე-

ბის მეცნიერებულობაში. ამიტომაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ზემოთდასახელებულ და სხვა ცნობილ ლინგვისტებს, ჭეშმარიტად დიდ მეცნიერებს, ვინც ენობრივი ნიშნის ბუნებრივობის თეორიას აღიარებენ და აღნიშნულ და ანალოგიურ მოსაზრებებს, დებულებებსა თუ თეორიებს წარმოგიდგენენ, ჩვენ, დიდის მოკრძალებით, საგნებით საფუძვლიანად, ჩვენი წინამდებარე და სხვა ნაშრომების საპატიო რეცეზივებშიც უნდა მივიჩნიოთ.“

ამჯერად საზგასმით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის დანახვა და წარმოჩენა შესაძლებელი გახდა გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის – ესოდენ საინტერესო მონაცემების საფუძველზე.“

მეგრული ენის, საერთოდ ქართველური ენების და მათი დიალექტების განსაკუთრებული მნიშვნელობა, თავის დროზე, მხედველობიდან არ გამოპარვიათ ჭეშმარიტ ენათმეცნიერებს, ცნობილ ადამიანებს, ამაზე მეტყველებენ მათი შემდგომი შეფასებებიც:

„ლაზურ-მეგრული და სვანური შუქსა ჰყვენს ჩვენის საერთო და საზოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჯერ კიდევ ჩვენის ერის ისტორია არც კი დაწყებულიყო: ბგერი ძირი და ფეხი ჩვენის სიტყვებისა, აწ უკვე გაუგებარი, შესაძლოა მივაკვლიოთ ამ იდიომების შესწავლით“ (გ. ყიფშიძე). (ხაზგასმა აქ და ქვემოთაც ჩვენია, – მ. დ., ც. დ.).

„საერთო ქართულის ისტორიული საკითხების შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით მოძვე კოლხურ-სვანურ მონაცემებს. ამათი შედარებით ანალიზის გზით ირკვევა არა ერთი და ორი ბუნდოვანი მხარე ჩვენი ენის ისტორიული განვითარებისა“ (აკ. შანიძე).

„...ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდიომები ქართველი (ქართველური) ტომებისა: ჭანებისა, მეგრულებისა და სვანების, რომელთაც არა აქვთ დამწერლობა. ამ ხალხებში ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივ ყოფაში – მუდმივი წყის მდგომარეობაში, და სწორედ ამ ენებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა სწორად წარვმართოთ ქართული ენის ზრდა და განვითარება“ (ალ. ცაგარელი).

„ხშირად კილო-კავებში უფრო ძველი ენობრივი მოვლენებია დაცული, ვიდრე სალიტერატურო ქართულში და ამიტომ ენის ისტორიისათვის დიალექტებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს“.

„კილოები უფრო სრულად ინახავენ ენის ცხოვრებას; რიგ შემთხვევებში, ისინი, არაფიქსირებული წარსულის შესწავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ“ (ნ. მარი).

„...ძველ ქართულ ენაში, რომელიც მწველობითი და მაშასადამე, რამდენადმე ხელოვნური ენაა, მონანს ასიმილატორული ტენდენციების წინააღმდეგი მიდრეკილება – დაცული იქნას მწყობრი და ბროლივით წმინდა მორფოლოგიური და ეტიმოლოგიური სტრუქტურა ენისა; მეგრულში კი, რომელიც სალიტერატურო ენა არ არის, პირიქით, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს, რომელიც არ არის შემოზღუდული არავითარი საგრამატიკო კანონით, ამორქვეს ხოლმე იქ ის მძლავრი ასიმილატორული ნაკადი“ (ი. ყიფშიძე).

„...მეგრული ენა ლინგვისტურად თავისებური ენა არის, ქართულის მძა ენა და მიტომაც დიახ ძვირფას მასალას გვაძლევს როგორც ზოგად განყენებით ენათმეცნიერებისათვის, ვგრე თვით ქართველთა სიტყვიერებისათვის, რადგან ერთი უსაჭიროესი წყაროთაგანია ქართული ენის თეორიის გამოსავლენად და ნამდვილი გარამატიკის დასაფუძვლებლად და მისი შესწავლა გვიქადის ქართველთა ეროვნული სულის ჰორიზონტის გაფართოებას, ჩვენი დედა ენის შეგნებასა და გაფართოებას“.

„როცა ქართულის მონათესავე ენები გახდნენ შესწავლის საგნად, როცა ამ მონათესავე ენების კილოები დახასიათდნენ და გვიჩვენეს შესანიშნავი სიმდიდრე, ქართული სალიტერატურო ენა, ძველიც და ახალიც ერთად შეერთებული, მათთან ნაკლებოვანი აღმოჩნდა. ამიტომ წარმოიშ-

ვა შეუწყნარებლად მკაცრი მოთხოვნილება, აუცილებელი საჭიროება ქართული კილოების – იმერულის, გურულის, იმერხულის, ფშაურის და სხვათა შესწავლისა“.

„იფეტურ ენათა ოჯახი საშუალებას გვაძლევს მათი შესწავლის გზით მივაწიოთ იქ, სადაც კაცობრიული ენისა და ცხოველთა მეტყველების ზღვარი ძვეს“.

„ქართულსა და მის მონათესავე ენებს ფართოდ უნდა გაეღოს კარი ყოველ უნივერსიტეტში.“

„...დღეს უკვე შესაგნებია, თუ რა ძვირფას განძს უნდა წარმოადგენდეს ქართული და მისი მოძვე ენები მეცნიერებსათვის. ...მხოლოდ მათში არის დაუნჯებული ცოცხლად... კაცობრიობის... ისტორიის გადმონაშობები“.

„...დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად... კაცობრიობის კულტურულ სუბიექტთა ვერც ერთი საკითხი ვერ გადაიტარება, ვერც ერთი უნივერსიტეტი სათანადო დარგში უქართულსაგნოდ წარმოსადგენი ვერ იქნება“.

„ქართულს... ჩემთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, ფრიალი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოდგენილი დიდება მოელის მეცნიერებაში“ (ნ. მარი).

მეგრული ენის მონაცემები, ჩვენმიერი გამოკვლევის შედეგები, ვფიქრობთ, საგნებით ასაბუთებენ ზემოაღნიშნულ მოსაზრებებსაც.

ყოველივე ამის გამო, სჭირდება, ჩვენის აზრით, ამ ენას განსაკუთრებული მოვლა და დაცვა გადაშენებისაგან, და არა წაბიძგება ასეთისკენ, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთები ამკარად ავლენენ.

დასასრულს, ენის ფუნქციონირება დაკავშირებით, შეიძლება გავაანალიზოთ ერთი საყურადღებო გარემოებაც და გამოვიტანოთ დასკვნები მის შესახებაც: როგორც ცნობილია და ზემოთაც აღვნიშნეთ, დედამიწაზე დღესათვის 5545 ენის თივლიან, და ესენი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენობრივი ნიშნებითაც (თუმცა ამის მიხედვით, მსგავსი ფორმებიც გააჩნიათ, – ცხადია, ამათი ხმაბაძებითი წარმომავლობის საფუძველზე), სამეტყველო ბგერითი შემადგენლობითაც და ენის ლექსიკის სიმდიდრითაც.


როგორც ვხედავთ, თანამედროვე განვითარებული ენები ათობით-ათასი სიტყვისაგან, ზოგჯერ ასობით-ათასი და, გამონაკლის შემთხვევაში, მილიონობით სიტყვისაგანაც კი შედგებიან. მაგრამ არის ისეთი ენებიც (ველურ ადამიანებში), რომელთა ლექსიკა 50-მდე სიტყვისაგან შედგება.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამეტყველო ბგერითი შემადგენლობითაც. ასე, მაგალითად, თანამედროვე ქართულში 33 ბგერა გვაქვს, მაგრამ როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, არის ისეთი ენაც, რომელშიც 15 ბგერაა წარმოდგენილი. აფხაზურში გვაქვს 2 ხმოვანი (ა, უ), არაბულში 3 ხმოვანი (ა, ი, უ). ასეთ პირობებში ქართულში გვაქვს 5 ხმოვანი, მეგრულში 6, სვანური ენის ლაშურ დიალექტში 6 ხმოვანი, ამავე ენის ბალსქვემოტურ დიალექტში 12 ხმოვანი, ხოლო ბალსქვემოტურში 18 ხმოვანი. ქართულში გვაქვს 26 თანხმოვანი, მეგრულში 27 თანხმოვანი, ხოლო აფხაზური ენის ტაფანტურ დიალექტში 75 თანხმოვანი და ა. შ.

დედამიწაზე, მის სხვადასხვა კონტინენტზე, მოსახლე ადამიანები განიყოფიან სხვადასხვა ერებად და ეროვნებებად. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ენით, (მისი რიგი მონაცემებით) არამედ, კანის ფერითაც, (კერძოდ, არიან თეთრკანიანები, შავკანიანები და ყვითელკანიანები), სახიერებითაც, ანუ გარეგნობითაც, კულტურითაც, ადამიწებისათაც, ხე-ჩვეულებებითაც და ა. შ.

აღნიშნული და სხვა ნიშან-თვისებების მიხედვით, საკვებით ნათელია, რომ დედამიწაზე არსებობენ მონათესავე ადამიანები.

მამანტი ძაბამია – პროფესორი, აკადემიკოსი.  
ცირა ძაბამია – პროფესორი, აკადემიკოსი.



# ბერია XX საუბუნის საუბითოსო მინიჭარი

## თარგანი როლანდ ჯალალნიასი

### სარგანი ქრემლი

მწერალმა ვლადიმერ კარპოვმა, რომელსაც ბრმად და ფრთხილ უახლოდ სძულს ბერია, მისდა უნებლიედ ნათელი მოჰქონა ბერიას დაპატიმრებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, როცა აღწერა ამ ფაქტთან კავშირში მყოფი მთელი ის შეუსაბამობები, რომელიც გააქვდა საბჭოთა კავშირის მარშალ ქუკოვის მოგონებებში. მისი ორი წიგნი სხვადასხვა დროს გამოიცა. ერთია – კრებული **“ბერია – კარიერის დასასრული”** (1991 წელი), მეორე კი – **“უშუკოვი – მხედართმთავარი და ადამიანი”** (1988 წელი). კარპოვის მოქავეს რიგი შეუსაბამობებისა. მაგალითად:

**გამოიბახა ბულგანინმა; გამოიბახა ხრუშჩოვმა; ბულგანინთან ერთად მისი მანქანით წავიდა კრემლში; თავისით მივიდა კრემლში, როცა ხრუშჩოვმა გამოიბახა; საუბარი პრეზიდენტის სხდომის დარბაზში;**

**საუბარი ხრუშჩოვის კაბინეტში; ბერიას დაპატიმრების საკითხის ინიციატორია მალენკოვი; ბერიას დაპატიმრების საკითხის ინიციატორია ხრუშჩოვი;**

მწერალი იური მუხინი, ანალიზებს რა ამ და სხვა ავტორთა მიერ დაშვებულ უზუსტობებს (რაც საკმაოდ მეტია) აკეთებს დასკვნას, რომ ისინი ყველანი ცრუობენ. და ტყუიან, თითქოს იმიტომ, რომ ბერია დაპატიმრებისთანავე დახვრიტეს, და ა.შ.

არც მთლად მასეა საქმე. კი ცრუობენ, მაგრამ ამას სხვადასხვა მიზეზი გააჩნია. ჯერ ერთი, ტყუიან კრიმინალისტების, როგორც მოვლენათა მოწმეების მიერ მოწოდებული დეზინფორმაციის მიზეზით. ესე იგი, ტყუილ არა შეგნებულად, არამედ ამ მწვევე კონფლიქტის კომპეტენტურ მოწმეთა გავლენით. მაგრამ მრავალი მათგანი შეგნებულად ცრუობს. ზოგს სურს პასუხისმგებლობა აირიდოს თავიდან, ზოგი კი ვიდაციის შეკვეთით აყენებს სიცრუის კორინტელს, რათა მავანის კული არ გამოინდეს. ზოგს კი სიცრუისადმი დიდი სიყვარული ამოძრავებს... ამ თვისებას კი საკმაოდ დიდი ასაკი გააჩნია – იგი სათავეს იღებს 1953 წლის 2 ივლისიდან, როცა გაიმართა სკკპ ცეკას **“ანტიბერიალური”** პლენუმი.

მაგრამ ბერიას დახვრეტას მისი დაპატიმრებისთანავე მაშინ ვერავინ გაბედავდა. აქ კი ვთავაზობ მკითხველს, რომ ერთად ვიფიქროთ მაშინ განვითარებულ მოვლენებზე. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეიძლება განვითარებულ იქნას იმ დროის დიდად საინტერესო ინტრიგა.

აი, ნიკიტა ხრუშჩოვმა – მარტოსულმა თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტის წევრთაგან ვინმესთან ერთად – მოიპატიჟა თავისთან ქუკოვი და მოსკალენკო და განუცხადა, რომ **“არსებობს აზრი”** ბერიას დაპატიმრების თაობაზე, ამა და ამ მიზეზის გამო და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტი სწორედ მათ ავალებს აღსრულებას.

ნაკლებ სარწმუნოა, რომ ამ განცხადების შემდეგ გენერლებს თავზარი არ დაეცემოდათ, მაგრამ, ისიც ნაკლებ სარწმუნოა, რომ ამ დავალების შესრულებისაგან ისინი თავს შეიკავებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის უმაღლეს მმართველ ორგანოს პარტია წარმოაგენდა და ამგვარ დავალებზე პასუხისმგებლობა სწორედ პარტიას დაეკისრებოდა და არა კონკრეტულ შემსრულებლებს.

ბერიასადმი ქუკოვის ზიზღე აგებული რიგი მონათხრობებისა (სხვათა შორის, სერგო ბერია უარყოფდა ამგვარ ფაქტს),

ეს სიძულვილი საქმეზე დიდ გავლენას ვერ მოახდენდა, რადგან ქუკოვი, უბრალოდ, ვერ მოახერხებდა ბერიაზე ორმოციანი წლებში რაიმე მაკომომენტირებული მასალების შეგროვებას, მით უმეტეს, რომ მას არავითარი კავშირი არ გააჩნდა სპეცსამსახურებთან. მე ამაზე იმიტომ ვაზიარებ ყურადღებას, რომ რიგი ავტორები სწორედ ამ მოტივს უძებნენ სარწმუნოდ საკუთარ ნაწარმოებებს.

დავუბრუნდეთ დაპატიმრების ანალიზს. მიიღეს რა ამგვარი დავალება, გენერლებს არ შეეძლოთ დაბეჯითებით მოეთხოვათ ბერიას დაპატიმრების ორდერის გამოწერა. ერთის მხრივ, ორდერის გამოწერის პროცედურის შესრულებისას შეიძლება მომხდარიყო ინფორმაციის გაჟონვა, მეორეს მხრივ კი, დაპატიმრება უნდა მომხდარიყო პარტიის ხელმძღვანელთა თანდასწრებით და ამ პროცესში მონაწილეთა დასწრება კანტეგორულად გამორიცხავდა ბრალდებას სამხედროების მიმართ, რომ მათ დაარღვიეს საბჭოთა კანონები. წესდების მიხედვით უნდა შესრულდეს უკანასკნელი ბრძანება, ხოლო წინა ბრძანების შეცვლაზე პასუხისმგებელია ის, ვინც უკანასკნელი ბრძანება გასცა.

მაგრამ, დავუშვათ, ეს სამართლიანია ბერიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ადამიანის დაპატიმრება ფრთხილ პირობითი მცნებაა – დღეს კაცი დაპატიმრეს, მაგრამ ხვალ შეიძლება იგი გაანთავისუფლონ. მაგრამ, როგორ უნდა განვიხილოთ არასანქცინირებულად ადამიანის დახვრეტა? პრინციპში, ამას ხომ გამოუსწორებელ შედეგამდე მივყავართ?

ბერიას დაპატიმრება სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე ქუკოვს, მოსკალენკოს, ბატცკის და სხვა ნებისმიერს, დავუშვათ, შეეძლო... მაგრამ მისი დახვრეტა გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, თუნდაც ქალაქზე დაწერილი ბრძანების გარეშე?

არა, კანონის ასეთ საშინელ დარღვევაზე ძნელი იქნებოდა ვინმეს დათანხმება. აქ საჭირო იქნებოდა თუნდაც რაიმე მატერიალური კონტრაქტი, თუნდაც ხრუშჩოვის, ან პრეზიდენტის რამდენიმე წევრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი სანქცია. მაგრამ შეეძლო ნიკიტა ხრუშჩოვს ამგვარი წერილობითი სანქციის გაცემა? რა თქმა უნდა, არ შეეძლო! ამიტომ, ლავრენტი ბერია ჯერ დაპატიმრებული იქნა და შემდეგ კი იზოლირებული, მაგრამ იგი მაშინვე არ დაუხვრეტია.

არა და, რამდენი რამაა დაწერილი იმ დღესა და ბერიას უკანასკნელ დამეხე, თანაც დოკუმენტურად **“დამტკიცებული”**, რომელსაც მასზე გამოყენებული ფარატინა ქალაქის დირექტორებმა კი არ გააჩნია. და ისიც კი მიეკვირს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში რომელიმე თავგადასავლების მოყვარულმა ლტერატორმა ტრილერისათვის სცენარი რატომ არ შეთხზა. მასში ადბეჭდილი იქნებოდა სატანკო კოლონების სვლა მოსკოვის ქუჩებში, **“მიგალოვოს”** სამხედრო აეროდრომზე განლაგებული **“მიგ”**-ები, **“ილ-76”**-ები და სხვა ბომბდამშენები, საბჭოთა კავშირის სხვა ავიაციის განყოფილების განყოფილება, დოლოგუშინის ხელმძღვანელობით, და თავად დოლოგუშინი, იმის დარღვევით გათანჯული, შესრულებულს თუ არა მოსკოვის სამხედრო საჰაერო ძალების მთავარსარდლის, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკის კრასოვსკის ბრძანება, თუ იგი კრემლის დაბომბვას გადაწყვეტს... მართლაც რომ მიმზიდველი სურათი დაიხატებოდა პოდოლსკისა და კუბინის სამხედრო აეროდრომებზე, სადაც საბრძოლო მზადყოფნაში მოვიდოდნენ ავიაგამანაღურებლები და როგორი ფაციფუცით დაიკავებდნენ ადგილებს შტურვალებთან სამხედრო მფრინავები, ან თუნდაც ის, თუ როგორი სამხედრო შემართებით წამოვიდოდნენ, მოსკოვის ცენტრისაკენ სატანკო ბრიგადები, კიევის მოსკეს გავლით...

სხვადასხვა ავტორები, თუნდაც ისეთი სერიოზული ისტორიკოსები, როგორცაა იური ქუკოვი, ამტკიცებენ, რომ ყველაფერი სწორედ ამ სცენარით მიდიოდა. ქუკოვი, ეყრდნობა რა ვიდაც ინფორმაციის წყაროს, ამტკიცებს, რომ კიევის მოსკეს გავლით შემოდიოდა არა მხოლოდ სატანკო ბრიგადები, არამედ კანტემიროვის მოტომსროლელთა დივიზიაც და...

და მართლაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი ზუსტად ასე განვითარდებოდა, თუ ხრუშჩოვი და მისი თანამხრახველები გადაწყვეტდნენ ჩატარებინათ ეფექტური შოუ სახელწოდებით **“ბერიას შეთქმულების აღმოფხვრა”**. მაგრამ, 1953 წელს ასეთი შოუების მოწოდება ნამდვილად არ იყო მოდაში, და ამიტომაც შეიძლება საფუძვლიანი ეჭვის შეტანა იმაში, რომ ზოგიერთი თანამედროვე **“მოგონებების”** მიხედვით სიტუაცია ნამდვილად ამგვარი სცენარით მიმდინარეობდა. მოსკოვში მართლაც რომ მომხდარიყო ამგვარი რამ, ბერიას წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას აშკარად შეაფერხებდნენ ჭორები და მითქმა-მითქმა. და ეს ხმები წამსვე გავრცელდებოდა მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ასე არ მომხდარა.

არა, არ გაუცია გენერალ კრასოვსკის გენერალ დოლოგუშინისათვის მოსკოვის კრემლის დაბომბვის ბრძანება და არც კანტემიროვის დივიზიის გადაუკეცია კრემლიდან მომავალი გზები, რომელმაც მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ – 1993 წლის ოქტომბერში თავადვე შელახა საკუთარი მომრეული ღირსება, როცა ცეცხლი გაუქსნა საბჭოთა ხელისუფლებას.

თუმცა, მე არ გამოვიცხავ, რომ სამხედრო წრეებში იყო გარკვეული შფოთი, გამოცხადდა განგაში და ტანკების რაღაც რაოდენობა მართლაც გამოყვანილი იქნა დისლოკაციის ადგილიდან და ა.შ. ამგვარი მოძრაობა იყო, რადგან რეალურად უნდა შეექმნათ **“შეთქმულების”** გამოაშკარავების და საწინააღმდეგო ღონისძიებების მიღების სურათი.

და მართლაც, მოსკოვის ქუჩებში მოვლენები ამგვარი სცენარით რომ განვითარებულყოფი, მთავრობა ვერასეზოთ ვერ მოახერხებდა, რომ ორი-სამი დღის განმავლობაში ინფორმაციულ ვაკუუმში ემყოფებინა ხალხი. მე ამ პაუზაზეც მოგახსენებ მოგვიანებით, ახლა კი, აი, რა მინდა გითხროს...

ძვირფასო მკითხველო! ჩემს მიერ ზემოთ აღწერილი პირობებში ტრილერი მე ჯერ კიდევ მანამდე შეეჭმენი, ვიდრე ყოველკვირეული გამოცემა **“ანტენა ტელევიდი”** (2007 წლის 12-18 ნოემბერი) დაბეჭდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ვინმე ალექსეი პიმენოვმა გადაიღო 8-სერიანი სერიალი სათაურით **“ნადირობა ბერიაზე”**. პრემიერა უნდა გამართულიყო 2008 წლის 5 მარტს – სტალინი გარდაცვალებიდან 55 წლის თავზე.

ამ სტრიტინებს კი მე გვქვ 2007 წლის 18 ნოემბერს. მაგრამ სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ პიმენოვის ფილმში აუცილებლად იქნება ჩემს მიერ ზემოთ აღწერილი სცენები და ამიტომ წინასწარ ვაცხადებ, რომ პიმენოვის ფილმი ჩვეულებრივი პასქვილი იქნება, რადგან პიმენოვებსა და მისთანებს მხოლოდ პასქვილების გამოცხობა შეუძლიათ.

ახლა კი იმის თაობაზე, თუ როგორი იყო ინფორმაციული პაუზა იმ დღეებში...

ავტორი წიგნისა **“სოციალიზმის დროის ბანდიტები”** თეველორე იბათის ძე რაზაკოვი ამტკიცებს, რომ სწორედ ბერია იღვა **“საბჭოთა საზოგადოების დესტალინიზაციის”** სათავეებთან და ხელს უწყობდა იმ გარემოებებს, რომ სტალინის სახელი თანდათან გამქრალიყო საბჭოთა პრესის ფურცლებიდან. თავის მიერ წამოწერილი ამ თეზისის განსამტკიცებლად რაზაკოვმა გადახედა გაზეთ **“პრავდის”** ნომრებს 1953 წლის ივნისის ბოლომდე, ვიდრე ბერიას დააკავედნენ, და **“ადმოაჩინა”**, რომ ამ პერიოდისათვის სტალინი სულ ერთხელ იყო ნახსენები, მაგრამ, თითქოს, ბერიას დაპატიმრების პირველივე კვირას სტალინის სახელი მოხსენებული იყო 12-ჯერ.

რაზაკოვის ამ სატყუო მტკიცებულებამ მიკარნახა, რომ კიდევ ერთხელ გადაამეგლო თვალს გაზეთ **“პრავდის”** 1953 წლის არქივებისაგან. ამრიგად, აღმოვაჩინე, რომ თეველორე იბათის ძე რაზაკოვს მთლად ზუსტად ვერ დაუთვლია ის, რაც ვითომ დათვალა. მართალია, აღნიშნულ პერიოდში სტალინის სახელი ცენტრალურ პრესაში არც თუ ძალიან ხშირად იბეჭდებოდა, მაგრამ არა ისე მცირედ, როგორც ამას რაზაკოვი ამტკიცებს. მაგრამ შეეძლო კი ლავრენტი ბერიას რაიმე გავლენა ჰქონოდა ამ პროცესზე? მას ხომ ამ სფეროსთან არასოდეს ჰქონია შეხება და თავისი მ-

კიცე შეხედულებებითაც გამოირჩეოდა **“ცეკას იდეოლოგიური ფრონტის მეომრებისაგან”**.

1953 წლის სამგლოვიარო დღეების შემდეგ არც გაზეთ **“პრავდის”** მოწინავეში და არც იდეოლოგიური შინაარსის წერილებში საერთოდ არ იყო მოხსენებული კონკრეტულად რომელიმე უმაღლესი ხელისუფლის სახელი – გაძლიერებულად ჟღერდა მხოლოდ ტერმინი **“კოლექტიური ხელმძღვანელობა”**. ამასთან, **“პრავდის”** ისეთ მოწინავე წერილებში, როგორებიცაა 1953 წლის 27 მაისს გამოქვეყნებული **“კომკავშირული ორგანიზაციების ძირეული ამოცანები”** და 22 ივნისს გამოქვეყნებული **“საბჭოთა წყობის სიძლიერე”**, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, საერთოდ არ გვხვდება სტალინის სახელი. მაგრამ, ამ პერიოდის გაზეთებში სჭარბობდა სტატიები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობების საკითხებზე და მემინდერეობის ან მეცხოველეობის პრობლემათა გაშუქებისას არ გახლდათ აუცილებელი იოსებ სტალინის მოხსენიება. თანაც, ამ დროისათვის ბერიას საქმეები მართლაც თავზე საერვლად ჰქონდა და სასწრაფო **“დესტალინიზაციაზე”** ფიქრის დრო მას ნამდვილად არ ექნებოდა.

ბერიას დაპატიმრების შემდეგ რომ **“პრავდის”** მოწინავე წერილებში სტალინი პუბლიკაციებმა იმატეს, ეს ფაქტია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ **“კოლექტიური ხელმძღვანელობა”** ტრამპლინის იმხადებდა შემდეგი ნახტომისათვის. ორი-სამი თვის შემდეგ **“პრავდაში”** წერილებმა სტალინი მნიშვნელოვნად იკლო და 1953 წლის 21 დეკემბერსაც კი, სტალინის დაბადების დღეს, **“პრავდას”** ერთი სტრიქონიც კი არ დაუბეჭდია იმაზე, თუ რითი იყო ეს დღე ღირსშესანიშნავი! თითქოს დაუჯერებელია! მაგრამ – ფაქტია!

გუბრუნდები რა დაპატიმრების თემას, გაცნობებთ, რომ რაზაკოვის **“ჩამოწოდების”** შედეგად მე კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი დავადინე. არამც თუ ბერიას დაპატიმრების პირველი კვირის განმავლობაში, არამედ 27 ივნისიდან 10 ივლისამდე (!), ჩემდა გასაკვირად, გაზეთ **“პრავდაში”** არცერთხელ არ არის მოხსენიებული ლავრენტი ბერიას სახელი.

როგორც მკითხველს ახსოვს, იგი დაპატიმრეს პარასკევს, 26 ივნისს. მაგრამ არც 27, არც 28, არც 29 არც 30 ივნისს და არც 1 და არც 2 ივლისს – სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღეს, რომლის დაწყების თაობაზე არაფერი დაბეჭდილა **“პრავდაში”** **“იმპერიალიზმის აგენტსა”** და **“ხალხის მტერ”** ბერიაზე ერთი სტევაც კი არ არის ნათქვამი!

შეიძებოდა კი საბჭოთა პრესა ყოფილიყო ასე მიუხედავად, ლავრენტი ბერიას დაპატიმრების საქმე ხელდახელ რომ არ შეეერთნებოდა, და მით უმეტეს, თუ ამ დღეებში მოსკოვის წითელი მოედანი დაურუებულიყო ყოფილიყო ტანკების მუხლუხითა ღრჭიალით?

ნაკლებ სარწმუნოა...  
ბოშბი მხოლოდ 10 ივლისს აფეთქდა, როცა **“პრავდის”** მოწინავეში გაჩნდა წერილი **“ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ”**.

**“ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.”**

პლენუმმა განიხილა რა ამხანაგ გ.მ. მალენკოვის მოხსენება ლ.პ. ბერიას ანტი-სახელმწიფოებრივ, ანტიპარტიულ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის საზიანოდ და ემსახურებოდა უცხოური კაპიტალის ინტერესებს. იგი ცდილობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო დაეყენებინა მთავრობასა და კომუნისტურ პარტიაზე მადლა. პლენუმმა გამოიყვანა ბერია სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტერი.

ამ ინფორმაციის ავტორები არც კი დაფიქრებულან იმაზე, თუ როგორი ანსურდი გამოაქვეყნეს! თუ მკაცრი ლოგიკით მივუდგებით მათ ნაცოდვილარს, გამოდის, რომ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო უცხოური კაპიტალის ორგანო.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას მაშინ ლოგიკისათვის არ სცხელოდა!  
**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# სააკაშვილის პარლამენტში (ქვეყნიდან) გამოსვლის შესახებ

**„მომზადების მიუხედავად, ბაღათურას გამოსვლისთვის ის მაინც არ აღმოჩნდა მზად და დაკარგა კონტროლი...“ – ზურაბ ბიგვაძე**

„ფსიქოლოგი, პროფესორი **ზურაბ ბიგვაძე** ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრია, თუმცა რამდენიმე წლის იგი მიხედვით სააკაშვილთანაც მუშაობდა სწორედ ფსიქოლოგიური მომზადების კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქოლოგი მიხედვით სააკაშვილს პირადად იცნობს. ჟურნალისტებმა სწორედ მას სთხოვეს პარლამენტში მიხედვით სააკაშვილის გამოსვლის ფსიქოლოგიური ანალიზი:

– „ბუნებრივია, პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა პარლამენტში ძალიან საპასუხისმგებლოა. ამ პასუხისმგებლობას, როგორც ჩანს, გრძობს პრეზიდენტი. ამ პასუხისმგებლობას ძალიან სერიოზული პოლიტიკური გარემო ემატება, რაც პრეზიდენტისთვის დამატებით დაძაბულობას და სტრესოვანულ ფაქტორებს წარმოადგენს. ეს სტრესოვანი ფაქტორები, რა თქმა უნდა, ამ გამოსვლაში მასზე ზემოქმედებას ახდენდნენ და ეს ძალიან ნათლად გამოჩნდა მის სიტყვებსა და საქცევებში – ეს არ იყო ჩვეულებრივი გამოსვლა, რომელიც მას ჰქონდა ხოლმე ბოლო წლებში. ეს გამოსვლა იყო განსაკუთრებულად დაძაბული, ამ გამოსვლის დროს პრეზიდენტი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი იყო. ასევე ამ დაძაბულობამ მოახდინა მისი მხრიდან ბევრი წამოცდენისა და შეცდომის დაშვება. გულუბრყვილობა იქნება იმაზე დაპირაკი, რომ ის სპეციალურად არ მომზადებულა ამ გამოსვლისთვის, მაგრამ, ამ მომზადების მიუხედავად, კონკრეტულ მომენტებში მაინც ვერ გაუძლო“, – აცხადებს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას ზურაბ ბიგვაძე.

„ამ მომზადების შესახებ თავად სამთავრობო მედია საუბრობდა მთელი ერთი კვირა. ამ მომზადებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ ფსიქოლოგიური მომზადებაა. განსაზღვრული ტრენინგები მან ნამდვილად გაიარა. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ექსპტი ჰქონდა დაწერილი, გარკვეული, ყველა შესაძლო კითხვაზე პასუხიც მომზადებული იყო. როგორც წესი, მან იცის ხოლმე რა მიმართულებით იქნება მის მიმართ კითხვები და ამისთვის ემზადება, მაგრამ ბაღათურას გამოსვლისთვის ის მაინც არ აღმოჩნდა მზად და დაკარგა კონტროლი. დიდი ხანია არ მიმუშავია მასთან. თუმცა იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც მქონდა მასთან კონტაქტი. იმის არაღნიშვნა, რომ მას აქვს განსაზღვრული უნარები, არ იქნება სწორი. მას აქვს განსაზღვრული ორატორული ნიჭი, მობილიზაციის უნარი, მაგრამ იმპულსური რომაა, ესეც საყოველთაოდ ცნობილია, საკმაოდ უჭირს თავის შეკავება“, – განაგრძობს ფსიქოლოგი.

„თუმცა ბოლო ხანებში კარგი გაკეთებები ჩაუტარეს და ცდილობს, ამ მეცადინეობის შედეგად, რომ განსაზღვრული რეკონსტრუქცია გაუკეთოს თავის აგრესიას. ეტყობა, რომ ბოლო დროს მასთან ბევრია ნამუშევარი, თუმცა თავისი შინაგანი რაც აქვს, ეს ცალკე ეტყობა და ამას ასეთი დიდი მუშაობაც ვერ შევლის. მისი გაგარდნა დარბაზიდან იყო იმპულსური გაქცევა და იმ მომენტში ვერ გააკონტროლა თავი. თუმცა უკან მობრუნდა და ეცადა, მოეხდინა აგრესიის რეკონსტრუქცია და სიტუაცია გარკვეულწილად შემოებრუნებინა, რაც ამ მეცადინეობის დამსახურებაცაა. რა თქმა უნდა, ოჯახის წევრების საკითხი არის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მისთვის: ამით ბაღათურა უშუალოდ მის პიროვნებას შეეხო – ეს ხომ ყველაზე ინტიმური და მოწვევადია სააკაშვილისთვის – იმიტომ, რომ მისი ამბიციის მქონე ადამიანისთვის ძნელი მოსასმენია ამგვარი გამოსვლა. მაგრამ მოუწია ამის გადაყვანა. ერთი-ორი წლის წინ რომ ეთქვა ეს ბაღათურას, ვნახავდით ჩვენ მის რეაქციას – ბაღათურას ის უფრო დიდ შეურაცხყოფას მიაყენებდა. რაც შეეხება საზოგადოების

მხრიდან პრეზიდენტის გამოსვლის აღქმას, საზოგადოება სხვადასხვანაირია. საზოგადოების ნაწილი – სხვადასხვა კვლევების მიხედვით, დაახლოებით 8% ისეთია, რომ პრეზიდენტმა სულ რომ არაადეკვატური საქციელი ჩაიდინოს, ისეთი, რომელისთვისაც ფსიქიატრი პირდაპირ დიაგნოზს დაუსვამს, ასეთ ქმედებასაც დადებითად აღიქვამს – ეს არის ხალხი, რომელიც ბრმად მიჰყვება მას. 8% კი საკმაოდ ბევრია. ასევე არის დაახლოებით 20%. რომელიც ევლება ასიმბლაცია გაუკეთოს მის გამოსვლას და დადებითი მომენტები დაინახოს ამ გამოსვლაში. დანარჩენი საზოგადოება, რომელსაც ოპოზიციური ხედვა აქვს, ან ნეიტრალურია, ადეკვატურად აფასებს მის გამოსვლას, საერთოდ, ნეიტრალურად ყველაზე ადეკვატურად აღიქვამენ ხოლმე ყველა მესოქს. მისი გამოსვლა კი იყო მცდელობა, რომ ყველა იმ პრობლემის რეალიზაცია, რომელიც არსებობს ქვეყანაში, მომავალში გადაეტანა“, – ამბობს ზურაბ ბიგვაძე.

„ეცადა კიდევ, რაღაც დაებრალეხინა შორეული წარსულისა და შევარდნაძისთვის. ბევრჯერ გაუსვა ხახი, რომ მაშინ იყო ყველაფერი ბნელი და ახლა არის ნათელი. მიზა იქნებოდა თუ არა, სინათლე მაინც იქნებოდა საქართველოში, მაგრამ ესეც მიიწერა – ეს ხდება შეგნებულად. საერთოდ, ნებისმიერი საარჩევნო ტექნოლოგია რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ერთი – უნდა აჩვენო საზოგადოებას, რომ შენ ხარ ძლიერი, რადგან აღმომჩვენებ ძლიერს უჭერს მხარს; მეორე – უნდა აჩვენო, რომ არსებობს მტერი. ვინ უნდა დასახოს მტრად? ზვიად გამსახურდიას რომ დაუწყოს ბრძოლა და ჩხუბი, უკუშედეგს მიიღებს. ამიტომ შევარდნაძე კარგი ვარიანტი იმისთვის, რომ წარმოაჩინოს მონსტრად, აქციოს მტრის ხატად და ამას აკეთებს კიდევ.“

რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ ნახსენებ 53-ე სკოლის მოსწავლეს, მე არ ვიცი, ამ ბავშვმა რა ჩაიდინა და როგორ ჩაიდინა. ის ბავშვი დამნაშავეც რომ იყოს, პრეზიდენტის ეს გამოსვლა იყო სრულიად არაადეკვატური, ანტიკონსტიტუციური, მით უმეტეს მაშინ, როცა სასამართლო პროცესი ამ ბავშვთან დაკავშირებით არ დასრულებულია. მას ავიწყდება, რომ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფიცია, ის არ არის მოსამართლე და პროკურორი. როდესაც ვიდაცის მონაყოლიდან გამომდინარე პრეზიდენტი საკანონმდებლო ტრიბუნლიდან ასეთ რამეს ამბობს, ეს არის, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატური საქციელი. პრეზიდენტი ამ გამოსვლით ამ ბავშვს მიიმე სანქციას ადებს – ეს ბავშვი ვერ მოიცილებს ამ სანქციას. რა უფლება გაქვს, რა უფლებით აკეთებ ამას? ცივილიზებულ ქვეყანაში მხოლოდ ამ გამოსვლის გამო დადგებოდა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი“.

– „საპარლამენტო უმრავლესობის წევრების რეაქციებსა და გამოსვლებს როგორ შეაფასებდით?“ – ჰკითხა ზ. ბიგვაძეს ჟურნალისტმა:

„კარგია, რომ თქვენ კომუნისტების დროს არ მოესწარით. ფეხე ადგომები და ტაშები იქიდან მოდის. აშშ-შიც დგებიან პრეზიდენტის სწორი მიმართულებისას, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. ჩვენთან სულ სხვა სიტუაციაა – ეს სიცილი, ზურვით დადგომა, ტაში იმ დროს, როცა ოპოზიცია საუბრობს, ფაქტების გადაფარვის მცდელობა... ოპოზიციამ რა თქვა გაუგებარი? უმრავლესობა ხელავდა, რომ ოპოზიცია სიმართლეს ამბობდა, მაგრამ მათ მეტი გამოსავალი არ აქვთ, ეს უნდა გააბროტესტონ და ასეთი არაადეკვატური ტაშით და სიცილით დაუმტკიცონ პრეზიდენტს, რომ მის გვერდით არიან. თქვენ ხომ იცით, მგლის ხროვა ერთმანეთს არ ეომება, რადგან ის ერთი გუნდია. მაგრამ როგორი გუნდია, რა მიზნები აქვთ და რის გამო აკეთებენ ამას, ეს მორალის საკითხია და ამით პრობლემა... ამ გამოსვლით მთლიანობაში პრეზიდენტმა წააგო და პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ცდილებები გარდაუვალი და აუცილებელია“.

აქვე გთავაზობთ სხვა პოლიტიკოსთა მოსაზრებებსაც:

**ჯონდი ბალაშვილი** – „ვაპირებთ დიპლომატიურ კორპუსსა და სამოქალაქო საზოგადოებას გავაცნოთ ის დოკუმენტაცია, რაც გვაფიქრებინებს, რომ პრეზიდენტი და მისი ოჯახი არის კორუმპირებული. კარგად ვიყავი მომზადებული. ჩვენი პარტიის ექსპერტებმა მოამზადეს მნიშვნელოვანი არგუმენტაცია, მაგრამ სააკაშვილს ჩემთვის ხელი რომ არ შეეშალა და ეცლია, ჩემი გამოსვლა შინაარსობრივად უკეთესი იქნებოდა, იმიტომ, რომ ბევრის თქმა ვერ მოვასწარი. სამწუხაროდ, სააკაშვილის ჩარევამ და მისმა არაადეკვატურმა მოქმედებამ – უზრდველობამ, უტაქტობამ და დარბაზიდან წამოსვლამ ღრიანცვლამ განსაზღვრული დეფექტი შესძინა ჩემს გამოსვლას. თუმცა, საერთო ჯამში, მაინც არ იყო ჩემი გამოსვლა ურიდგო. მითხრეს, სააკაშვილი კატეგორიულად არ უნდოდა დარბაზში დაბრუნება, თუმცა დააშოშმინეს და მის გადარწმუნებაში გადამწყვეტი ფაქტორი იყო ის, რომ დარბაზში ჯერ კიდევ იჯდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და ამას ყველაფერს ხელავდა! სააკაშვილის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ვაპირებდი დოკუმენტებით ლაპარაკს და მეგრე იმ დოკუმენტების აფრთხილებას. საგანგებოდ მიხლოდა მესაუბრა 2008 წლის აგვისტოში მომხდარ სამარცხვინო ფაქტზე, როცა საოკუპაციო ჯარებმა გორი დაიკავეს, ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთმა ნაწილმა, მთავრობის წევრებმა და ზოგიერთმა დეპუტატმა ხალხს ზურგი აქცია და გაიქცა წითელ ხიდზე თავისი ტყავისა და ქონების გადასარჩენად... ამ ხალხის სახელები და გვარები უჯრაში უდევს პაატა დაითაიას, რომელიც, მოგახსენებთ, იმ კლოუნადური კომისიის თავმჯდომარე გახლდათ, რომელიც აგვისტოს ომის კატასტროფული მიზეზების ვითომდა გამოსწორებელი შექმნეს. აი, ამ საკითხზე მიხლოდა საუბარი, მიხლოდა მეღაპარაკა პოლიტიკატიმების შესახებაც, მიხლოდა მესაუბრა 26 მაისის დარბევასა და იმ 45 პოლიტიკატიმარზე, რომლებიც 26 მაისს დააპატიმრეს. ძალიან ბევრი კრიტიკული რამის თქმას ვაპირებდი, თუმცა სააკაშვილის თავშეუკავებელმა საქციელმა ამის საშუალება არ მომცა... სააკაშვილის პარლამენტთან გაქცევას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ეს იყო ძალიან სამარცხვინო რამ. ყველაზე სამარცხვინო იყო, სააკაშვილი პარლამენტის წევრს დარბაზში რომ ემუქრებოდა. თუ გახსოვთ, თავიდან თავისი გამოსვლა დაიწყო წვევლით და ვითხრა – თქვენ არბოთ საავადმყოფოებში! ამას რომ ამბობდა, თავლებში მიყურებდა, ერთი სიტყვით, აშკარად მწყობრიდან იყო გამოსული და რას აკეთებდა, თვითონ არ იცოდა. რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, უკვე მსოფლიომ გაიგო და ყველამ იცის, რომ პრეზიდენტობა კი არა, როგორც პოლიტიკოსი, სააკაშვილი უკვე დამთავრდა! როგორც წესი, პოლიტიკოსები ასე არ იქცევიან. ჩემი თვითმისანი ნამდვილად არ ყოფილა სააკაშვილის გაქცევა, მაგრამ რომ გაიქცა, ამით სულაც არ ვარ უკმაყოფილო! რის თქმაც ვერ მოვასწარი და რაც სააკაშვილის ოჯახის კორუმპირებულობას ადასტურებს, ის გახლავთ, რომ პრეზიდენტის ოჯახში ფონდ „ქართუდან“ 2009 წელს სანუქრად მიიღო 400 000 ლარი, მეგრე დამატებით 640 000 ლარი... კანონი კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ პირდაპირ ამბობს, რომ საჯარო მოსამსახურემ ან მისი ოჯახის წევრმა ერთი წლის განმავლობაში სანუქრის სახით შეიძლება მიიღოს 1000 ლარის ღირებულების ნივთი და თან აუცილებლად უნდა მოახდინოს მისი დეკლარირება. სააკაშვილის ოჯახმა უხეშად დაარღვია ორივე პუნქტი. გასასვლელი, რომელიც თქვენ ნახეთ, გადის დეპუტატთა დასასვენებელ ოთახში და მეგრე იქიდან გადის კიდევ სხვა გასასვლელზე. შესაბამისად, მიშა წავიდა არა უკან მოსაბრუნებლად, არამედ საერთოდ წავიდა და დარბაზი მიატოვა. ეს იყო მისი გაუწონასწორებლობის მანიფესტაცია. მე იქვე შევამჩნიე, რომ სააკაშვილს დაცვა დაეძვინა. როგორც შემდეგ მითხრეს, სააკაშვილს კატეგორიულად არ უნდოდა დარბაზში

დაბრუნება, იყო ძალიან გაღიზიანებული, თუმცა დაარწმუნეს, დააშოშმინეს და მის გადარწმუნებაში გადაწყვეტი ფაქტორი იყო ის, რომ დარბაზში ჯერ კიდევ იჯდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და ამას ყველაფერს ხელავდა... მიიღო თუ არა რამე დამაწყნარებელი საშუალება, რაც არ ვიცი, არ ვიცი. ისე, დაწყნარებული და დამშვიდებული თავიდანვე რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა.

ელჩებთან საუბარი ჯერ არ მქონია, მაგრამ გეტყვი, რომ იმ კვირაში ვგეგმავ დიპლომატიური კორპუსის მოწვევას და მაღალი ალბათობით ამას ერთობლივ ფრაქცია გავაკეთებ. ჩვენ ვაპირებთ დიპლომატიურ კორპუსსა და სამოქალაქო საზოგადოებას გავაცნოთ ის დოკუმენტაცია, რაც გვაფიქრებინებს, რომ პრეზიდენტი და მისი ოჯახი არის კორუმპირებული. ჩვენ დიპლომატიურ კორპუსს ასევე გავაცნობთ საკანონმდებლო ინიციატივას, რაც გულისხმობს საპარლამენტო-საგამომიბელო კომისიის შექმნას, რომელმაც უნდა გამოიძიოს პრეზიდენტის, მისი ოჯახისა და მისი გარემოცვის კორუფციული და შავი ბიზნესსაქმიანობა“.

– ყოველივე იმის შემდეგ, რაც სამშაბათს პარლამენტში მოხდა, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი ქვეყანაში ნორმალური არჩევნების მომწყობია და ხელისუფლებიდან წამსვლელი?

– ამას ფიქრიც არ უნდა და სააკაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის არსად წასვლას არ აპირებს და ყველა მეთოდით, მათ შორის კრიმინალური მეთოდით, იბრძობებს „ნაცმოძრაობის“ გასამარჯვებლად. სამშაბათს, პარლამენტში მომხდარი ამბის შემდეგ, სააკაშვილი კანონიერი, ლეგალური ფარგლებიდან გავიდა და მოგვევლინა, როგორც კრიმინალი და კორუმპირებული კლანის მეთაური, რომელიც პარლამენტის დარბაზში პარლამენტის წევრს პირდაპირ ემუქრებოდა. რომელ არჩევნებსა და ხელისუფლების რომელ დათმობაზეა ლაპარაკი, როცა კაცი ქვეყნის დასაქცევად მომზადებული. ჩვენ თუ მას ხელისუფლებას ხელიდან არ გამოვგლეჯთ, რა თქმა უნდა, ის არაფრის დათმობას არ აპირებს.

პარლამენტში მიმდინარე დებატებისას მიხედვით სააკაშვილის არაკორექტულობა იქამდე მივიდა, რომ მან, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, თბილისის 53-ე სკოლიდან დირექტორ ტარას შავშიშვილის ჭირვეულობის გამო გარიცხული მერვე კლასის ყოფილი მოსწავლე მიხეილ ალექსიძე „ხულიგნად“ მოხსენია. პრეზიდენტის განცხადებას მალევე გამოეხმაურნენ უფლებამცველები და სააკაშვილს უდანაშაულობის პრეზუმფიციის დარღვევაში დასდეს ბრალი.

**„ქრისტინან-დემოკრატების“** ლიდერმა გიორგი თარგამაძემ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდა: **„ნუ გაჯიუტდება და შეეშვი ბავშვთან ჭიდილს“.**

პოლიტიკოსთა განცხადებით ამ ბავშვის საქმეზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და პრეზიდენტის ამგვარმა უპასუხისმგებლო განცხადებამ შესაძლოა, მოსამართლეზე მოახდინოს გავლენა.

პოლიტიკოსები კი მიიხეილს, რომ ალექსიძის მიმართ პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო ტრიბუნლიდან გაკეთებული შეფასებები დაუსაბუთებელია. მათივე განცხადებით, ადამიანის მიმართ მსგავსი შეფასებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სასამართლო განაჩენი. მიხეილ ალექსიძის ე.წ. **„ხულიგნობასთან“** და **„კრიმინალობასთან“** დაკავშირებით კი არამარტო სასამართლო განაჩენი, არამედ ბრალდებაც არ არსებობს.

ასევე საინტერესო გახლდათ პროფესორ ნოდარ ნათაძის შეფასება, რომელმაც სააკაშვილი თავისი არაკორინალური გამოსვლის გამო ბარბაროსად და უზრდველად აღიანიანა დაახასიათა, რომელიც პრეზიდენტობის „ბედნიერი პერიოდის“ დასასრულის მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო არაადეკვატური ხდება.

**რ. შალამაძე**

# გასაკრეფად განწიკული შუა(გ)დაბული ოპოზიცია

საპარლამენტო არჩევნების მოახლოების პარალელურად პოლიტიკური დაძაბულობა თანდათან „დუღილის ფაზაში“ შედის. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობის მიუხედავად ავტორიტარულ წყობაში ჩაფლული ხელისუფლება, რომელიც ძალაუფლების დაკარგვას ვერ ეგუება კანონით დაუშვებელი მეთოდებით ცდილობს მთავარი მეტოქის ჩამოშორებას. ხოლო ივანიშვილის ირგვლივ შექმნილი ახალი პოლიტიკური ცენტრი, კოალიცია „ქართული ოცნება“, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოსვლის პრეტენზიას აცხადებს, ძალებს დღითიდღე სულ უფრო მეტად იკრებს.

პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის და პირველი პოლიტიკური განცხადების გაკეთების დღიდანვე მმართველმა რეჟიმმა მასში ნათლად დაინახა ძლიერი პოლიტიკური კონკურენტი და ძალაუფლების დაკარგვის რეალური საფრთხე, რის გამოც მის წინააღმდეგ სრული მობილიზაცია გამოაცხადა და სერიოზული რეპრესიული კამპანია წამოიწყო.

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში გამოჩენისთანავე კატეგორიულად განაცხადა, რომ „შუა უნდა გაიკრიფოს“, რადგან: „ძალიან მემშინია შუაღუდური პოზიციის. ვითომ შუაში მდგომი და სინამდვილეში ორპირი ხალხია ჩემთვის ყველაზე დიდი საფრთხე. შუა უნდა გაიკრიფოს. იმიტომ, რომ ყველაფერი თავისი სახელით დაერქვა“. ამ სიტყვებს პოლიტიკურ წრეებში თავიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის რომ ამ განცხადების შემდეგ ყველა ხელისუფლების მიერ მართულმა ე.წ. ოპოზიციამ მოახდინა საკუთარი თავის თვითლუსტრაცია. მაგრამ საინტერესოა რომელია ის „შუა“ განხერხილი პოლიტიკური ძალები და რა დატვირთვა აქვთ მათ ქართულ რეალობაში?

ესენი არიან ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც წლების მანძილზე კარგად მოირგეს „ოპოზიციური პარტიის“ იმიჯი, რითაც საზოგადოება მუდმივად შეკვავდათ შეცდომაში. ამ უხელო საქციელებს, ისინი მმართველ პარტიასთან ერთად აფერხებენ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას, ხელს უწყობენ სააკაშვილის

ავტორიტარულ რეჟიმს უკანონობის დაკანონებაში და გაყალბებული არჩევნების გაპარვაში.

შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლების და მის დაქვემდებარებაში მყოფი „ოპოზიციის“ არსებობა გამოუყენებელი არ დარჩენილა არცერთი ბინძური საშუალება თუ მეთოდი, რომლისთვისაც არ მიემართო. მიუხედავად ამისა უკვე კომიკური სახე მიიღო „ნაციონალური“ ტელეარხების თუ სხვა პროსახელისუფლებო მედიასაშუალებების მეშვეობით, ასევე ე.წ. ოპოზიციის მიერ წარმოებულმა იმ ადვილად ხსნილმა პროპაგანდისტულმა კამპანიამ, რომელიც ივანიშვილის პიროვნების და პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ სხვა წევრების დისკრედიტაციას რომ ემსახურება. მათა და სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი მცდელობისა საზოგადოება ვერ დააჯერებს ივანიშვილის „რუსეთის აგენტობაში“ და ვერც ახალი და მძლავრი კოალიციის შექმნას შუაშაღუდურ ხელი. ამის მიზეზი მარტივია: ქართულმა საზოგადოებამ, რომელსაც უსუსური ოპოზიციის შემხედვარე ხელისუფლების შეცვლის და სახელმწიფოს განვითარების რწმენა ჰქონდა დაკარგული ივანიშვილის პოლიტიკურმა გააქტიურებამ და ახალი კოალიციის ჩამოყალიბებამ იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა.

ცალსახად უნდა ითქვას რომ „შუა“ პოლიტიკური ძალები, რომლებიც ხელისუფლების დემოკრატიულ ნიღაბს წარმოადგენენ „გასაკრეფად“ არიან განწიკულნი. რადგან, მათ საკუთარი თავი უკვე პრაქტიკულად გამოამჟღავნეს. რამაც საზოგადოებისთვის ნათლი გახადა თუ ვინ ცეკვავს მიშას „დაკრულზე“. ვინაიდან დღეს ხელისუფლება დაუფარავად ცდილობს ე.წ. ოპოზიციური პარტიები – „ქრისტიან-დემოკრატების“, „ეროვნულ დემოკრატიული პარტიას“, „ახალი მემარჯვენეების“, „ლეიბორისტების“ გააქტიურებას და ივანიშვილის პოლიტიკური კოალიციის – „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გამოიყენებას, რათა კიდევ ერთხელ მოახდინოს ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების გახლეჩა და დემორიენტიცა. ამიტომ, საკითხის მთელი სიმკაცრით დაყენებას, რომ „შუა უნდა გაიკრიფოს“, პრინციპული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პროცესების რაციონალიზაცი-

ისა და სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის.

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი ალბათობით „შუა“ აუცილებლად გაიკრიფება, რადგან „შუა“ სხვა არაფერია, თუ არა იმ პოლიტიკური აბსურდის დასრულება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს, როგორც საზოგადოებაზე, ისე ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. მაგრამ გასათვალისწინებელია, ერთი მთავარი ფაქტორი: თუ საზოგადოების, განსაკუთრებით კი რევოლუციის მოსახლეობის გამოვლილება არ მოხდება მაშინ „შუას“ გაკრეფა მარტივი არ იქნება. მართალია დღეს არანაირ ვეჯს არ იწვევს ის, რომ „ედამ“, „ქდმ“, „ახლები“ და სხვა ფსევდო ოპოზიციის ხელისუფლების თამაშს თამაშობენ, თუმცა ისიც ცხადია, რომ დღეს ისინი ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის გარკვეული ნაწილის „ჯეშ-ესაფარია“, მანამ სანამ პოლიტიკური დაპირისპირება უფრო მკვეთრი და აგრესიული (კარგი გაგებით) არ გახდება. მხოლოდ მაშინ დაიწყება მათი რეალური ოპოზიციის მხარეს გადასვლის და „შუას გაკრეფის“ პროცესი. უფრო მეტიც არჩევნებამდე თვით სახელისუფლებო პარტიაში დაიწყება რღვევა და ე.წ. ოპოზიციასთან ერთად მხარდამჭერებს ნაციონალურ მოძრაობაც დაკარგავს. მითუმეტეს, რომ საზოგადოებაში ახალი ძალის – „ქართული ოცნებისადმი“ მოლოდინი დიდია უბრალოდ ამ ეტაპზე ტერორის შიშით მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას ბევრი კრიტიკა და ინერტულობა ინარჩუნებს.

მაგრამ, დღეს ყველაზე მთავარია: საზოგადოებამ ბოლომდე ნათლად გააცნობიეროს ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არსებული ვითარება, გააკეთოს არჩევანი სიკრულსა და სიმართლეს შორის, მოახდინოს საკუთარი პოზიციის დისტანცირება ფსევდო ოპოზიციისგან, რომელიც „შუა“ არის განხერხილი და პოლიტიკური პროცესების კრისტალიზაციას ხელს უშლიან. ხოლო „შუას გაკრეფა“ ხელს შეუწყონს იმ უსერიოზულესი პროცესის ბოლომდე მიყვანას, რასაც ჰქვია სააკაშვილის რეჟიმის დამთავრება.

ზურაბ ჯაბბურია

## ბედის ბარძიმის დაკარბული ნაწილი

ქართული ოქრომკვდლობისა და ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ნიმუშმა – ბედის ბარძიმის ბარძიმა (999 წ.) ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. დღეს სახეზეა მისი მხოლოდ ზედა ნაწილი.

ბარძიმი იმ საგანძურის ნაწილია, რომელიც გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს, ბაგრატ მესამეს ბედის ვლადკერნის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისთვის შეუწირავს. ბედის ტაძარი აფხაზეთში სწორედ მისი ბრძანებით აშენდა. ისტორიული ცნობების თანახმად, ბედის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 999 წელს ბაგრატ მესამეს მოუხატვენილია, შეუწირავს ხატები, ჯვრები. ბედის ბარძიმის შემწირველი კი, მეფესთან ერთად დედამისი, დედოფალი გურანდუხტიც ყოფილა.

ბედის ბარძიმი პირველად 1865 წელს ნახა დიმიტრი ბაქრაძემ ილორის ტაძარში და გამოაქვეყნა მასზე განთავსებული გვიანდელი ხანის წარწერა. თუმცა მეცნიერს არ გამოუქვეყნებია ბარძიმის ფეხის აღწერილობა. არ არსებობს მისი ფოტოგამოსახულება ან რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია. ბარძიმის ფეხი ადრევე გამოცხადდა დაკარგულად.

საუყრადღებოა, რომ დღემდე არ არსებობდა ცნობა ტაძრის სამკაულის, ოქროს ბარძიმის სრული აღწერილობის შესახებ.

თუმცა, როგორც ირკვევა, ბარძიმის ფეხი კიდევ კარგა ხანს ინახებოდა აფხაზეთში. გარდა ამისა, ვეროპოში „პირველ მოგზაურ ქალად“ ცნობილმა კარლა სერენამ, აფხაზეთში მოგზაურობის შემდეგ ბედის ბარძიმის დაკარგული ფეხის შესახებ, ფოტოს სახით ძალიან საინტერესო ინფორმაცია დაგვიტოვა.

როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ აღნიშნა, კარლა სერენას ფოტოებში აღმოჩენილია სურათი, რომელზეც აღბეჭდილია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსი ხელაიას მამა, მღვდელი ზოსიმე ხელაია ბედის ბარძიმთან ერთად. ეს გარემოება ბედის ბარძიმის თავდაპირველი სახით რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

ბედის ბარძიმი, რომელიც 999 წლით თარიღდება, საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.



ნ. ჯაფარიძე

**ედლებზე დიდი მსახიობი დაბადების დღეს, რომელიც 84 წლის გასვლამდე**

**“გენიალური რამაზ ჩხიკვაძე გარდაიცვალა! ჩვენი რამაზი! დამთავრდა ეპოქა! დამთავრდა!”** – წერს ქეთი დოლიძე. ძალზე ძნელია რამაზ ჩხიკვაძეზე საუბარი წარსულში. იგი დაიბადა 1928 წლის 28 თებერვალს, გამოჩენილი მუსიკოსის გრიგოლ ჩხიკვაძის ოჯახში. 1951 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

მას წილად ხვდა ემუშავა ბრწყინვალე რეჟისორებთან თუმანიშვილთან და სტურუასთან. ჩხიკვაძის ყოველი როლი თეატრსა თუ კინოში გასხივოსნებული იყო მისი ბრწყინვალე ნიჭით. რამაზ ჩხიკვაძის მონაწილეობით სპექტაკლები უდიდეს ბედნიერებასა და სიხარულს ანიჭებდა მაყურებელს, რომელიც მადლიერების დიდი გრძობით თავს დაბლა უხრიდა მსახიობს.

ჩხიკვაძემ თავი თეატრს – ხელოვნების ტაძარს მიუძღვნა. რამაზი, როგორც მსახიობი, სწორედ რომ დედაბურჯი იყო რუსთაველის თეატრის სცენისა. ჩხიკვაძის ღვაწლი, ვეფხია გაბიდაური, ქოსა მრჩველი, კირილე მიმინოშვილი, ყვარყვარე, შოშია, მეფე ლირი, რი-

ჩარდი და აზდაცი – ეს ის საგანძურია, რომელიც მან თავის შთამომავლობას დაუტოვა. რინარ და მესამის როლის შესრულებით ჩხიკვაძემ იმ ელიტაში დაიმკვიდრა ადგილი, რომლის წევრებიც არიან ლოურენს ოლივიე, იან პოლში და რობერტ პირში. იგი თანამე-

ქმედების ერთ-ერთი უბრწყინვალესი სახეა. ბერძენი მსახიობი ასპასია პაპატანიუსი რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებას ერთი სიტყვით აფასებდა – ფანტასტიკურია!

1961 წლიდან საქართველოს დამსახურებულ არტისტს არც ერთი უმაღლესი ჯილდო არ დაკ-

ქმედების ერთ-ერთი უბრწყინვალესი სახეა. ბერძენი მსახიობი ასპასია პაპატანიუსი რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებას ერთი სიტყვით აფასებდა – ფანტასტიკურია!

1961 წლიდან საქართველოს დამსახურებულ არტისტს არც ერთი უმაღლესი ჯილდო არ დაკ-

ლდება. 1972 წელს – სახალხო არტისტის წოდება, 1973 წელს მოსკოვის VIII საერთაშორისო ფესტივალზე პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის (კინოფილმი “ნერგები”. რეჟ. რეზო ჩხეიძე), 1974 წელს – საქართველოს სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიები (“ყვარყვარე”, 1974 წ. რეჟისორი რ. სტურუა), 1978 წელს – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია აზდაკის როლის შესრულებისათვის (“კავკასიური ცარცის წრე”, 1975 წ. რეჟ. რ. სტურუა), 1981 წელს – საქართველოს სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიები რინარდის როლის შესრულებისათვის (“რინარდ მესამე”), 1981 წელს – საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება, 1988 წელს – სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1997 წელს რამაზ ჩხიკვაძე თბილისის საპატიო მო-

ქალაქე გახდა.

რამაზ ჩხიკვაძემ პირველი როლი ფილმ “ჭრიჭინაში” თამაშა (1954 წელი), სადაც გამოიკვთა მისი მუსიკალური ნიჭი. იგი ასამდე ფილმშია გადაღებული. აი, ზოგიერთი მათგანი: “დღე პირველი, დღე უკანასკნელი” – 1959 წელი, გენიალურ შემოქმედს. სწორედ ამ სიყვარულში პპოვა რამაზმა მძლავრი იმპულსი. რამაზისა და ნატაშას სიყვარული ნაზი სულით გამსჭვალული ერთი პატარა რომანია. რამაზ ჩხიკვაძე ნატაშასთან განშორებას მცირე ხნითაც კი მტკივნეულად განიცდიდა. სწორედ ამიტომაც გახდა გაუსაძლისი ნატაშას გარდაცვალების შემდეგ მისი ამქვეყნიური ცხოვრება. ძალიან მოკლე დროში დაიღო ბინა ნატაშას გვერდით დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ქართველ ხალხს მუდამ ემახსოვრება რამაზ ჩხიკვაძე, როგორც დიდი მაცნობი, მსახიობი და ქართველი.

მარადიული ხსოვნა ქართული კულტურის კორიფეს!



## რამაზ ჩხიკვაძე – ქართველი ოლივიე

დროვეობის მოვლენა თეატრალურ ცხოვრებაში. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობია. მის მიერ შექმნილი აზდაკისა და რინარდის როლები მრავალ ათწლეულს გაუძლებს.

**“თეატრის ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე შესაძლოა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად ჩაითვალოს!”** – წერდა “დიდი ტელეგრაფი”.

გვახსენდება ბატონ რობიკოს სიტყვები: **“მთავარია, რომ ყველამ გაიაროს თავისი გოლივოთა და ტანჯვაში გამოატაროს თავისი ‘მე’, რაც ყველა მსახიობს აქ ძალუქს სწორედ რამაზმა ჩაიდინა ასეთი თეატრალური გმირობა რინარდა მესამეზე მუშაობისას”.**

იგი თავდაუსოგავად მუშაობდა. რამაზ ჩხიკვაძე თანამედროვე ქართული დრამატული თეატრის ყველაზე მუსიკალური მსახიობი იყო. სცენის ჯადოქრის რამაზ ჩხიკვაძის აზდაცი მისი დიდებული შემო-

დროვეობის მოვლენა თეატრალურ ცხოვრებაში. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობია. მის მიერ შექმნილი აზდაკისა და რინარდის როლები მრავალ ათწლეულს გაუძლებს.

**“თეატრის ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე შესაძლოა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად ჩაითვალოს!”** – წერდა “დიდი ტელეგრაფი”.

გვახსენდება ბატონ რობიკოს სიტყვები: **“მთავარია, რომ ყველამ გაიაროს თავისი გოლივოთა და ტანჯვაში გამოატაროს თავისი ‘მე’, რაც ყველა მსახიობს აქ ძალუქს სწორედ რამაზმა ჩაიდინა ასეთი თეატრალური გმირობა რინარდა მესამეზე მუშაობისას”.**

იგი თავდაუსოგავად მუშაობდა. რამაზ ჩხიკვაძე თანამედროვე ქართული დრამატული თეატრის ყველაზე მუსიკალური მსახიობი იყო. სცენის ჯადოქრის რამაზ ჩხიკვაძის აზდაცი მისი დიდებული შემო-

დროვეობის მოვლენა თეატრალურ ცხოვრებაში. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობია. მის მიერ შექმნილი აზდაკისა და რინარდის როლები მრავალ ათწლეულს გაუძლებს.

**“თეატრის ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე შესაძლოა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად ჩაითვალოს!”** – წერდა “დიდი ტელეგრაფი”.

გვახსენდება ბატონ რობიკოს სიტყვები: **“მთავარია, რომ ყველამ გაიაროს თავისი გოლივოთა და ტანჯვაში გამოატაროს თავისი ‘მე’, რაც ყველა მსახიობს აქ ძალუქს სწორედ რამაზმა ჩაიდინა ასეთი თეატრალური გმირობა რინარდა მესამეზე მუშაობისას”.**

იგი თავდაუსოგავად მუშაობდა. რამაზ ჩხიკვაძე თანამედროვე ქართული დრამატული თეატრის ყველაზე მუსიკალური მსახიობი იყო. სცენის ჯადოქრის რამაზ ჩხიკვაძის აზდაცი მისი დიდებული შემო-

# უნდა ითქვას სიამაღლე

ჩასახულია ჩასუნთქვა – ამოსუნთქვის დროს მიღებულ ბგერათა კომპლექსზე ჰ, , სმაბაძეთ და ამ ბგერათა კომპლექსისა და სიტყვის რე (არის) კომბინაციით ჰ, , რე — ჰაერე — ჰაერე). ირაციონალური ხმოვნის , მიდრეკილება გახმოვანებისაკენ საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა იბერიულ ენაში. ბატონმა კოტემ კი ქვა ააგლო და თავი შეუშერა: გინდა თუ არა, სიტყვა ჰაერი ბერძნულია **აირისგან** არის წარმოშობილი. თუ ეს ჭეშმარიტებაა, ბერძნულმა ენამ უკეთ უნდა შეძლოს სიტყვა **აირის** ეტიმოლოგიის დადგენა, ვიდრე მე მჯერა **ჰაერის** ეტიმოლოგიაზე.

საკმაოდ დიდი დროის გავლის შემდეგ ისევ მივმართე ქნ ლალი ეხუბაიას და ვთხოვე გაცნობოდნენ ჩემს ნაშრომს „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“ და გაეკეთებინათ ობიექტური შეფასება. ქნმა დალიმ დიმილითა და თბილად მიმიღო და მაგრძობინა, რომ იზიარებდა ჩემს შეხედულებებს. ამაში იმან დამარწმუნა, რომ მითხრა: პროფ. ავთანდილ არაბულს დაველაპარაკე, გაეცნობა თქვენს ნაშრომს და ობიექტურ შეფასებასაც მოგცემს. ამან იმედოვნა ჩამისახა, რადგან, ადრე ჩემი **„მეგალიზური ენის საიდუმლოებანი“**-ს ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გაცნობის შემდეგ ჩემამდე მოვიდა ხმა, ავთანდილ არაბული მხარს გიჭერსო.

ბატონი ავთანდილი ძალზე თბილად და ყურადღებით შემხვდა. მითხრა: ზოგიერთები, რომ ფიქრობენ, მთლად ისე არ არის საქმე, ნამდვილი მეცნიერი სხვათა აზრს ყურადღებით და ინტერესით უნდა მოეკიდოს და დამპირდა ყურადღებით გაეცნობოდა წარმოდგენილ ნაშრომს და შეფასებასაც არ დააყოვნებდა.

რამოდენიმე კვირის შემდეგ შევხვდი ბატონ ავთანდილს. მითხრა: შენი შეხედულებები, რომ ვაღიარებ, რაც ჩემი შეგნებულ ცხოვრების მანძილზე გამიკეთებია, ყველაფერი უნდა უარყოლო, ამიტომ ამაზე უკეთესი რეცენზიის გაკეთება აღარ შემიძლია. მე უდრმესი მადლობა მოვახსენე გულახდილობისათვის და ხელნაწერი გამოვართვი, რომელსაც აქვე წარმოვადგენ:

**“ბატონი კ. ფიფიას ნაშრომის „რა ენაზე მიტყველებდნენ იბერები?“ გაცნობის შემდეგ**


ვადასტურებ, რომ ქართველი ერის მრავალათასწლოვანი ისტორიის არაერთი მხარე ჯერ კიდევ საკვლევი, ახასხენელი და დასაზუსტებელია, მათ შორის, ისეთი ტერიტორიების ზუსტი ისტორიული რაობის საკითხიც, როგორცაა იბერია და ქართი...  
უთონიმ იბერის (და იბერიის) შესახებ რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. ერთერთ მათგანს შეემატა ბატონი კუკური ფიფიას კვლევებიც, უნდა ითქვას, რომ ავტორს მართლაც შესაშური ძალისხმევა მიუძღვრება იმ საიდუმლოს ამოსახსენებლად, რაც, მისი აზრით, ისტორიულ იბერიას უკავშირდება.

მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ იმ ხერხების უმეტესობას, რასაც ავტორი ენობრივი მონაცემების განსახილველად იყენებს, თანამედროვე ენათმეცნიერული მეთოდოლოგია არ იცნობს. მაგალითად, ლინგვისტიკაში ვერ ვიპოვით ასეთ ამოსავალ დებულებებს: „იბერიული ენა ფლობს სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და ერთეულ თანხმოვნიანი ბგერებით გამოხატული სიტყვების მიერ მნიშვნელობების მიღების საფუძვლებს, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხის გადაჭრაში“...

ასევე ჩვენი პოზიციიდან მეცნიერულად ვერ შეირაცხება ავტორის ერთერთი უმთავრესი დასკვნა, რომ „მისი (იბერიულის ანუ მეგრულის, ა.ა.) ძირისეული ფორმების 75%-ზე მეტი და სამეტყველო ბგერების 100%, ყველა სხვა ენებისგან განსხვავებით, წარმოშობილია ბუნებაში არსებულ ხმებზე მიბაძვით. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და იმას მოწმობს, რომ იბერიული ენა ადამის ენა და კაცობრიობის დასაბამიდან მოდის“.

ამიტომაც შეუძლებელია ბატონი კ. ფიფიას მიერ წარმოდგენილ მონაცემებსა და დასკვნებზე მეცნიერულად (ენათმეცნიერულად) დასაბუთებული, აკადემიური შეფასების წარმოება, ეს ჩვენი სამეცნიერო სფეროს სფეროს სფეროს არ განეკუთვნება.

**და დასკვნებზე მეცნიერულად (ენათმეცნიერულად) დასაბუთებული, აკადემიური შეფასების წარმოება, ეს ჩვენი სამეცნიერო სფეროს არ განეკუთვნება.**  
**პატივისცემით, ავთანდილ არაბული**  
**25 ნოემბერი 2010 წ.**



ძალზე უკმაყოფილო ვარ ბ-ნი ავთანდილისა არაგულწრფელი რეცენზიისათვის და რატომ, ამაზე ქვემოთ.

გაიგო რა, რომ ავთანდილ არაბულიმ გააკეთა ჩემი ნაშრომის წერილობითი რეცენზია, საერთოდ რატომ მიპასუხა, თუ რატომ აღიარა გულახდილად (თუმცა მე არ დამისახელებია გულახდილი აღიარების ავტორი, ამას თვითონ მიხვდნენ) ენათმეცნიერთა საერთო დუმილის მიზეზი, ბატონმა თამაზ გამყრელიძემ მალევე იხმო იგი და, როგორც ეტყობა, ძალზე დატუქსა. საოცრება ისაა, რომ პრეზიდენტის კაბინეტიდან უკმაყოფილოდ გამოსულ ავთანდილს ღმერთმა კარებთან შემაფეთა. მე მივესალმე და ისიც ცივად მომესალმა, მაგრამ მან გაოცება ვერ დამალა ასეთი მოულოდნელობის გამო და უსიტყვოდ გამომართვა გახეთი, რომელშიც თამაზ გამყრელიძის მიმართ ჩემი ღია წერილის გამოქვეყნება ვამცნე. ღმერთის ნების გარეშე არაფერი ხდება, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ინფორმაციებით თავგატეხილი მეცნიერებიც ვერ აცნობიერებენ, რომ **„ხმალი კალთაში ვერ დაიმალება“**.

შეიძლება, ჩემი ქმედება ბატონი ავთანდილის გულწრფელობის პასუხად გამოცემილობასა და ჩაშვებაში ჩამოვადლოს, დღეს, ქურდული მენტალიტეტის საზოგადოებაში, მაგრამ ჩემი ავტორიტეტის შელახვა ნაკლებად სახიანოა საზოგადოებისა და ქვეყნისათვის, ვიდრე სიცრუეთა სწავლებით მიყენებული ზარალი, რადგან სიცრუეთა სწავლების ჯიუტად გაგრძელება დალაბრია სამშობლოსი.

შე დალოცვილო, როცა გჯერა, რომ ჩემი მიგნებების ჭეშმარიტებაში ვერაფერ შემდეგავა, მაგრამ აღიარება ვიჭირს პირადი ამბიციების გამო, ან კიდევ, გჯერა ჩემი მიგნებების ჭეშმარიტებისა, მაგრამ მისი აღიარების შემთხვევაში, მთელი შენი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გაკეთებული ის უარყოფა მოგიწევს, საკუთარი თავის მაინც როგორ არ გრცხვენია ასეთ უსუსურობას რომ იმე? უშეცდომო ვინაა და ღმერთს ვეხვეწები, თუ რაიმე შეცდომებს ვუშვებ, გამაცნობიერებინოს სანამ ცოცხალი ვარ, რომ შესწორებები შევიტანო. განა უფრო რაინდული, განა უფრო მეცნიერული წინსვლა არ არის, როცა საკუთარ შეცდომებს თვითონ აღიარებ, სანამ სხვები მიგითითებდნენ ამაზე?

და მაინც კ. კაკიტაძე და ა. არაბული ბევრად მაღლა დგანან იმაზე, ვინც ჭეშმარიტების აღიარებას მკვდარ ღმერთს არჩევენ, მიუხედავად იმისა, ბ-ნი კ. კაკიტაძეს ჩემი უძველესი წიარსულის ფესვების მოძიება ქვეყნის დალაბრად ეჩვენება.

რატომ ვარ უკმაყოფილო ბ-ნი ა. არაბულის რეცენზიისა?

მართალია, **„იმ ხერხების უმეტესობა“**-ს, რასაც მე – კუკური ფიფია ვიყენებ **„ენობრივი მონაცემების განსახილველად“**, თანამედროვე ენათმეცნიერული მეთოდოლოგია არ იცნობს. მაგალითად,

ლინგვისტიკაში ვერ ვიპოვით ასეთ ამოსავალ დებულებებს: **„იბერიული ენა ფლობს სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და ერთეულ თანხმოვნიანი ბგერებით გამოხატული სიტყვების მიერ მნიშვნელობების მიღების საფუძვლებს, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხების გადაჭრაში“**... მაგრამ, როგორც „ენათმეცნიერული მეთოდოლოგია“ არ იცნობს, ... ყველა არსებული ინფორმაციისათვის, არ ყოფილა შეხედული წინასწარ განწყობით, რომელიც ... ხშირად ძალიან უშლის ხელს პატივცემულ მეცნიერებს“ (იხ. გ-თი **ლიტერატურული მესხეთი**, №8(132), აგვისტო 2011), მეც ღია აღმოვჩნდი და გადავიბიჯე ცრუ დოგმატურ ჩარჩოებს და ჩავეყვით იმ საიდუმლოებებს, რომელსაც **„თანამედროვე ენათმეცნიერული მეთოდოლოგია არ იცნობს“**.

ესაა ჩემს მიერ მიგნებული სიახლე, თორემ „ენათმეცნიერული მეთოდოლოგია“, რომ იცნობდეს იმ მონაცემებს, რასაც მე ჩავეყვით და ვიყენებ ენობრივი მონაცემების განსახილველად, ჩემზე ადრე სხვა გამოიყენებდა და საიდუმლოებებიც ადრევე გაიხსნებოდა. მაგრამ ეს ბუნებრივად ღმერთმა მე მარგუნა და, რადგანაც მეცნიერული ტიტულები არ გამაჩნია, შურით გასკდე და ამიკრძალო სამეცნიერო დაწესებულებებში მოხსენებების გაკეთება და მერე აცხადო „ენათმეცნიერული მეთოდოლოგია არ იცნობს“, რამდენად ლინგვისტიკისათვის, თვით ლინგვისტიკისათვის და, საერთოდ, ქვეყნისათვის, თუ პატივცემულ მეცნიერებს ეშლება და რამდენადაც არ ეცადონ დამაღონ ეს მიგნებები, გამორიცხულია შექმალოს მკითხველ საზოგადოებას და, მჯერა, დღეს თუ ხვალ მაინც გასკდება. მაგრამ, როცა მათ ამოძრავებთ ვეგოზიმი? „ჩემს შემდეგ ქვა უთოვია“, მომავალი თაობებისათვის ჭკუის სასწავლებლად ასეთსაც უშვებს ღმერთი და შეუძლიათ დროებით ისარგებლონ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი მიგნებები აბსოლუტურად ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მართალია, ის ჭეშმარიტება, რომ „იბერიული ენა ფლობს სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და ერთეულ თანხმოვნიანი ბგერებით გამოხატული სიტყვების მიერ მნიშვნელობების მიღების საფუძვლებს“, ჩემამდე არავის უკვლევია და ენათმეცნიერება არ იცნობს, მაგრამ მე გამოვიკვლიე და ნაწილი წარმოდგენილია ნაშრომში „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“ (იხ. ჟღერი აია, 2(14), 2010). თანაც ამ ნაშრომში მივუთითე, რომ „მსგავსად აქ წარმოდგენილი ერთთანხმოვნიანი სიტყვების წარმოშობის მაგალითებისა, გამოკვლეული მაქვს იბერიულ ენაში არსებულ ყველა დანარჩენ თანხმოვნებზეც და ამისკენ მიბიძგა მსოფლიოში ცნობილი ფონეტიკოსის აკად. გიორგი ახვლედიანის სიტყვებში: „... სამეტყველო ბგერათა წარმოშობის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“ (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390).

მართალია, დეაწლმოსილმა მეცნიერმა ვერ მოასწრო და არ გადაუჭრია სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და მათ მიერ მნიშვნელობების მიღების პრობლემა, მაგრამ არც ის უთქვამს სხვებივით, რომ ამ პრობლემის გადაჭრას ვერაფერ შეუძლებს. თუნდაც, რომ თქვა, გ. ახვლედიანი ღმერთი ხომ არ იყო, მისი სიტყვები დღემდე მიგველო და გულზე ხელები დაგვეკრიფა? ვერ ვიტყვი, რომ მის აღნიშნულ ნაშრომს ბატონი ავთანდილი არ იცნობს, მაგრამ, ცხადია, განაკვეთს გვერდს უვლის.

შეიძლება ერთი მეცნიერი მეორეს არ ეთანხმებოდეს ამა თუ იმ საკითხში. ასე რომ არ იყოს მეცნიერება ერთ დონეზე დარჩებოდა. დღეს მეცნიერება ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ სულისა და უზუნავის შემოქმედის არსს იკვლევენ მეცნიერულად (აკაკი გასვიანი), მაგრამ შე დალოცვილო,

თქვი რამოდენიმე სიტყვით მაინც თქვენ პოზიციებიდან რატომ ვერ შეირაცხება მეცნიერულად იმ ჭეშმარიტების აღმოჩენა, რომ „იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის ძირისეული ფორმების 75%-ზე მეტი და სამეტყველო ბგერების 100%, ყველა სხვა ენებისგან განსხვავებით წარმოშობილია ბუნებაში არსებულ ხმებზე მიბაძვით“.

ამის დამადასტურებელი ტიტანური ნაშრომი, მამა-შვილის ძაძამიების შედეგობრივი – **მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოშობა** ოთხი წელია უწყვეტად ენათმეცნიერების ინსტიტუტში და მას ყველა მისი თანამშრომელი იცნობს, თუმცა ისე იქცევიან, თითქოს, არაფერი სმენიათ ასეთი ნაშრომის არსებობაზე, მაგრამ რა ქნან ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, როცა აღნიშნული ნაშრომის გაცნობიერება აიძულებს „ყველაფერი იმის უარყოფას, რაც მათ მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გაუკეთებიათ“.

ბატონი ავთანდილი ირწმუნებოდა, რომ სიტყვა ყველი ნაწარმოებია ზნისგან **ყავ, შეყავ**, უღლებიდან – **ყავ, ყავ, ყავ**, იბერიულად – **ბ, იი, იი, ... (უუუ)**. მე მიმანია, რომ სიტყვა ყველი ნაწარმოებია სიტყვების **... (ჰუუ)** და **რე(არის)** მესამე პირის ზმნების შეკავშირებითა და შემდეგი ფონეტიკურ ცვლილებების გავლის შედეგად:

**... რე — ... რე — უუერე — უუერე — ყუველე — ყუველი — ყუველი — ყველი**

**... რე — უუარე — უუალე — უუალი — ვალი(იბერი).**

ბატონი ავთანდილისა და სხვა ტიტულოვან მეცნიერთა აზრით, მეორე პირის ზნისგან სიტყვა ყველის ჩამოყალიბება მეცნიერულია, როცა მათ ვერ წარმოუდგენიათ საიდან უნდა ჩამოყალიბებულიყო სიტყვა **ყავ**, ხოლო იმავე ძირის მესამე პირის ზნისგან **... (ჰუუ)** და **რე (არის)**-ს კომბინაციით და შედეგობრივი ცვლილებებით **„ვალი“** ჩამოყალიბება არა მეცნიერულია, მიუხედავად იმისა, მათგან განსხვავებით მე ახსნილი მაქვს როგორ და რის საფუძველზე ჩაისახა სიტყვები **... რე** და რის საფუძველზე მიიღეს მათ **ჰუუ** და **არის** მნიშვნელობა.

გენიალურ მოაზროვნეთა ნააზრებებიდან ცნობილია, რომ აზროვნების ამა თუ იმ დონეზე წარმოშობილი პრობლემა იმავე აზროვნების დონიდან ვერ გადაიჭრება. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია აზროვნების დონის ამაღლება ერთი საფეხურით მაინც. მაგრამ მთელი საზოგადოების აზროვნების დონის ამაღლება კი არა, ზოგი მეცნიერის აზროვნების დონეც მე-5 საუკუნის დონეზე დარჩენილი. ამიტომ გვიწევს დღეს ისევ ქართულ-მეგრული კავშირის გარკვევაზე ტვინის ჭყლეტვა და ოფლის ღვრა.

ზემოთ ვახსენეთ მიზეზ-შედეგობრიობის კანონი.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მეზობელი ქვეყნის მეცნიერის განცხადებაზე პასუხის გაუცემლობას?

ჩვენი მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწენი მათ პასუხს არ აძლევენ, თითქოსდა, იმ მოტივით, რომ არასერიოზულ განცხადებებზე პასუხს არ კადრულობენ. მაგრამ ფაქტი ჯიუტია, სიმართლის აღიარების უმინიათ, გამაწონასწორებელი პასუხი არა აქვთ, ან უმინიათ ჭეშმარიტების აღიარებისა და ამიტომ ღუმან, თორემ შეუძლებელია არ იცოდნენ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლის დამამკიცრებელ განცხადებებს.

როცა ერთი ერის წარმომადგენელი ეხება მეორის ფუნდამენტს, მის საკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვრებს, თუ ნაკლოვანებებს და, როცა ეს ოფიციალურად, პრესის საშუალებით ხდება, განსაკუთრებული ინტერესით ეცნობა მას ორივე ერის წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობა, ამასთან, კიდევ უფრო მეტი ინტერესით ეცნობა მკითხველი მეორე ერის წარმომადგენლის გამოხმაურებას პირველი ერის წარმომადგენლის პუბლიკაციაზე.

**კუპური ფიფია, „ფაზისის“ აკადემიის აკადემკოსი**

# ღვერო, გვიხსენი ამ გარყვნილებას!



უფლის გარდა, ვის მივმართო, მართლაც არ ვიცი. უხნეობა და გარყვნილება ყოველი მხრიდან გვიტყვის, გვიტყვის ტელევიზიით, წიგნების ფურცლებიდან თუ თეატრის სცენიდან, რათა დაინგრეს და გაცემტყვერდეს ზნეობა, ზრდილობა და სულიერი ღირებულებები, რაც საუკუნეების მანძილზე ამშვენებდა და ალამაზებდა ერის ღირსებას.

ის უმსგავსობა, რაც რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე აწვენეს, მარტო მსახიობების პროტესტის სახეად არ უნდა დარჩეს. მართალია, ის ამაზრზენი ანტისექტაკალი - «შემეხე» არ მინახავს (ღმერთო დამიფარე!), რადგან სექტაკლებსა და ღონისძიებებზე ხშირად შეილიშვილთან ერთად დავდივარ.

**“ციტატა-შეხსენება:**  
 “საქართველოს პატრიოტულმა ძალებმა უნდა შეიგნონ ისტორიისა და ქართველი ერის მომავალი თაობების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა და ვალდებული არიან უარყოფონ ბრმა “დასავლური ორიენტაცია”, როგორც ერისათვის დამღუპველი, მისი სოციალურ-სულიერი თვითმყოფადობის, ისტორიული სახისა და ეროვნული ღირსების გამანადგურებელი. აუცილებელია მოეუწოდოთ ერს საკუთარი ისტორიული გზის ბაზაზე განვითარებისაკენ, ეროვნული სპეციფიკისა და ტრადიციული ღირებულებების გათვალისწინებით, დასავლური ცივილიზაციის მხოლოდ იმ მიღწევითა გადმოტანითა და გამოყენებით, რომლებიც კი არ ანგრევენ ტრადიციულ საზოგადოებას, არამედ ხელს უწყობენ ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს განვითარებას...  
 ალექსანდრე ჰაჭია, 1997 წლის ივნისი.”

ჩვენმა ღირსებმა წინაბრებმა სწორედ ქართული თეატრის სცენიდან დაიწყო ეროვნული იდეის პროპაგანდა და დამკვიდრება, ყველაზე სათუთ და მგრძობიარე თემებზე მსჯელობა. ახლა ყველაფერი მოგვარებული გვაქვს? სექსუალური უკუღმართობის საყურებლად და გასართობად გვცალია, როცა თავზე გვეტყევა ქვეყანა და დაკარგული ტერიტორიები გვაქვს დასაბრუნებელი?

საინტერესოა, კულტურის მინისტრმა და რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრებმა თუ მიიყვანეს საკუთარი ოჯახის წევრები, შვილები და შვილიშვილები ამ სექტაკლის საყურებლად? კულტურის მინისტრ რურუას ორი ქალიშვილი ჰყავს, საინტერესოა, აყურებინა იმ სახაბაგლეს - შიშველი მამაკაცი წინ და უკან რომ დარბის სცენაზე?..

და თუ ნახეს, ნეტა, რა უთხრეს მამას - დარჩენე ყმაყოფილები? თუ არა და, მაშინ რატომ უჩვენებენ ამ სიბინძურეს სხვის შვილებს? ვერც ინგლისელები და ვერც ამერიკელები ვერ გვასწავლიან ქვეყანასა და კულტურას... როცა კოლუმბოზ ამერიკა აღმოაჩინა, მაშინ ჩვენი კულტურა ყვოდა. ახლა კი მოდის ის ვიღაც ზნეობრივად დეგრატირებული ინგლისელი ზელდინი, საქართველო ველური ქვეყანა ჰგონია და ჯუნგლების ცხოვრების წესების დემონსტრირებას გვაკადრებს სცენაზე.

რას ემსახურება კულტურის სამინისტრო? რატომღა ხელისუფლება დაინტერესებული საზოგადოების ზომბირებით, გარყვნილი რატომ აძლევს უფლებას უხნეობებს, რომ დასცინონ და აბუნად აიგდონ საზოგადოება?

მოუთმენელი უმსგავსობა დამკვიდრდა ლიტერატურაშიც. გამონდნენ ვიაგტორები, რომლებიც მშობლის ასოსა და უკანაღს ხალისით აღწერენ და უხარიათ. გამრავლდნენ სოლომონის ცოლების შედეგები და მიაფურთხეს ყოველივე ღირებულს. ვიღაც შებრუნებული აზროვნების მქონე დეისაძემ დაჯაბნა და უპრობლემოდ გამოაქვეყნა «საიდუმლო სირობა», რომელიც ილიას უნივერსიტეტის წინ, მიაქციეთ ყურადღება, ერის მამის, ილიას სახელობის სასწავლებლის წინ განიხილეს და გამოცემას ტაში დაუკრეს. ამავე უნივერსიტეტმა 2011 წლის ლიტერატურული პრემია

მიანიჭა ვინმე ზახა ბურჭულაძის ნაწარმოებს «გასაბერი ანგელოზი». ეს ის ბურჭულაძეა, რომელმაც უხამსი ქმედება ჩაიდინა ქუთაისში - ოპერის თეატრში პოეტი ქალბატონის იუბილეზე მოულოდნელად ავარდა სცენაზე და იღრიალა: «ქურდებს - სიცოცხლე, ბოზებს - სიკვდილი». ამგვარმა ადამიანმა, რომელსაც ელემენტარული პატივისცემა არ აქვს არც საზოგადოების და არც საკუთარი თავისა, რა ღირებული უნდა შექმნას და შესთავაზოს მკითხველს? ან ამგვარმა გაუკუღმართებული აზროვნების ვითომც მწერალმა რით მოაწონა საკუთარი შემოქმედება უნივერსიტეტის რექტორს, თეატრს?.. ალბათ, თავადაც ასეთია, რაკი უხამსობა და სიბინძურე იხილავს.

ეს ორიენტაციადრეკული ადამიანები, რომელთა შორის ძალიან ბევრი ხელისუფლების წარმომადგენელია, შეურაცხყოფენ უფალს. ამით რომ ნამდვილი, მაკაცური ღირსებები ჰქონდეთ, სიზმრად და ცხადად ფალოსი არ მოელანდებოდათ.

როგორი თაობები გვეყოლება მომავალში? უხნეო, უკულტურო, უესთეტიკო, მხოლოდ გართობის მოყვარული, სექსზე მოფიქრალი



და უხამსობის მეხოტბე? თითქმის ყველა ქართველ კლასიკოსს აქვს აღწერილი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, ინტიმური პასუხები, მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი.

ხსენი დაბოღმილი, მხოლოდ ხორციელი სიამის მონები არიან. უხამსი სიტყვებით, გაშიშვლებული ველურობით აღიქვამენ მოვლენებს, რაც გულისამრევია. ეს შედეგია იმისა, რომ მომრავლდნენ პედერასტები, გაორებული ორიენტაციის ადამიანები, მამათმავლები და

ლესბოსელები. რომელი ნორმალური მწერალი იკადრებს იმას, რასაც ეს დამთხვეულები კადრულობენ? ერთ სატელევიზიო გადაცემაში ახალგაზრდა გამოვიდა, მწერალი ვარო, თავი მოჰქონდა რაღაც უსახური ნაჯღაბნით. ეს არის ის ნაწარმოებები, რომლებიც პამპურსივით ერთჯერადია - წაიკითხავ, გულს ავირევეს და სანაგვეში გადავადგებ.

დღეს რუსთაველის გვერდით სულბინძური, ნაგვის მქექველები ცდილობენ დამკვიდრებას.

უხნეობა არც ერთ ქვეყანაში არასდროს ყოფილა წახალისებული. ჩვენ რა ღმერთი გვიწერება?... ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ფსიქიკაზე, მათ მორალურ გაუკუღმართებაზე პირდაპირ მოქმედებს ცალკეული სატელევიზიო გადაცემები. უხნეობის პროპაგანდა ამ საშუალებას ხალისით იყენებენ ქართული ტელევიზიები. ზღვარი არ უნანს იაფფასიან ტელეკერძალებს, გადაცემებში იჭევენ კახებს და მათ ვარსკლავებად წარმოგვიჩენენ; არენა დაუთმეს ქმარგაყრილებს, ნარკომანებსა და უხნეობებს; პროპაგანდას უწევენ იმას, რომ გათხოვებამდე ქალიშვილობის შენარჩუნება სამარცხვინოა.

გვეითხები გადაცემა «სიმთავის დეტექტორის» ავტორებს:

- ამიხსენით, რას ემსახურება თქვენი უფერული, უხამსი გადაცემა, სხვა ნორმალური ვერაფერი მოიფიქრეთ, რომ ნავაგში არ იქეკით... არ გაწუხეთ ეს სიბინძურე?.. საქართველოში ჯერ კიდევ უამრავი მისაბაძი და ღირსეული ოჯახია, მოიწიეთ ისინი, საზოგადოებას ესაუბრეთ ქალურ და მამაკაცურ ღირსებებზე, ამ ორი ფენომენის სიდიადეზე, ოჯახურ სიმტკიცეზე... ეს უფრო არ წაადგება ქვეყანას?

თეატრი, კინო, მხატვრული ნაწარმოები, ტელევიზია ჩვენი კულტურის სამკე უნდა იყოს. ვინ გავალებთ არ უხნეობის, ძალადობის, ავიორასნილობის პროპაგანდას?... ქართველები არა ხართ?... ხომ ხედავთ, რა ხდება დედაქალაქში, ახალგაზრდები როგორ იქცევიან: არ იციან მეგობრობა, ერთმანეთის დანდობა, მიტყევა; მომრავლდნენ იმპოტენტები, ორიენტაციადრეკული ახალგაზრდები, ხვალ კი თქვენს შვილს ემუქრება იმპოტენცია და პედერასტობა ან გათხოვება და უამრავჯერ ნაბობრტევი ვერ გაა-

**“ციტატა-შეხსენება:**  
 “პროდასავლური ორიენტაციის” შედეგია, აგრეთვე, ტრადიციული იმიტაცია, დასავლური კულტურული ნიმუშებისადმი მიბაძვა, რაც ქართული ეროვნული ტრადიციების, ქვეყნის ნორმების, მორალისა და ზნეობის განდევნის ხარჯზე ხდება. მთელი პროპაგანდა მიმართულია წარსულის უგულვებლყოფაზე, წინა თაობისა და მათი მოღვაწეობის დაცინვაზე. ტელევიზია საშინელი არაპროფესიონალიზმის, ღრმა პროვინციალიზმის, დასავლური მასობრივი კულტურის უარესი ნიმუშებისადმი სასაცილო და ამაზრზენი მიბაძვის გარდა, უბრალოდ რყენის ახალგაზრდობას, ღუპავს ეროვნული ზნეობის პოტენციალს...  
 ალექსანდრე ჰაჭია, 1997 წლის ივნისი.”

ჩვენს შვილს, ან კიდევ გახდება ძალიანობის მსხვერპლი... მერე უნდა იფიქროთ ამ საშინელ მდგომარეობაზე?

დღესდღეობით კატასტროფულად უარესდება საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა. მომრავლდნენ მარტოხელა დედები, შეუთავსებლობის საბაბით ინგრევა ათასობით ოჯახი, რასაც აუცილებლად მოჰყვება საშიში, არასასურველი შედეგი მომავალში.

ცნობილი მეცნიერები მითოლოგიაზე დაყრდნობით წერენ, რომ უძველესი ქართული იკთავება იყო კოლხური «ღია ნანა», ღვთა დედა. კილდან მოდის საოცარი კდგმა და პატივისცემა მამაკაცისა ქალისადმი და, ვისაც ეს დამოკიდებულება ადვირასნილობამდე, სექსუალურ მანიაკობამდე დაჰყავს, ის მარაზმის მსახურია.

დავუიქრდეთ! დღეს ჩვენი სულიერი ცხოვრება თანდათანობით ჭაობში ეფლობა, ჩვენს წმინდა ეროვნულს ენაცვლება სხვა კულტურა, სხვა აღმსარებლობა და ცხოვრების უკუღმართი წესი, რომელსაც გამოუწინდენ კიდევ ბინძური მიმდევრები, მახინჯი სულიერი ფასეულობების მეხოტბენი, ურცხვად, ჯიუტად რომ ცდილობენ, ცხოვრების ავანსცენა დაიკაონ.

ეს არ უნდა დაგუშვათ!  
 ბორის ლაშითაია, მწერალი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

# ნანა ღვეღარიანი: “ჩისუბლიკელთა ქართული ოსნება”

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)  
 სირთულეები თავს იჩენს ხოლმე საზოგადოებრივ მოძრაობა “ქართულ ოცნებაში”, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკურ პარტიად უნდა გარდაიქმნას. პოლიტიკური პარტიორები ფხიზლად არიან, რათა პარტიის რიგებში არ გაწევრიანდნენ მათთვის არასასურველი პირები. ამასთან, ყურადღებას იპყრობს ხალხი, რომლებიც ოქრუაშვილის პარტიიდან მოვიდნენ, შინაგან საქმეთა მინისტრ მერაბიშვილის მეუღლე, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებების ყოფილი თანამშრომლები და სხვა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ივანიშვილის პარტიორებს მეტი ურთიერთობა აქვთ სააკაშვილის რეჟიმთან, ვიდრე ქართველ ამომრჩეველთან.

ისევე როგორც ალასანიამ მიულოცა ადგილობრივი მართვის ორგანოების არჩევნებში გამარჯვება მმართველი გუნდის წევრ უგულავას (მოგვიანებით მან ახსნა, რომ სხვა რამე ჰქონდა მხედველობაში), ობამასა და სააკაშვილის შესვენების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა თავის ფეისბუქზე გამოაქვეყნა: “მიუხედავად მმართველი ძალის პოლიტიკისადმი ჩემი დამოკიდებულებისა, მე ოპტიმიზმით შევხვდი სააკაშვილის ვაშინგტონში მიწვევას”. გამოთქვა რა იმედი, რომ სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტი საქართველოს გაიყვანდა დემოკრატიული განვითარების გზაზე, ივანიშვილმა ხაზი გაუსვა: “მე და ჩემი პარტიორები პასუხისმგებლობას ვიდებთ მრავალპარტიული სისტემის დანერგვასა და საგარეოპოლიტიკური კურსის რეალიზაციაზე. ამიტომ, მივმართავთ ამერიკისა და დემოკრატიული სამყაროს ლიდერებს თხოვნით, რომ მხარი დაუჭირონ ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას

და მთელი ძალები მოახმარონ საქართველოში ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რაც ხალხის საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას მისცემს”.

ივანიშვილის ეს განცხადება ყველაზე პროდასავლურია ადრე მის მიერ გაკეთებულ ყველა განცხადებას შორის. კერძოდ, იგი ბრალს სდებს სააკაშვილს ნატო-ს გზაზე შეფერხებების შექმნაში. და ხაზგასმით აღნიშნავს: “ჩვენი გეგმილება პასუხისმგებლობით აღტურვით მთავრობა, მაღალი საგარეო და შიდა (ზუსტად ამ თანმიმდევრობით, და არა - პირიქით. ნ.ღ.) დეკონტროლობით, რომელიც იქნება პროვოზირებადი და საიმედო პარტიორი დასავლელი მოკავშირეებისათვის”. დაბოლოს, ივანიშვილი პირდაპირ მიანიშნებს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის მექანიზმზე: “საჭიროა სააკაშვილის ინტენსიური დიალოგი “საქართველოს ერთგულ მეგობრებთან” საპარლამენტო არჩევნებამდე, რათა იგი არ ეცადოს ხელისუფლების ყველანაირი მეთოდით შენარჩუნებას, რაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოსათვის”.

ამრიგად, ივანიშვილისათვის ხელისუფლების წყარო ქართველი ხალხი კი არა, “საქართველოს ერთგული მეგობრები”, რომლებიც, მით უმეტეს, არ აკრიტიკებენ სააკაშვილს იმისათვის, რისთვისაც აკრიტიკებენ პუტინს. “The Washington Post”-სათვის 31 იანვარს მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილს არ უარყვია, რომ აპირებს პრემიერ-მინისტრობას. ხაზი გაუსვა რა პუტინთან ანალოგიას, სააკაშვილმა თქვა: “ზოგჯერ მეკითხებიან, ხომ არ ვაპირებ, რომ გავხდე პუტინი. საქართველოს არ შეიძლება

ჰყავდეს პუტინი, იმიტომ, რომ საქართველო რუსეთი არ არის”. უბრალო, მაგრამ რკინისებური ლოგიკაა: ვინ შეედავება იმაში, რომ საქართველო რუსეთი არ არის?

ივანიშვილის განცხადებები თითქოს თითქოს სიმშვიდეს სძენს და პასიურს ხდის მის გუნდს, მაშინ, როცა სააკაშვილმა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო მარათონი. იგი ყოველდღე ჩადის რევიონებში, ხსნის წარმოებებს (რომლებიც, სხვათა შორის, მალე იხურება, მაგრამ ამას ტელეარხები არ აჩვენებენ), ხვდება ამომრჩეველებს, მოხუცებს კბილების ჩასმას ჰპირდება, რათა “ბუდნიერი დიმილი” ჰქონდეთ, და ა.შ. და ა.შ. ივანიშვილის გუნდი კი თავიდან იცილებს თავის მომხრეთა ბრალდებებს და იმედოვნებს, რომ “დასავლელი დაგვემხარება”.

ასეთ პირობებში აუცილებლად აღმოცენდება მესამე პოლიტიკური ცენტრი რასან ივანიშვილი ვერ გახდა საერთოეოროვნული ლიდერი (ან მას ამის საშუალება არ მისცეს), უნდა ვივარაუდოთ, რომ მის მიერ უარყოფილი პარტიები გაერთიანდებიან. მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ მესამე ცენტრის შექმნა გამოიწვევს ოპოზიციური ხმების დაფანტვას, ეს მაინც მოხდება, თუ ივანიშვილი არ შეცვლის თავის დღევანდელი გაერთიანების კონფიგურაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამომრჩეველმა, რომელსაც უკვე ყელში აქვს ამოსული სააკაშვილის ევროატლანტიკური ძილისპირულები, ნაკლებსარწმუნოა, რომ ხმა მისცეს “ქართულ ოცნებას”, რომელსაც უფრო და უფრო ხშირად “რესპუბლიკელთა ოცნებად” მოიხსენიებენ

ქობულეთში პეტრას ციხე-ქალაქი „ჯორჯიან ინვესტ კომპანის“ 1 ლარად მიჰყიდეს

(განუკითხაობა აჭარაში)

პეტრას ციხე ერთ ლარად გასხვისდა, - ამის შესახებ განცხადება ამას წინათ რესპუბლიკელებმა გააკეთეს.

აჭარაში აზიზიეს მეჩეთის სკანდალის პარალელურად, კიდევ ერთი სკანდალური გადაწყვეტილება ხდება ცნობილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ციხისძირთან, პეტრას ისტორიული ციხე-ქალაქი სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად „ჯორჯიან ინვესტ კომპანის“ 49 - წლიანი ვადით გადასცა.

აღნიშნული კომპანიის მფლობელები უკრაინელები არიან, რომელთაც ეკონომიკის სამინისტრო ბოლო კონსულტაციებს მართავს. არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ტერიტორიაზე ნახევარი მლნ ლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს, ხოლო პეტრას ციხე 3 200 კვმ ფართობს ერთად გასხვისდა. სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, საუბარია მხოლოდ იჯარით გასხვისებაზე. მოლაპარაკებები მხარეებს შორის ახლა მიმდინარეობს და დეტალები 15 მარტისთვის გახდება ცნობილი.

როგორც მუხუშინაძის აწ უკვე ყოფილმა ხელმძღვანელმა ირაკლი ჩაველიშვილმა განაცხადა, ისტორიული ციხე-სიმაგრის გაყიდვა, თანაც სიმბოლურ ფასად, რეალურია. მისივე განცხადებით, უკვე ახალი რეალობიდან გამომდინარე, დატოვა დირექტორის თანამდებობა და ეკვლა დოკუმენტაცია საბუღალტრო სამსახურს გადააბარა. ირაკლი ჩაველიშვილს დაუშვებლად მიანია ბიზანტიური პერიოდის ანბანის, მე-9 საუკუნის სამნავიანი ბაზილიკის ნაშთებისა და მე-16 საუკუნის ერთნავიანი ბაზილიკის, მათთან ერთად სხვა ისტორიული მნიშვნელობის ნიმუშების გასხვისება და კერძო მფლობელის ხელში გადასვლა. იგი საქმეში საქართველოს საპატრიარქოს დაუყოვნებლივ ჩართვას მოითხოვს.

ირაკლი ჩაველიშვილი: „გადასტურებთ, რომ პეტრას ციხე გაიყიდა სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად და ციხის გასხვისება მოხდა კომპანია „ჯორჯიან ინვესტ კომპანის“ სახელზე, რომლის მფლობელიც უცხოეთის მოქალაქეა. კერძოდ, ესენი გახლავთ უკრაინელები. ჩემ ხელთაა ჯერ კიდევ ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც დათარიღებულია 2012 წლის 15 მარტით. საგარეოდ, კომპანიასთან ეკონომიკის სამინისტრო 15 მარტს დაასრულეს მოლაპარაკებებს. ხელშეკრულება რუსულ ენაზე შედგენილი და საუბარია ციხე-ქალაქის 49-წლიანი იჯარით გადაცემაზე. ფაქტობრივად, ეს ხელშეკრულება მუხუშინაძის სტატუსს აუქმებს. თავიდანვე საუბარი იყო პეტრას და გონიოს ნაკრძალების აჭარის მთავრობისა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადასვლაზე, ახალი ხელისუფლების განწყობები ამ კუთხით ძალიან საიმედო იყო, თუმცა ამოდ. ამბობენ, გასულ ზაფხულს „ჯორჯიან ინვესტ კომპანის“ წარმომადგენლები პრეზიდენტთან ერთად გადაადგილდებოდნენ პეტრას ციხესთან.

თითქოსდა, სწორედ ამ დროს შესთავაზა პრეზიდენტმა უცხოელებს აღნიშნული ადგილით დაინტერესება, თითქოს ეს ისტორიული ადგილი პრეზიდენტის საუფლისწულო ყოფილიყო.

24 წელიწადი ვხელმძღვანელობდი ამ ნაკრძალს და ამ ხნის მანძილზე არაერთი მდიდარი აღმოჩენის მომსწრე გამხდარავარ. ცოტა ხნის წინ, როცა ციხის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის გადმოცემა მოვითხოვე, რათა იქ ექსპონატები დამებრძანებინა, ეს შენობა გაასხვისეს და იქ რესტორანი გასხვისეს. ახალ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დაცვაზე, იმაზე თუ რის გაკეთებას აპირებენ. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული კონკორდატის თანახმად, ამ საქმის კურსში აუცილებლად უნდა ყოფილიყო საქართველოს საპატრიარქო. ეს გასხვისება კი მოხდა მისი გვერდის ავლით.

მორალურად არ ვიქნებოდი მართალი, თუკი აღნიშნული ფაქტის შესახებ საქმის კურსში არ ჩავაყენებდი სამდგომარეობას. ამბავი ვაცნობე მოძღვრებს და ველოდებით მეუფის აჭარაში დაბრუნებას, მასთან შეხვედრას. მიმანია, რომ პეტრა არ უნდა გადავიდეს კერძო პირის მფლობელობაში, უნდა დარჩეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ. ამის ფინანსური რესურსი დღევანდელ ქართულ სახელმწიფოს გააჩნია, მაგრამ არ მინდა მჯეროდეს, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული მხოლოდ მილიონიანი ის შენობა-ნაგებობებია, რომელიც ბათუმში იხსნება და სპეციალისტების სეროიზულ შემოფოთებას იმსახურებს“.

პეტრა დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ისტორიული და სამხედრო მნიშვნელობის ცენტრია, რომელიც ვერისის სამეფოში შედიოდა. დღემდე შემორჩენილია ციხის ნანგრევები, ხოლო მისი ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობის გამო, ლაზების ამ უძველესი სამოსახლოე VI საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანემ ქალაქი გააშენა. აქვე დაარსდა ლაზიკის ეპარქიის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი. აქ გადიოდა ზღვისპირა ვიწრო გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის პროვინციებთან, ირანთან და სომხეთთან აკავშირებდა.

ბიზანტია და ირანი დაინტერესებული იყვნენ, რომ პეტრა მათ მფლობელობაში ყოფილიყო, რადგან მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური ექსპანსია სწორედ პეტრას კონტროლზე იყო დამოკიდებული, რაც გახდა კიდევ ერთ-ერთი მიზეზი VI საუკუნის შუა წლებში ბიზანტია-ირანის ომისა. შუა საუკუნეებში მას ქაჯეთის ციხეს უწოდებდნენ, გარკვეული სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნეშიც. პეტრას აკროპოლისი ზღვისპირა კლდოვან ბორცვზე მდებარეობდა, ხმელეთის მხრიდან მას გალავნის გარდა, კლდოვანი რელიეფი იცავდა (აქედანაა მისი ბერძნ. სახელწოდება „პეტრა“ - ქვა, კლდე). პეტრა

მიუვალ ციხედ ითვლებოდა. მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. არქეოლოგიურმა გათხრებმა შიდაციხის გალავანთან ერთად, გამოავლინა სხვადასხვა ნაგებობა, მათ შორის VI-VII საუკუნეების ბაზილიკის საძირკველი, რომელიც პეტრის საეპისკოპოსოს კათედრალის ნაშთია.

ინვესტორმა ციხის ტერიტორიაზე გასართობი ცენტრი და საზოგადოებრივი კვების ობიექტი უნდა მოაწყო. ინვესტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი სამნავიანი ბაზილიკის ნაშთების და აბანოს თაობაზე, სადაც არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებელი და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი. აჭარაში მხოლოდ ორი ძეგლი - პეტრას ციხე და გონიოა - მონუმენტარული, ამიტომ ასეთი ძეგლების ჩუმად გასხვისება მიუღებელია. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ არის მორალური მხარეც, რადგან ქართველებმა ბოლო გამარჯვება სწორედ პეტრას ციხესთან იხიემეს, როცა აჭარა დანარჩენ საქართველოს შემოუერთდა. ისტორიული ციხე-ქალაქის, პეტრას ნანგრევები სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე მდებარეობს. ციხე-მუხუშინაძე ნაკრძალად 1999 წელს ჩამოყალიბდა. ციხის შესახებ მოპოვებული ინფორმაციები პირველი ათასწლეულით თარიღდება, ხოლო როგორც ქალაქი, პეტრას ციხე მეექვსე საუკუნეში ჩამოყალიბდა.

უცნობია, რა რეაქცია მოჰყვება ციხე-გოჯის გასხვისებას აჭარასა და დანარჩენ საქართველოში. 4 მარტს ბათუმში გრანდიოზული მასშტაბის შეკრება გაიმართა, სადაც აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას გააპროტესტეს. მრევლმა იუნკერთა საფლავთან ჯვარი აღმართა - იქ, სადაც წარსულში აზიზიეს მეჩეთი იდგა და თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულების სანაცვლოდ, აღდგენა უნდა მოხდეს.



„სიტყვის თავისუფლების წართმევა ნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც სულელები და ენაბლუნნი, ცხვრის ფარასაგით გაგუფებით სასაკლავო გზას“, - ჯორჯ ვაშინგტონის ეს სიტყვები, როგორც ჩანს, არასოდეს წაუკითხავთ მარტვილის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ ჩაახშონ რაიონში თავისუფალი სიტყვა და დაიმორჩილონ ობიექტური, მიუკერძოებელი მედია, რათა მოსახლეობა ამყოფონ სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში.

დღეს, მარტვილის რაიონის ხელმძღვანელი პირების მიზანს მათთვის არასაურველი გაზეთი „მარტვილის“ დასურვა წარმოადგენს, რომლის მიმართ აგრესია არასოდეს დაუმაღლავთ. განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, როცა ივანიშვილი გამოვიდა პოლიტიკურ სარბიულზე და მისი ხსენების ხსენება ძალაუფლებას ნაბლაუკებული „პატარა კაცუნებისთვის“ შიშის მომგვრელი გახდა.

საქმე ის არის, რომ გასული წლის ოქტომბრის თვეში გაზეთი „მარტვილის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ცნობილი ქართველი ლიტერატორისა და კინორეჟისორის, არაერთი ქართული ფილმის, მათ შორის „მონანიებისა“ და „ვედრების“ სცენარის ავტორის, ბატონ რეზო კვესელავას ინტერვიუ სათაურით „ივანიშვილის განცხადებამ მარტვილიც გამოაცოცხლა“. გარდა ამისა ამავე გაზეთში დაიბეჭდა ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის ამსახველი მასალები, რაც იმ დროს და შემდეგაც არცერთ რაიონულ გაზეთს არ გაუკეთებია.

მარტვილის რაიონის ხელმძღვანელობამ კი, რომლებიც განსხვავებული და ოპოზიციური აზრის მიმართ სიმბოლური არიან გამსჭვალულნი, გაზეთი „მარტვილის“ წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გატარება დაიწყო. მიუხედავად ყოველმხრივი შევიწროებისა, აღნიშნული გაზეთის რედაქტორი ფაუხტ ნადარაია, რომელიც არის არაერთი წიგნის ავტორი და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნაზი შამაჩაურის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჟურნალისტი, მაინც ახსენებდა და ახერხებდა ისეთი დამოუკიდებელი გაზეთის გამოცემას, რომელიც პოპულარულია რაიონში და იცნობენ მთელს საქართველოშიც.

მარტვილში თავისუფალ პრესას ხელისუფლება აპინრობს

ამის შემდეგ მარტვილის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მოიფიქრა ისეთი მზაკერული გეგმა, რომელიც გაზეთი „მარტვილს“ ფინანსურად ისე დაზარალებდა და გააკოტრებდა, რომ რეკლამულად გამოსვლის საშუალება არ მისცემდა.

როგორც ირკვევა 2012 წლის 23 თებერვალს გაზეთი „მარტვილის“ გამომცემელმა კურნალისტთა ასოციაცია „თავისუფალმა პრესამ“ მონაწილეობა მიიღო მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელშიც მონაწილეობდა აგრეთვე აღნიშნული რაიონის ხელმძღვანელი პირების პროტექტ, ინდ. მეწარმე ვინმე ზაალ ფირცხალავა.

ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის მეორე მუხლის შესაბამისად მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციები უნდა განათავსოს გაზეთის პირველ-მეორე გვერდებზე (ანუ შეიძლება ითქვას, რომ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გამგეობა ქირაობს საგაზეთო ფართს, რათა მარტვილის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენები დეტალურად მიაწოდოს რაიონის მოსახლეობას). იქვე ვითხოვდნენ: „გაზეთი დარეგისტრირებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოდიოდეს თვეში ერთხელ“.

სიტყვები „გამოდიოდეს თვეში ერთხელ“ ნიშნავს, რომ ეს გაზეთი ფაქტობრივად უნდა არსებობდეს და უნდა გამოდიოდეს თვეში ერთხელ, რაც ინდ. მეწარმე ზაალ ფირცხალავას შემთხვევაში ნამდვილად ასე არ არის. ვინაიდან, როგორც ირკვევა არავითარ გაზეთს ზაალ ფირცხალავა არ გამოსცემს. მის დოკუმენტებში გაზეთის სახელიც კი არ ჩანს. უფრო მეტიც აღნიშნულ პიროვნებას გაზეთი საერთოდ არ აქვს რეგისტრირებული, ისეთი თვეში ერთხელ კი არა წელიწადში ერთხელ მაინც რომ გამოდის.

ყოველივე ამით დარღვეულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაც არის

იმის საფუძველი, რომ ინდ. მეწარმე ზაალ ფირცხალავას მიეცეს დისკვალიფიკაცია და 23 თებერვალს ჩატარებული ტენდერის შედეგები გაუქმდეს.

მაგრამ რა თქმა უნდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობელი მამუკა დანელია, რომელიც ამავე დროს არის სატენდერო კომისიის თავჯდომარე, ამას არ გააკეთებს, რადგან მათ მშვენივრად აქვს დაგეგმილი, რომ ზაალ ფირცხალავას ხელში რაიონული გაზეთი ჩვეულებრივი პროპაგანდის იარაღი იქნება რაიონში მოქმედი გოროზია-დანელიას კლანისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ხელმძღვანელობის პროტექტ ინდ. მეწარმე ზაალ ფირცხალავა არის პიროვნება, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთი საგაზეთო სტატიაც არ დაუწერია. განა საოცარი არ არის თუ რატომ უტყუერ მხარს ასეთ არაპროფესიონალს.

ამ საკითხთან დაკავშირებით **ვაშისტ ნაღარაძის** დაუუკავშირდით და კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ:

- რამე პოლიტიკური სარჩული ხომ არ უდევს მარტვილის ხელმძღვანელობის ამ ქმედებას?

- გასულ წელს ჩვენ დაბეჭდეთ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის ამსახველი მასალები და პროტექტი გამოვუქვეთ იმის გამო რომ საქართველოს ხელისუფლება მოქალაქეობას ართმევს ტექნიკურ მამუკა დანელის, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, კაცს, რომელმაც ქართველ ურს სამების ტაძარი აუშენა, რომელიც უანგაროდ ემხმარებოდა მეცნიერებს, მწერლებს და მთელს საქართველოს. საჯაროდ ვაცხადებ, რომ მე როგორც ერთი რიგითი ქართველი დიდ უსამართლობას ვხედავდი და ვხედავ მისთვის მოქალაქეობის ჩამოღებვას, რაც გამოიხატე კიდევ ჩვენს გაზეთში. რამაც გამოიწვია მარტვილის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების

აგრესია ჩემს მიმართ. - რაიმე სახის მუქარას ხომ არ ჰქონია ადგილი?

- მარტვილის გამგეობელ მამუკა დანელიას ჩემთან პირად საუბარში არ დაუმაღლავს, რომ ის არ შეეგუებოდა რაიონში ისეთი გაზეთის არსებობას, რომელიც ივანიშვილის მხარდამჭერთა მასალებს აქვეყნებს. მუქარა შესრულდა კიდევ. მან ტენდერში უკანონოდ გამარჯვებინა ისეთი „გაზეთს“, რომელიც საერთოდ არ არსებობს. რაც შეეხება ინდ. მეწარმე ზაალ ფირცხალავას, მე მას ადრეც ვუჩინე, რომ გაზეთი მისი საქმე არ არის და ამ საქმეს შეეშვას, ვიდრე თავს საქველმოქმედობით დასაჯავს და სრულიად არ არის საჭირო ვაკეთოთ ის რისი უნარიც არ გვაქვს.

რაც შეეხება მარტვილი გამგეობელს, მამუკა დანელიას, თვით კომისიის წევრებმაც ხომ იციან თუ რა თავგამოდებით იბრძოდა ის კომისიის ხსდომაზე გაზეთ მარტვილის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო გაზეთზე.

- ბატონო ფაუხტ, აპირებთ თუ არა დაწვინებას, ან რა ბედი ელის თქვენს გაზეთს?

- მე ახლა არ შევედგები თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ლიტერატურული გაკვეთილის წატარებას მარტვილის სატენდერო კომისიის თავჯდომარისათვის, თუ როგორ უნდა გაეფიქროთ სიტყვები „უნდა გამოდიოდეს“ და „უნდა გამოვიდეს“, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს გარწმუნებთ, ჩემი მეგობრების დახმარებით ჩვენ მაინც შევძლებთ გაზეთი „მარტვილის“ გამოცემას და როგორც ყოველთვის მომავალშიც მიუკერძოებლად და ობიექტურად ავსახავთ რაიონის ცხოვრების ყველა მხარეს - კარგსაც და ცუდსაც, რითაც ხელს შეუწყობთ რაიონში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

**P.S. თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში პრესის თავისუფლება არის დემოკრატიის საყრდენი, მაგრამ როგორ გინდა ეს გააგებინო მარტვილის გამგეობელს, მამუკა დანელიას, რომელსაც კომკავშირული აზროვნება ჯერ კიდევ არა აქვს თავიდან გამოფერხილი და არ არის დაინტერესებული ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.** ბიორბი ლაშვი

# დროა, ჩამოვაყალიბოთ ეროვნული გადაჩენის ფრონტი!

სრულიად საქართველო, მისი მოსახლეობა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია. ზუგდიდში მოქმედი სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» არჩევნებში პირდაპირ არ მონაწილეობს, თუმცა აქტიურად არის ჩართული ჩვენი თვითმყოფადობის გადარჩენისთვის ბრძოლაში. იგი არამხოლოდ რეგიონული პრობლემების წარმოჩენითა და მოგვარებით არის დაკავებული, არამედ აქტიურად იბრძვის საერთო ეროვნულის, საერთო ქართულის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული ტრადიციების შესანარჩუნებლად და დასამკვიდრებლად. გვესაუბრება სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ბატონო

## ზურაბ კვარაცხელია.

ამ ბოლო დროს ამეკვირება დიდი კონსტანტინეს ცნობილი ნოველა «ჯამბუღან» ერთი ფრაზა: «დინანს ვადექი თავზე გულნადვლიანი და გუყურებდი, თუ როგორ ერეოდა სიკვდილი ჩემი რასის ქედმადლობას». სწორედ ვერა ახლა ჩვენი საქმეც. ვხედავთ, რომ ჩვენი მოდგმა დაღუპვის გზაზე შედგარბი. ის, შესაძლოა, თავისი რამდენიმე ათასწლოვანი დიდი და არცთუ უსაფუძვლოდ საამაყო ისტორიის უკანასკნელ ათასწლეულებს ითვლის; ის, შესაძლოა, სამუდამოდ გაქრეს და შეუერთდეს გამქრალი ერების თუ ეთნოსების გრძელ წესს. ჩვენ კი ჯერჯერობით უძღვრები ვართ, შევაჩეროთ ეს პროცესი, ჩვენ ჯერჯერობით არ აღმოგვანდა საკმარისი ნებელობა, საერთო ეროვნული ძალისხმევით ვიბრძოლოთ და არ დავეშვათ მოსალოდნელი კატასტროფა. არ დავიდელები იმის გამოტყობით, რომ ის ავადსახსენებელი საბჭოეთი უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას, ვიდრე დღევანდელი ფსევდო დამოუკიდებლობა. დაიხ, ასეთი დამოუკიდებლობისთვის არ უბრძოლიათ სულმანთ ზვიადს, სულმანთ მერაბს და სხვა მამულიშვილებს. ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააფუასურა. ამათ წაბღღეს ყველაფერი წმინდა და, რაც მთავარია, ჩვენს ერში თითქმის ჩაკლეს წინააღმდეგობის სურვილი, თუმცა იმედი მაქვს, რომ მათ ბოლომდე ეს მაინც ვერ მოახერხეს და, ერთხელაც იქნება, საღათის ძილიდან გამოსული ერი და ბერი იქნება.

– ბატონო ზურაბ, როგორია თქვენი დამოუკიდებულება კოალიციის «ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს» მიმართ?

– თავისთავად ცუდი არაფერია იმაში, რომ პოლიტიკურ მზის ქვეშეთი ადგილის მოპოვება გვსურდეს, მაგრამ ნებისმიერი

ჩვენი ნაბიჯი, მოქმედება თანხვედრაში უნდა იყოს ეროვნულ ინტერესებთან და ის არ უნდა ემსახურებოდეს უადესად საეჭვო რეპუტაციის მქონე პოლიტიკანებს. არავის არა აქვს უფლება, საკუთარი უმწიკვლო რეპუტაციის მიხედვით აქციოს უკეთესობის მომედე მოსახლეობა და აიძულოს ის, ანტიეროვნული ძალის მხარე დაიჭერდეს აქციოს, იმავე მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ. თუ ჩამეძიებოთ, გიპასუხებთ, რომ მე იქ რამდენიმე მიუღებელ ანტიეროვნულ პოლიტიკურ ძალას ვგულისხმობ, მაგრამ განსაკუთრებით მაინც «რესპუბლიკელების» პრობლემა დგას. ნურავინ იფიქრებს, რომ ასე მხოლოდ ერთეულები ფიქრობენ. დანამდვილებით ვიცი, ასე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ჩვენ გვაქვს კავშირი ბევრ მათგანთან. საერთო განწყობა ასეთია: ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და სხვებმაც, ვისაც გააჩნია პიროვნული და ფინანსური შესაძლებლობები, ყოველივე ეს უნდა გამოიყენოს ეროვნულ-პატრიოტულ პლატფორმასთან მდგომი პოლიტიკური ძალის შესაქმნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იმას, რომ არსებულ ანტიეროვნულ ხელისუფლებას ჩაენაცვლება ისეთივე ანტიეროვნული ძალა.

– რამდენიმე დღეში რუსეთში საბრეზი-დენტო არჩევნებია. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი საქართველოზე და საერთოდ მსოფლიოზე?

– აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის სურვილი, მომდევნო ხელისუფლებამ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს მეზობელ ზესხელმწიფო რუსეთთან. ბრიყვის გარდა, დღეს ყველა ხვდება, რომ პრობლემებს ვერც ნატო მოგვივარებს და ვერც ევროკავშირი. ჩვენი პრობლემების გზა ჩვენსავე გონიერებასა და საქართველო-რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრაზე გადის. არავის გასაღიზიანებლად არ ვამბობ, მაგრამ დროა, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი სერიოზულად ჩაუდრამდევს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკურ კონცეფციას. სხვათა შორის, არც ესაა მარტო ჩემი მოსაზრება, ასე ფიქრობს უამრავი ადამიანი და მინდა გითხრათ, რომ ამ ადამიანებთან ურთიერთობაში ეს თემა მუდმივად მუსირებს. ასე რომ, ყველა უნდა ამაღლდეს იმაზე, რასაც შური და გულტანლობა ჰქვია, რადგან სამშობლოა გადასარჩენი. დრო გადის. დღე დღეზე ვლადიმერ პუტინი რუსეთის პრეზიდენტი გახდება, რაც აუცილებლად შეიტანს კორექტირებას მსოფლიო პოლიტიკაში. ჩამოყალიბდება ევრაზიული კავშირი, ჩვენი ხვედრი კი, დიდი ალბათობით, შესაძლოა, კვლავაც სატრანზიტო დერეფნად თუ საომარ პლაცდარმად არსებობა იყოს.

– ბატონო ზურაბ, ახლა რაც შეეხება იმ მოძრაობას, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ...

– ზოგადქართული, ზოგადეროვნული პრობლემატიკის პარალელურად სამეგრელოს სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ვცდილობთ, საკუთრივ რეგიონის პრობლემატიკაზე ვიფიქროთ და შეძლებისდაგვარად ვიზრუნოთ მეგრული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. მეტიც, მიმანია, რომ ეს არა მხოლოდ მეგრული პრობლემაა და მეგრელთა საზრუნავი, არამედ ზოგადეროვნული პრობლემატიკაცაა. ფაქტია, სამეგრელოს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა დიდი საფრთხის წინაშეა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგვას თავისი კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენი მიზანმიმართული პოლიტიკაა: «ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი ამოცანაა შენარჩუნება და განვითარება». დრამად ვარწმუნებული რომ მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარებაზე ზრუნვა არის თითოეული მეგრელის ვალი, უფრო მეტიც: ეს არის ვალი თითოეული ქართველისა, თუ ამას გაითავისებს ყოველი ქართველი, მაშინ კოლხურ-იბერიულ ერთიან ეროვნულ სულებს, მეგრულს, რომ ბევრად ნაკლები საშიშროება დაემუქრება.

ვარად ვიზრუნოთ მეგრული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. მეტიც, მიმანია, რომ ეს არა მხოლოდ მეგრული პრობლემაა და მეგრელთა საზრუნავი, არამედ ზოგადეროვნული პრობლემატიკაცაა. ფაქტია, სამეგრელოს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა დიდი საფრთხის წინაშეა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგვით ჩვენი ენა, რომელიც უმთავრესი ნიშანია ჩვენი იდენტობისა. სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» ამ ეტაპზე შეძლებისდაგვარად ცდილობს, ამას მიაქციოს ყურადღება. ჩვენი წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე მოვალენი ვართ, გავაკეთოთ შეუძლებელიც კი, რათა შევქვეყნოთ, უმდიდრესი, უმშვენიერესი და მისტიკური მეგრული ენა შევუნარჩუნოთ საკუთარ ჯიშს, ჯილაგს და მერე კი, რა თქმა უნდა, კულტურულ კაცობრიობას. ჩვენი მოძრაობის ლიდერმა, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ მოძრაობის ერთ-ერთ ყრილობაზე განაცხადა: «ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი ამოცანაა შენარჩუნება და განვითარება». დრამად ვარწმუნებული რომ მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარებაზე ზრუნვა არის თითოეული მეგრელის ვალი, უფრო მეტიც: ეს არის ვალი თითოეული ქართველისა, თუ ამას გაითავისებს ყოველი ქართველი, მაშინ კოლხურ-იბერიულ ერთიან ეროვნულ სულებს, მეგრულს, რომ ბევრად ნაკლები საშიშროება დაემუქრება.

რაც შეეხება კონკრეტულ ღონისძიებებს, ჩატარდა რამდენიმე თემატური ღონისძიება. კერძოდ, ოფისში მოვიწვიეთ გამოჩენილი და ვიტყვი პირდაპირ გენიალური ენათმეცნიერი, ბატონი მაშანტი ძაძაძი, რომლის ლექციამ თემაზე «მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა» საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია (სამწუხაროდ, ბატონი მაშანტი მძიმე ავადმყოფია და მას ცოტათი მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება). ჩავატარებთ პოეზიის საღამო, რომელზეც ბატონმა გიორგი შენგელიამ საზოგადოებას გააცნო შექსპირის სონეტების, ილიას, გალაკტიონის, ომარ ხაიამის ლექსების ბრწყინვალე მეგრული თარგმანები. მოვაწვევთ შეხვედრა ცნობილ პოეტ და საზოგადო მოღვაწესთან, ბატონ რინოს კვარაცხელიასთან, რომლის არანეგულური მეგრული და ქართული პოეზიის ნიმუშებით მოიხიბლა დამსწრე საზოგადოება. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მეგრული ენის პოპულარიზაციას. თითქმის ყოველდღიურად მოდიან გულანთებული ადამიანები და მათთან მსჯელობისა და აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ, ვცდილობთ ჩვენი იდეების ხალხში გატანას და აქტიურ პროპაგანდას. მართალია, მკაცრი ზამთრის პირობებში სირთულეები გვემბრება, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელს მაინც უსათუოდ გავაკეთებთ.

– რას გვეტყვით ჩვენი ხელისუფლების მიერ ჩატარებული ე.წ. ანტისაოკუპაციო კვირეულის შესახებ – ზუგდიდის სკოლებში მოსწავლეებს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილი ფილმი ინგლისურ ენაზე უჩვენეს...  
– საქართველოს დამოუკიდებლობისთვის

მიბრძოლია, მისი ნამდვილი დამოუკიდებლობისთვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კიდევ ვიბრძოლებ, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში ვხედავით ე.წ. ანტისაოკუპაციო კვირეულის სახით სხვა არაფერია, თუ არა ანტიეროვნული ისტერია, მარაზმში გადასული. რაც შეეხება ამ ფილმს, რომელიც ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა, როგორც ვიცი, ბევრმა მოსწავლემ პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი, რაც მაძლევს იმის იმედს, რომ ამ ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო ჩვენი ახალგაზრდობის გარყვანა. ისე, დიდი გულსტკივილით მაინც მინდა ვთქვა, რომ არსებული რეჟიმი ჯერჯერობით ახერხებს ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილის სხვადასხვა მხაკერული ხრიკით ჩვენგან დისტანცირებას, მაგრამ ვიმედოვნებ, გაუცხოების დაძლევა შესაძლებელი გახდება».

– ბატონო ზურაბ, როდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გავრცელებული ვერსიით, ზუგდიდში «ცისფერების» ბარიც გაიხსნა...

– ეს მოკისმოშეგველი ამბავი მეც შევიტყვე ჩვენ, რა თქმა უნდა, გადავამოწმებთ ამ ინფორმაციას და ღმერთმა ნუ ქნას, მართალი იყოს. თუმცა ასეთ ქვეყანაში უფრო უარესის მოლოდინშიც უნდა ვიყოთ. ამიტომ, ჩემო ძვირფასო ზუგდიდელებო, მეგრელებო, კოლხელებო, იბერელებო – ქართველებო, გამოფხიხლდით და ნუ დაუშვებთ ჩვენს გადაშენებას, გადაჯიშებას, გადაგვარებას, გათახსირებას და დაღუპვას! ვისაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია მამულიშვილობის, ქრისტიანული ზნეობრიობის, ტრადიციულობისა და უცილობელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიკვდილისგან თავის დახსნის სურვილი, საითაოდ მოეძებნოთ ერთმანეთი, მოვახდინოთ კონსოლიდაცია, ჩამოვყალიბდეთ მძლავრ პატრიოტულ ძალად და გავშალოთ მასშტაბური წინააღმდეგობის მოძრაობა. დროა, თუ უკვე დაგვიანებულიც არაა, ჩამოვყალიბდეთ ეროვნული გადარჩენის ფრონტი.

საკითხი დგას ასე: ჩვენ უკვე ვღვაერთ დიდიწილად წინაშე – ან ვპოულობთ საკუთარ თავში ძალას და ერთიან უმძლავრეს ეროვნულ ძალად ჩამოყალიბებული ვიბრძვით გადარჩენისთვის, ან მამულს საჯიჯგნად ვუტოვებთ ერისა და ქვეყნის დაუძინებელ მტერს.

## ესაუბრა ლადო ძირია, ზუგდიდი



## ისრაელმა რუსეთს საქართველოს უპილოტო თვითმფრინავების კოლაზი გადასცა

როგორც Expert Club-ი იუწყება, ირანისათვის რუსეთის მიერ მიწოდებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების Top M1-ის საიდუმლო ტექნიკური ინფორმაციის სანაცვლოდ ისრაელმა საქართველოსათვის მის მიერ მიწოდებული უპილოტო თვითმფრინავების მონაცემთა გადაცემის არხების საიდუმლო კოდები გადასცა.

ამის შესახებ ინფორმაცია WikiLeaks-მა გაავრცელა, რომლის არხებში ამერიკული კომპანია Stratfor-ის 5 მილიონზე მეტი კონფიდენციალური ინფორმაცია თავმოყრილი. Stratfor-ის ინფორმაციების მოპოვებასა და გეოპოლიტიკურ ანალიზზე სპეციალიზირდება და ხუთასზე მეტი კლიენტ-ორგანიზაცია ჰყავს, მათ შორისაა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი.

საუბარია 2009 წლის 26 თებერვლით დათარიღებულ ანგარიშზე, სადაც ინფორმაციის წყაროდ MX301-მექსიკელი ყოფილი პოლიციელი და სამხედრო ანალიტიკოსი Latam-ის დასახელებულია. ინფორმაციის სანდობაა 1 დონით ფას-

დება. აღინიშნება, რომ «ქართველები გამაღებელი ინტენსიურად ეძებენ კომპრომეტირებული ისრაელის უპილოტო თვითმფრინავების შემცველებს».

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში ცნობილი გახდა საქართველოს მიერ უპილოტო თვითმფრინავების წარმოების დაწყების შესახებ, რომლებმაც კომპანია Elbit Systems-ის წარმოების Hermes Skylark-ებზე უპილოტო თვითმფრინავები უნდა ჩაანაცვლოს. 35 მილიონი დოლარის ღირებულების აღნიშნული ტექნიკა ისრაელს უბრუნდება, განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი თარგამაძემ, რომელიც ამავე დროს საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური პროგრამების განხორციელებისა და საიდუმლო პროექტებზე საბიუჯეტო თანხების კონტროლის განმხორციელებელი «ნდობის ჯგუფს» ხელმძღვანელობს.

თარგამაძემ აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება იმ დავის შედეგად იქნა მიღებული რომელიც საქართველოსა და

Elbit-ს შორის წარმოიშვა, რომელმაც თავის მხრივ თითქოსდა საქართველოს მიერ 2007 წელს დადებული კონტრაქტის არ შესრულებისათვის საერთაშორისო სასამართლოში დავა წამოიწყო და კომპენსაციის სახით ქართული მხარისგან 100 მილიონი დოლარის გადახდას ითხოვდა. თარგამაძემ ასევე აღნიშნა, რომ ებრაულმა კომპანიამ თვითონ დაარღვია საქართველოსთან სამხედრო სფეროში დადებული ხელშეკრულება და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ მიატოვა აღებული ვალდებულებების შესრულება.



## ჯავჭავაძის გამზირზე ავარიული შენობა ჩამოინდრა

თბილისში, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ყოფილ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები 34 დეკნელი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. ავარიული შენობა, რომელიც ჭავჭავაძის გამზირის №49-ში, რუსეთის საელჩოსთან მდებარეობს, დაახლოებით ნახევარი საათის წინ ჩამოინდრა. მოსახლეობამ შენობიდან გამოსვლა მოასწორო, თუმცა საყოფაცხოვრებო ნივთების გამოტანა ვერ მოასწოვს.

პერიმეტრი უსაფრთხოების მიზნით საპატრულო პოლიციას გადაკეტილი აქვს და სამაშველო სამსახურის ბრიგადები ახლა იწყებენ მუშაობას.

შემთხვევის ადგილზე მინისტრი კობა სუბელიანი იმყოფება, რომელიც დეკნელებს ქაიროს ქუჩაზე გადასვლას სთავაზობს, თუმცა დეკნელების უმრავლესობა აღნიშნულ წინადადებას არ იზიარებს და აცხადებს, რომ ქალაქარეთ გადასვლა არ სურთ.

რა არის ტერორიზმობა?!

სახარებასა შინა ამას ენასა ღაზარე ჰქვია...ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს... - იოანე ზოსიმე.

შვილიშვილი (შალვა) ეკითხება ბაბუას (მირიანს): მსოფლიოში არსებული საინფორმაციო საშუალებები: ტელევიზიები, გაზეთები, წიგნები, ჟურნალები, რელიგიური საადმინისტრაციო ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, აკადემიები და ა.შ. კინო და თეატრი ხალხებს, ღმერთზე (შემოქმედზე) და სამყაროზე (ღმერთის შექმნილზე) უფრო მეტად ახსნავენ ვიდრე ერთმანეთს გამოძრვივებ იდეოლოგიებს და ინფორმაციებს, ვინ არის მართალი? სად შეიძლება მოვიპოვოთ ჭეშმარიტი ინფორმაცია?!

ყოჩად შალვა, ვინაიდან ასეთი შეკითხვა ებადება მხოლოდ სულიერ სიმწიფეში შესულ ადამიანს. შენს შეკითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მართალი, ჭეშმარიტი ინფორმაცია მოცემულია ძველი და ახალი აღთქმის დოკუმენტებში, რომელსაც ღმერთი შემოქმედის წმიდა წერილი, მართალი სიტყვა ეწოდება. წმიდა წერილი (ღვთის მართალი სიტყვა) გადმოცემულია მოკლე კოდური ყოველმხომცველი რიცხობრივ (10) ანბანური (40) სიტყვით (ინფორმაციით); რომლის წაკითხვას და სწორად გადმოცემას სჭირდება სპეციალური

სადგომიშემკვეთი ცოდნა, ანუ წმიდა წერილებით გადმოცემულია და შედგენილია ორმოცდაათი (50) საღვთისმეტყველო კოდიტი, რომელსაც სახარებასა შინა ქრისტეს მეგობარი ღაზარე ეწოდება.

ამრიგად, ღვთის მართალი სიტყვა (წმიდა წერილი), რომ გაეშვიფროთ და წიგნიერი კაცობრიობის გასაგებ ენაზე, რომ გადმოცემა (გადმოვთარგმნოთ), მანამდე უნდა გაეშვიფროთ ათი (10) რიცხობრივი და ორმოცი (40) ასოგებრათი კოდიტი ინფორმაცია, ანუ გასაშვიფრია ქრისტეს ქართული დამწერლობითი კოდი-ღაზარე, რომლითაც შედგენილია ღვთის წმიდა წერილები (ღვთის სჯულის წიგნები).

იმის გამო, რომ წმიდა წერილები წარმოადგენს დაფარული ენით დაწერილ ინფორმაციას, თანამედროვე წიგნიერი სამეცნიერეობისა და მეცნიერების წარმომადგენლები მისი შინაარსის ნაწილს იკებენ მართებულად, დანარჩენს კი არასწორად, ამიტომ მიმართავენ პაუკე მთლიანად ძველი აღთქმის სჯულში დარჩენილ ებრაელებს (ოფდევლებს, კათოლიკურ საქრისტიანოს, მაჰმადიანებს და სხვებს), მოსემ რიდე და გასვენათ გულზე, ანუ წმიდა წერილის ინფორმაციის 25%-ს კითხულობთ დიად, ხოლო დანარჩენი დაფარულია. ამიტომ,

უნდა ვიცოდეთ, რომ მსოფლიოს ყველა სახის რელიგიური ინსტიტუტები, მეცნიერული ინსტიტუტები და საინფორმაციო საშუალებები კაცობრიობას აწვდიან 25%-ით მართალი და 75%-ით ყალბ ინფორმაციას (ამის გარდა სიმართლეს უმაღლეს კაცობრიობას და სიცრუეს სიმართლის რანგში ასწავლიან მათ).

ისმის შეკითხვა: რატომ დაიწერა წმიდა წერილი დაფარული ინფორმაციით და არა წიგნიერი ადამიანის გასაგებ ენაზე, იმიტომ, რომ კაცობრიობა დასაბამიდან, მასში არსებული ღვთიური ინფორმაციით, არსებობის მინიმუმიდან (თევზის ხიხილალიდან ქრისტეს პირველ მოსვლამდე) გადის 666=36 საფეხურის სულიერ-სხეულობრივ ადგილმ-განვითარებას, მას ღმერთისგან ეძლევა პური არსობისა, მისი განვითარების საფეხურებისა და მიხედვით; ანუ ეძლევა ინფორმაციის ისეთი ულუფა, რომელსაც მისი სული და ჭურჭელი დაიტევს. რელიგიებიც (სადგომი სწავლებებიც) ღმერთმა მსოფლიო ხალხებს (თავის შეიღებებს) მისი სულიერი სიმწიფის დოზის შესაბამისი დაუდგინა.

ხოლო რაც შეეხება ძველი და ახალი აღთქმის ინფორმაციას, იგი განკუთვნილია მაღალი სულიერი სიმწიფის კაცობრიობისთვის, რომელიც მსოფლიო ხალხებს


ცოდნის პურად მიეცემა ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ. როგორც ჰუკუთა ბაღლისათვის არ შეიძლება მიძიმე საკვების მიცემა, ასევე ბაღურად მოაზროვნე კაცობრიობისთვის არ შეიძლება მიძიმე ინფორმაციის მიცემა, ამიტომაც დაიწერა წმიდა წერილები (ღვთის სიტყვა) დაფარული კორული შიფრით.

იმის გამო, რომ 2010-2013 წლებში ძე ღმერთის (იესოს) მეორედ მოსვლის წინა აპოკალიფური პერიოდი, წიგნიერი კაცობრიობა აფორიაქებულია და არ იცნა, ამიტომ წაღწავილების მსგავსად ხავეს ეპოტინება, ანუ პიპოტეხება და ვარაუდებს ებლაუჭება, რომელიც ზღაპრს უფრო ჰგავს ვიდრე საღაზრს. ამრიგად, წიგნიერი კაცობრიობის სასულიერო და პოლიტიკური ელიტა ანტიღვთიური იდეოლოგიის ცრუ სიტყვის თავისუფლების აბსურდში ივლობა. ჭკვიანი კაცი იკითხავს - კი მაგრამ მსოფლიო სასულიერო და პოლიტიკური ელიტა უმეცარია?! დიახ, იგი ვერ ფლობს ისეთ სულიერ სიმწიფეს გააღოს ღვთის ჭეშმარიტი სიტყვა და იქდან მართალი ინფორმაცია ამოიღოს, რომელიც მას ეტყვის, უკარნახებს თავისი თავისა და კაცობრიობის გადარჩენის პოლიტიკურ და სასულიერო სწორ გადაწყვეტილებებს...

მირიან ქართველი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოკვლეული ნარსულთან გაეოსათხოვებლად, არავითარი შეხვედრა ნარსულთან



ინტერვიუ თემურ ძორიძესთან:

- ბატონო თემურ, წინ არაერთი არჩევნები გველოდება. თქვენი აზრით, არჩევანის სწორად გასაკეთებლად, ქართველი საზოგადოება უკვე მზად არის?

- წინასწარჩვენო კამპანია მიხეილ სააკაშვილმა დიდი ხნის წინ დაიწყო, მისი ხმაურით და, ხშირ შემთხვევაში, - კურიოზებით აღსავსე ვითარებები იმის დასტურია, რომ ეს ადამიანი ძალაუფლების მანიით არის შეპყრობილი და წინასწარობა სრულიად დაკარგული აქვს. ამიტომ არის, რომ სააკაშვილი ებრძვის არა მხოლოდ თავის პოლიტიკურ კონკურენტებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც სერიოზული ცვლილებები წყურია და ამ ცვლილებათა აუცილებელ წინაპირობად სააკაშვილის და მისი გუნდის ხელისუფლებიდან ჩამოცილება მიაჩნია. სააკაშვილი კარგად იცნობს თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ის მუდამ აკრძალული და მიუღებელი იდეებით მოქმედებდა. აი, მიხეილ სააკაშვილის შეუცვლელი იარაღი. სწორედ ამ იარაღის ძალით მოვიდა იგი ქართულ პოლიტიკაში, ამ იარაღით ჩაიგდო ხელში ქვეყნის მმართველობა და დღემდე ამ იარაღითვე ინარჩუნებს მას.

საკაშვილის ფიქრობს, რომ ქართველი საზოგადოება სამუდამოდ დათრგუნა და დაიმორჩილა. ამიტომ მას ამ საზოგადოებით გაუთავებელი მანიპულირების იმედი აქვს. ის არ ელოდება, რომ ბიძინა ივანიშვილის სახით მოულოდნელ სიშვრიბს წააწყდებოდეს. ასეთი რამ მისთვის ყველაზე კომპარტულ სიზმარშიც კი წარმოუდგენელი იყო. სააკაშვილის ავადმყოფო რეჟიმის ბიძინა ივანიშვილის "ქართული ოცნება" დაუპირისპირდა და ის კარგად ხედავს, რომ ამ ბრძოლაში მისი დამარცხება გარდაუვალია.

რატომ არის გარდაუვალი სააკაშვილის დამარცხება? - იმიტომ, რომ ამ პიროვნებაში

უკვე მთლიანად ამოწურა მის ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური, სოციალური და მორალურ-ფსიქოლოგიური რესურსი. ის კალენდარულადაც უკვე წარსული დროა. ამის დამამტკიცებელ საბუთად ისიც გამოდგება, რომ სააკაშვილი გამუდმებით მხოლოდ იმაზე აკეთებს აქცენტებს, რაც წარსულში შეუქმნია. მაგრამ საზოგადოება კარგად ხედავს, რომ ვერც ვეროპულად გამართული გზატკეცილებით და ვერც მადლიერი შენობებით ჩვენ ვეროპულ სტანდარტებს ვერ მივუახლოვდებით. პირიქით: ამ ორმოცდაათი საბუთისწორად გაუჩინარდა ადამიანი, დაიკარგა ადამიანურ ღირებულებათა მთელი არსენალი, განადგურდა ჰუმანიტური ფასეულობანი. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არნახული მასშტაბი შეიძინა პიროვნების დეპერსონალიზაციის პროცესმა. ხელისუფლება გამუდმებით ცდილობს ცხოვრებაში დაამკვიდროს ვეროპენის, ანუ ბრბოლქვეული ადამიანის ფსიქოლოგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, თავისი არსით დრომოტყუელი ხელისუფლებაა და ქვეყნის სათავეში მისი დარჩენა ზოგადკაცობრიული იდეალების წინააღმდეგ მოქმედების ტოლფას მოვლენად უნდა შეფასდეს.

- კეთილი, მაგრამ როგორც გითხარით, ამ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ხალხის სწორი არჩევანია და მიიღო, იმ პრობლემაზე ვისაუბროთ, რაც არასწორ არჩევნებს პროვოცირებს, კარგი?

- ხალხი პიროვნებებისაგან შედგება. ჩვენში კი, როგორც გითხარით, პიროვნული ფაქტორი აბსოლუტურად ნიველირებულია. ქართველი ადამიანი, დღეს, არსებითად პოლიტიკური მანიპულაციების ობიექტად არის ქცეული. მას ისე ეპყრობიან, როგორც "კენტსიმყრელ ცხოველს", რომლის ფუნქციაც საარჩევნო ყუთის დახურვასთან ერთად სრულდება. სამწუხაროდ, არავინ ზრუნავს იმაზე, რომ ფუნქციონალური ობიექტიდან ის სრულყოფილ სუბიექტად, ანუ თავისუფალი არჩევანის უნარის მქონე ღირსეულ სუბიექტად, ანუ ჭეშმარიტ მოქალაქედ იქცეს. ხელისუფლება ადამიანს განიხილავს როგორც ქვეშემოდგომს (რაც მონარქიული მმართველობისათვის არის დამახასიათებელი) და არა როგორც მოქალაქეს (რესპუბლიკური მმართველობის უმაღლესი ნიშანი). ამ არქაიზმის დასაძლევად საჭიროა სრულიად ახალი პოლიტიკური ატმოსფერო, ახლებური საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრება. სწორედ ხალხის ამ იმედს უკავშირდება დღეს ბიძინა ივანიშვილის სახელი. მან, როგორც საყოველთაო პატივისცემით მოხილმა ქველმოქმედმა, ბიძგი უნდა მისცეს ქართული სახელმწიფოს ჰუმანიზაციას, პიროვნების "კულტურული ჰაბიტუსის" (შეგნებური) რეალიზების პროცესს.

ივანიშვილის პოლიტიკური გამარჯვების საფუძველი უნდა გახდეს მისი

საჯარო "პირობის წიგნი", სადაც ყველაზე მსხვილი ასრუბით ჩაიწვიება ადამიანის, პიროვნების, მოქალაქის უზნაშრობა და მისი ინტერესებისადმი სხვა დირეგულუბათა და მმართველობის მდგომარეობა, არ უნდა დაზვიავდეთ, რომ სახელმწიფოს არსებობა, მისი არსი და კოლიტიკური ორიენტაცია, მთლიანად არის დამოკიდებული ამ მმართველის მოქალაქეთა შინაგან მისწრაფებებზე.

წართვით ადამიანს მოქალაქეობრივი ბუნება და თქვენ მიიღებთ უშინაარსო, უისტორიო და ამორფულ ქვეყანას! ასეთ "ქვეყანას" რაც გნებავთ, ის უწოდეთ. გნებავთ საქართველო და გნებავთ "ზანანის რესპუბლიკა"! აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს "ხალხის ფაქტორს", ხალხისას, რომელიც უმაღლეს მოქალაქეთა კრებულად უნდა წარმოინდეს, ვიდრე უსახურ ბრბოლ.

ბიძინა ივანიშვილის "ქართული ოცნება" მთელი ქართველი ხალხის ფიქრისა და შინაგანი აქტიურობის გამომკარგებელ მუხტად უნდა გადამდეს. ეს კი აუცილებლად მოითხოვს ჩვენი ერის კულტურულ-ისტორიული ბრუნის სრულ ამოქმედებას, ისტორიული მნიშვნელობის წინააღმდეგ ჩაღრმავებას და არჩილ ჯორჯაძისებური "სამართლო ნიშნის" შემოღებას.

ქართულ ხალხს გულწრფელად სურს "ნატეხილი ხიდის" გამოქვამა. მას ენატრება მისივე ბუნებისათვის ესოდენ დამახასიათებელი "ნათესაური" გრძობებით ცხოვრება. ამიტომ, ჩვენ, ყველანი, გულის სიღრმეში ვატრებთ ოცნებას ეროვნული თანხმობის მთავრობაზე, იმ მთავრობაზე, რომლის მმართველობაც, რუსთაველისა არ იყოს, "სწორად მოეფინება" დიდსა და პატარას, რომელიც კი არ დაჰყოფს და განაზღვევს, არამედ შეკრავს და შეაერთებს დარღვეულ ეროვნულ ორგანიზმს. ეროვნული თანხმობის მთავრობა, აი, ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება. ბიძინა ივანიშვილი ამ ოცნების ხორც-შესხმას უნდა ესწრაფოდეს. საქართველო აღარ უნდა იყოს "ზოგისთვის დედა, ზოგისთვის კიდევ - დედინაცვალი", როგორც ამას თავის დროზე წუხდა აკაკი, ის აღარ უნდა იყოს არც "ყურე ქვეყნისა" (იოვანე საბანისძე), რომლის მცხოვრებნიც "უიშისაგან განიღვებიან და ირწვიან, ვითარცა ღერწვანი ქართაგან ძლიერის"... დიახ, დღეს საქართველო გზაჯვარედინზე იმყოფება და ქართველმა ხალხმა სერიოზულად უნდა შეაფასოს ამ იტორიული ჟამის მნიშვნელობა. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საარჩევნო კამპანია ბიძინა ივანიშვილის მხრიდან საქართო-სახალხო მოძრაობის ხასიათს შეიძენს.

- კი ბატონო, გეტანხმებით, მაგრამ უკვე მერამდენედ გახსენებთ, რომ ამ იდეალებისაგან ქართველი კაცი უკვე ბალიან დის-

ტანცირებულია...

- დიახ, გასაგებია, თქვენ გამოცდილი ჟურნალისტი ხართ და ქართველ საზოგადოებას კარგად იცნობთ. ქართველი კაცი დღეს ნაკლებად ჰგავს თავის ისტორიულ "მე"-ს. როგორც გრიგოლ რობაქიძე შენიშნავდა, ის "გამუდმებით გაუჭრის თავის თავს - ცუდს, რათა იპოვოს თავისი თავი - უკეთესი"... ჩვენ საკუთარ თავს უნდა დაუფსვათ შეკითხვა: - მეტისმეტად ხომ არ გაგვიტყუებდა აქეთ-იქით სირბილი? ხომ არ დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ დავეკიდოდეთ ჭეშმარიტ ფასეულობათა წიადში? დიახ, ჩვენ ამაზე უნდა დაგვიქრდეთ და არჩევანი ისე უნდა გავაკეთოთ. ბიძინა ივანიშვილმა ეს ტვირთიც უნდა იტვირთოს და დარწმუნებული ვარ, მსგავსი ლიდერის წინამძღოლობით ესცე შესაძლებელი გახდება.

- როგორ ვიქრობთ, რამ შეიძლება შეაფერხოს ეს პროცესი?

- ამ პროცესისათვის ხელის შეშლა, მისი შეფერხების ყოველი მცდელობა, საერთო ქართული საქმის საწინააღმდეგო ლაშქრობად უნდა იქნას აღიარებული. სამწუხაროდ, აღნიშნულ პროცესს უკვე ჰყავს თავისი ქიღურა. ეს ქიღური მიხეილ სააკაშვილია. ის ცდილობს საფუძველშივე ჩაკლას საერთო ნიადაგზე ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. დღეს ეს კაცი ძალზე საშიშ ფაზაში იმყოფება; გარშემო ზიზღს და ხიბუღილს აფრქვევს, პირდაპირ ჩამოყალიბებულ მიზანთრობად იქცა.

ამასთან დაკავშირებით ერთ საბულისებო დეტალზე უნდა შევიხილო. ვინც თვალს ადევნებს ერთ-ერთ ტელეარხზე მომზადებულ მულტმედიას - "ზანანის რესპუბლიკა", ის უთუოდ შეამჩნევდა, რომ ამ ფილმის მთავარი პერსონაჟის პოტიტიკი - მიხეილ სააკაშვილი, თავისი ბრტყლკულობით ირგუნა აღმავლობა მისსავე მხატვრულ ორეჟულს, რომ მამურობა უნდა არც კი ეციინება... მაშინ, როცა "დარღუბააში" შევარდნაპის გამოსახულების ოდნავი აჩაგრება კი მომიზნის საოცარ ეფექტს მინიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილს თვით ყველაზე იუმორისტულ შანსშიც კი ბაბრამდების შესაძლებლობა არ ბაჩენია.

ეს მით უფრო თაქმის მის პოლიტიკურ მომავალზე. მიხეილ სააკაშვილი უკვე კომიქსების პერსონაჟებადაც არ გამოდგება.

კაცობრიობა მუდამ დიმილით ეთხოვებოდა თავის წარსულს. ჩვენც ისედა დაგვრჩენია, გულდასმით მოვემზადეთ წარსულთან გამოსათხოვებლად და არავითარი "შეხვედრა წარსულთან"...

ირინე გობოსაშვილი

სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ მიორკი ჯალაღანიას

დავით ჩაგალიშვილი: ნებაჰ, ყაზახების პირობები საქართველოში გვემდონ



ახლახან გაუწყეთ, რომ გორის „დილას“ თავდამსხმელი დავით ჩაგალიშვილი ყაზახეთში, კოკშეტაუს „ოკჟეტპისში“ გადავიდა. დათო ორივე დღით საქართველოში დაბრუნდა და ინტერვიუ ჩამოვართვეთ.

„რატომ წავედი? თემურ მახარაძემ ადამიანურად და პირდაპირ მითხრა, ვამჩნევ, თამაში არ მოგიწევს და ჯობია გითხრა, ვიდრე მეტე გული დაგწვივებო, მაგრამ დარჩენა თუ გადაწყვიტე, ხელფასი გექნებაო. ჩემთვის მართლა კარგი უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ხელფასი არ იყო მთავარი, თამაში მსურდა და „დილას“ პრეზენტაციის შემდეგ წასვლა გადავწყვიტე.

ყაზახეთში რომ არ წავესულიყავი, მაინც სხვა კლუბში გადავიდიო. „ოკჟეტპისის“ ვარიანტი კი შემთხვევით გამოჩნდა. სამენეჯერო სააგენტო „ლაოლასთან“ ვთანამშრომლობ და იცოდნენ, კლუბის დატოვება რომ მსურდა.

ბები არ გინდა, უმცროსი თენგიზ სულაქველიძე კლუბის პრეზიდენტთან მეგობრობს და მისგან შეიტყვეს, რომ

თავდამსხმელს ეძებდნენ. მეტე ყველაფერი უცებ მოხდა, სულაქველიძემ ზუსტად ათ წუთში შეათანხმა გასინჯვა, ყაზახებმა თურქეთში გასინჯვაზე ჩასვლა მთხოვეს, ზუსტად ერთ საათში ავიღე ბილეთი და „ოკჟეტპისის“ შეკრებაზე ჩავიდი. ფეხი მტკიოდა და ამიტომ სულ 20 წუთი მათამაშეს, მაგრამ ორი გოლი გავიტანე, ერთი საგოლე გადაცემა გავაკეთე და მწვრთნელს მოგეწონე. ფინანსური დირექტორი პირობებზე დამელაპარაკა და თამაშის შემდეგ ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს“- ამბობს ჩაგალიშვილი.

„დილას“ ყოფილი თავდამსხმელის თქმით, გორულ კლუბს ტრანსფერში ხელი არ შეუშლია:

„დილასში“ იმდენი კარგი ფეხბურთელი მოიყვანეს, ჩემი წასვლა პრობლემას არ შექმნიდა. კლუბის ხელმძღვანელობა კარგად მომეცა, გათავისუფლების ფურცელზე არ მაწავალა და საკითხი დროულად მომიგვარა, რისთვისაც მადლობელი ვარ. ყაზახეთში სეზონი 10 მარტს იწყება და განაცხადში ჩემი შეყვანა რომ მოესწროთ, საქართველოში გათავისუფლების ფურცლის ასაღებად ჩამოვედი“.

ჩაგალიშვილი არ მალავს, რომ ყაზახებმა კარგი პირობები შესთავაზეს:

„ჩვენი და ყაზახების პირობები იმდენად განსხვავებულია, ნამდვილად ღირდა წასვლა.

საწყენია, ამბიციურ „დილასში“ თამაში რომ არ მომიწევს, მაგრამ იმსაც ვერ ვიტყვი, რომ გული მწყდება. ნებისმიერი მოთამაშისთვის ჯობია ის კლუბი, სადაც ითანამაშებს და უკეთესი პირობები ექნება.

ერთ წელიწადში რომ იყიდი ბინას, დასაფიქრებელი არაფერია. სამწუხაროდ, ასეთ ხელფასს ბევრი ქართული კლუბი ვერ შემოთავაზებდა და პერსპექტივას ველოდო? კლუბს უკვე ველაპარაკე და შეიძლება, ზაფხულში ჩემი ძმა ლევანიც ჩავიყვანო, რომელიც „დილადან“ პირველი წრის შემდეგ გაუშვეს.

მთავარი მწვრთნელი უკრაინელი ვიქტორ დოგალილოა. მისი ვარჯიშები და მოთამაშებებთან მიდგომა ძალიან მომეწონა. დაახლოებით ისეთი ვითარება დამხვდა, როგორც „დილასში“ - გუნდი უმადლეს ლიგაში წლებიც გადავიდა, ფინანსურად არ უჭირთ და ძალიან ბევრი ახალი მოთამაშე აიყვანეს, უმთავრესად, სერბები. საკმაოდ ძლიერი გუნდია და მიმჩნია, რომ ყაზახეთის ჩემპიონატში არ უნდა გაგვიჭირდეს.

ჩასვლის დღიდან ვფიქრობ, ასეთი კარგი პირობები, რომ აქვს ყაზახეთის ჩემპიონატის დებიუტანტს, ლიდერები რა მდიდრები იქნებიან. ნეტა, ამის მეოთხედი ჰქონდეთ ჩვენს ლიდერებს და ბევრად უკეთესი კლუბები და ჩემპიონატი გვექნებოდა.

საქართველოშიც არიან შედარებით ნორმალურად დაფინანსებული კლუბები, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს და მეტე მართლა გვეშველება“.

დათო ამბობს, თუ როგორ მოახერხა გუნდში თავის გამოჩენა:

„ახალ გუნდში დამკვიდრება ძნელია. საბედნიეროდ, კარგად დავიწყე. „დილასში“ კარგი შეკრების გავლა და საკონტროლო შეხვედრებში მონაწილეობა ძალიან დამეხმარა. მთელი პირველი წრეც ძირითადად ვითამაშობდი და 18 მატჩში 5 გოლი გავიტანე, ანუ ფორმიდან ამოვარდნილი არ ვიყავი.

აქვე არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა გია ცეცაძეს. თბილისის „ლოკომოტივის“ შემდეგ ფინეთში ვითამაშობდი. საქართველოში დაბრუნებული არავის ვახსოვდი და ორი თვე პირველი ლიგის საჩხერეს „ჩინურაში“ ვითამაშე. ცეცაძემ იქიდან მიმიწვია „დილასში“, მომიხსნა გასაღები და გულშემატკივარს ჩემი თავი გააახსენა. მასთან ვარჯიში ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო.

ისე არ გაიფიქრო, თითქოს თემურ მახარაძესთან ვარჯიში არ მსიამოვნებდა და მინიშნებებს ვაკეთებ. ბატონი თემური ძალიან კარგი მწვრთნელია, მაგრამ ცეცაძე შემეტე ფეხბურთს გვათანამაშებდა, თავდამსხმელი კი ამ დროს უფრო ჩნდება“.

საქართველო-ალბანეთი - 2:1

შეხვედრის 88-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ალბანეთის ნაკრები ანგარიშით 2:1 დაამარცხა. ეს ახალი სეზონის პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო. მატჩის პირველი ტაიმი ალბანელთა გამარჯვებით დასრულდა: მე-3 წუთზე ედგარ კანიმ სწრაფი გოლის გატანა მოახერხა და ალბანელები დააწინაურა.

პირველი ტაიმის განმავლობაში, ქართველები არ აქტიურობდნენ. თავი იჩინა ტექნიკურმა წუნმა: ფეხბურთელები ვერ ართმევდნენ თავს ფლანგებზე თამაშის გადატანას, ხშირი იყო შეცდომები პასისა თუ ბურთის დამორჩილების დროს.

თამაშის 27-ე წუთზე ალბანელების კარში არბიტრმა პენალტი დანიშნა, რომელიც დეკალიშვილმა ვერ გამოიყენა: მეკარემ ჯერ მისი დარტყმული ბურთი მოიგერია, მეტე კი დამატებით დარტყმული ბურთიც. ქვებაიამ მეორე ტაიმში ორი ფეხბურთელი შეცვალა: დაუშვილი ნიკა გელაშვილით ჩანაცვალა, ხოლო გია გრიგალავას ნაცვლად მოედანზე დავით კვიციანი გავიდა.

ქართველმა ფეხბურთელებმა მეორე ტაიმი აქტიურად დაიწყეს და 48-ე წუთზე დავით თარგამაძის პასის შემდეგ ანგარიში სანდრო კობახიძემ გაათანაბრა - 1:1.

მოგვიანებით ქვებაიამ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეცვალა: ლადო დვალის ნაცვლად ოთარ მარცვალია გამოიყვანა.

მატჩის მიწურულს ჩვენს სასარგებლოდ კიდევ ერთი პენალტი დანიშნა. ალბანელთა მეკარემ ამჯერადაც მოიგერია დავით თარგამაძის „სასტარტო“ დარტყმა. პენალტის შემსრულებელმა დამატებაზეც ყველას დაასწრო და უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ბურთი ზედა ძელს მოხვდა, ამის შემდეგ კი ალექსანდრე ამისულაშვილმა ძლიერი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია.

იუმორი

- რას გეგხარ, რა დაგემართა?
- გარეთ რომ გამოვდიოდი, ცოლმა ყვავილები მომაყარა.
- ყვავილები და მასეთი ჭუჭყიანი?
- ყვავილები ქოთანში იღო.
- \* \* \*
- ებრაელის ნატვრა: ნეტავი გურული მაყიდინა თავის ფასში და იმ ფასად გამაყიდინა, რა წარმოადგენდა საკუთარ თავზე აქვს!
- \* \* \*
- ეკონომიკურმა კრიზისმა მოიარა მთელი აზია, ევროპა, ამერიკა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა.
- \* \* \*
- მარო, მიდი, ერთი, იმდერე.
- კი მარა, რაღა დროს სიმდერაა, შეკაი ადამიანო, სტუმრები ხომ უკვე შინ წასვლას აპირებენ.
- რომ, აპირებენ და აღარ მიდიან, იმიტომ იმდერე, დაჩქარებენ.
- \* \* \*
- რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ... მაგრამ, თუ გავიგე, რომ მდლატრობ...
- ნუ გეშინია, ვერ გაიგებ...
- \* \* \*
- ჩემი ძალი სახლში რომ მოდის, ზარს თვითონ რეკავს ხოლმე.
- შენი ძალი ისეთი მამაძალია, რომ თურმე სხვის კარებზეც რეკავს ზარს.
- შენ რა იცი?
- ჩემმა ძალმა მითხრა.
- \* \* \*
- მიტო, სად იყავი დილას, ჯო, გეძახდი და ვერ გაგაგონე!
- რას გამაგონებდი, საუზმეზე „სუხარსა“ ვჭამდი...

საქართველო უარი განაცხადა რუსეთის შემოთავაზებაზე ლიკომატიური ურთიერთობის აღდგენის თაობაზე



პირობებული რუსეთის მოქალაქეების ინტერესებზე ზრუნვით. კოსანჩევის აზრით, ეს ინიციატივა პროპაგანდისტული აქციაა, რომლის ადრესატი საზღვარგარეთის ქვეყნებია. მისივე თქმით, კრიზისის მეკეთრი ფაზა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ნაცბანდამ მოულოდნელი შეიარაღებული დარტყმა მიიყენა სამხრეთ ოსეთს, სადაც რუსეთის მოქალაქეთა დიდი რაოდენობაა კონცენტრირებული და რომელთა სიცოცხლეს ამ აგრესიის შედეგად რეალური საფრთხე დაემუქრა. „ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალისებზე ამგვარი ცალკეული ზომების გატარებით ვერ მოხდება, რომლებიც დაკავშირებულია საეიზო ან საეაჭრო რეჟიმების გამარტივებასთან. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთის დემონიზირებას შეწყვეტს და მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება, მაგრამ არა სააკაშვილთან“ - განაცხადა კოსანჩევი. მისი აზრით, იმისთვის, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდეს, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი შეცდომები აღიაროს, რომელიც 2008 წლის აგვისტოში დაუშვა. „შეწყვიტოს ჩვენი საერთო საბჭოთა ისტორიის, მათ შორის ყველა რუსისთვის და, იმედი მაქვს, ქართველებისთვის, დიდი სამამულო ომის პერიოდის დამახინჯება და ომში დაცემულთა გმირების მემორიალების ვანდალურად განადგურება. ასევე იურიდიულად გააფორმოს ვადლებულება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ - აღნიშნა კონსტანტინე კოსანჩევი.

ხულორდავას საქმის სასამართლო განხილვა ბრძოლაში

ხულორდავას სასამართლოში სენაკის ოპოზიციონერის - რევაზ ხულორდავას, საქმეზე მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელზეც მოსამართლე რომან ხორავამ დაცვის მხარის არცერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა გიორგი სამუშიამ დაზარალებულ დავით მგალობლიშვილის, მისი მუდღისა და დედის ჩვენებებს გაბათილება მოითხოვა. მათ მიერ მიცემული ჩვენებები ერთმანეთისგან განსხვავდება და ფაქტობრივი უზუსტობებია. თუმცა მოსამართლემ დაცვის მხარის ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ამასთან, დაცვის მხარე ითხოვდა სენაკის პოლიციის გამომძიებელ ირაკლი შამათავას სასამართლო პროცესზე დაკითხვას იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ წინა სასამართლო სხდომაზე მოწმე ზურაბ წულუკიძის აღნიშვნით, იმ დროს, როცა ის წინასწარი დაკავების ობოლატორში ადმინისტრაციულ სასჯელს იხდიდა, მასთან შამათავა შევიდა და ხულორდავას საქმეზე „რადაც საბუთებზე“ ხელი მოაწერინა. დაცვის მხარის განცხადებით, ობოლატორში წულუკიძეს გამოძიებელმა მისთვის სასურველ ჩვენებაზე მოაწერინა ხელი. სასამართლომ არც აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ადვოკატმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მოსამართლე ტენდენციურია და პროკურატურის ინტერესებს ატარებს. ამ მიზეზით ადვოკატმა სამუშიამ მოსამართლის აცილება ითხოვა, თუმცა მოსამართლე ხორავამ განაცხადა, რომ შუამდგომლობა დაუსაბუთებელია და სწორედ ამ მიზეზით ის არ დაკმაყოფილდება. სასამართლო პროცესი ხულორდავას საქმეზე 1 მარტს განახლდა.



ISSN 1987-8966 ილორი

კვლევის მიხედვით: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეკ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანიას

სარედაქციო საბჭო: ზაურ განაჩია, თამარ ქორიძე, თანგიზ კუბლაშვილი, კლინაფი შალია, გივი სოფიანი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთი "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge